

საქართველოს სსრ მიცნობილებათა აკადემია



03. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,

არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

საქართველოს
ისტორიული
ეთნოგრაფის
პრეზენტაციი

IV

K 14.646




გამოცემლობა „მიცნობილება“

თბილისი

1971

688-2000
338078080401



91 (09) (C 41)

911 (47.922)

b 323

კრებულში ვახნილულია საქართველოს გეიანცეოდალური წანის ისტორიული გეოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხები. მოცემულია ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოთა პოლიტიკური საზღვრები. ნაჩვენებია ვახუშტი ბაგრატიონის ცნობების მნიშვნელობა ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის. ქვეყნდება გურიის ტოპონიმიკა.

კრებულს თან ახლავს რუკები.

1—6—2

•დგ. 125--1970

156 B 6 May 1970

2562

1-28 5/5

დ. გერძენიშვილი

XVIII ს-ის ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრების გასარკვევად საქმაო მასალა არსებობს: ესაა ქართული წყაროები, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები და ამ საუკუნის რუკები. წინამდებარ უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საუკუნის სიგრძეზე ეს საზღვრები ყოველთვის ერთნაირი არ იყო. იგი ცულებოდა დალგეულ ათწლეულებში, მაგრამ აშეარად ჩანს, რომ ქართლის სამეფო ძირითადად ინარჩუნებოდა თავის პოზიციებს და საუკუნის II ნახევრაში საქმაოდ აფართოვდებს თავის გავლენას ამიერკავკასიში.

ვაჟუშტი ბაგრატიონის შრომები და რუკები აქაც ძირითადი წყარო. მართალია იგი უმთავრესად საქართველოს ქვეყნების ბუნებრივ, თემობრივ საზღვრებს იძლევა, მაგრამ აქვეა მოცემული სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკური ვითარებაც; ასევეა მისი თანამდებროვე პერიოდის გაღმოცემის ღრისაც, რასაც სახელმვანი მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს.

ცალკეა აღსანიშნავი XVIII ს. I მესამედის მოღვაწის — ბერი ეგნატა-შვილის ცნობა ქართლის სამეფოს საზღვრების შესახებ, რომელიც მას XVI ს-ში გადააქვს. ამ საინტერესო ცნობის სხვა წყაროებით შემოწმებისას, ამ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ აეტორს თავისი თანამდებროვე ვათარება გადააქვს წინა საუკუნეებში. ამიტომაა, რომ მის მიერ აღწერილი საზღვრები თითქმის ემთხვევა XVIII ს-ის სხვა წყაროთა ჩვენებებს.

ქართველ ისტორიკოსთა ცნობები, ქართულ საბუთებში ასახული პოლიტიკური მდგომარეობა და უცხო აეტორთა შენიშვნები ავსებენ და აზუსტებენ ეგნატა-შვილი ბერისა და ვაჟუშტი ბაგრატიონის ჩვენებებს, ამიტომაც ყველა ესრი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განიხილება.

ვაჟუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ არაერთგზის აღნიშნავს, რომ ქართლის საზღვარი, მაგალითად აღმოსავლეთისა, არავესა და მტკვარზე გადის: „ხოლო მდინარე არაგვი განპყოფს ქართლსა და კახეთს“¹.

იგივეს იმეორებს იგი კახეთ-კუხეთზე საუბრისას, როცა მის დასავლეთ საზღვარს აღნიშნავს: „კუხოსს მისცა საზღვარი: ... „დასავლით მტკვარი და არაგვი“².

¹ ვაჟუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოცრისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 62. შემდეგ ყველგან: აღწერა...

² ვაჟუშტი, გვ. 86.

ქართლის სამეფოს უკიდურესი ოღონისავლეთი პუნქტი ვახუშტისთან ხუ-
ნანითაა განსაზღვრული.

ესაა ზოგადი, ერთ-ერთი ბუნებრივ-თემობრივი საზღვარი ქართლის სა-
მეფოსი. ჩვენთვის კი ცნობილია, რომ იგი არ იყო მუდმივი, რაღაც გადაუ-
ლახავი. პირიქით, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში პოლი-
ტიკური საზღვარი ხსრიად არ ემთხვეოდა ზემოთ აღწერილს. მითომაც ამ
საკითხზე მსჯელობისას გარკვეული ქრონილოგიური ჩარჩოები უნდა იქნას
დაცული, ჩვენს შემთხვევაში კი — XVIII ს. — სწორედ ამტრონდელი სხვა
ცნობებით უნდა დაზუსტდეს და შესწორდეს იგი.

XVIII ს. მთელ სიგრძეზე, ქართლისა და კახეთის სამეფოთა აღნიშნუ-
ლი საზღვარი შედარებით მყარია. ხოლო საუკუნის მეორე ნახევარში,
ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო ამ საზღვარსაც შლის. მიტომ ის-
ტორიული წყაროები, განსაკუთრებით კი, უცხოელ მოგზაურთა აღწერი-
ლობანი, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნაკლები ზედმიშვენილო-
ბით ხასიათდებან.

სხვაგვარი მდგრმარეობაა ქართლის სამეფოს უკიდურესი O საზღვრის
ჩვენებისას. აქ წყაროები უფრო ნათლად აღნიშნავენ, თუ სად თავდებოდა
ეს პოლიტიკური საზღვარი. უბისველს ყოვლისა, ჩვენს ურადღებას ივყ-
რობს ნაშენები ვახტაგ VI-ის წერილი და ეკატერინე I-ის 1726 წ.: «Того
ради прошу дабы... ежели Бог поможет взять от салтана через войну
или через мирной трактат даже до ниже показанных мест, которые в на-
шем владении было, а именно до реки Шамкоры, до Ереванской горы, до
Гуржи Богази, до Чани, до Черного моря, до Жики, до черкесского и
лезгинского рубежа, от Варташена до ширазского рубежа и до Куры
реки...»³.

ქართლის სამეფოს პოლიტიკური სამფლობელო, ოღონისავლეთით მდ.
შამქორამდე წარმოდგენილი და ცხადია იქვე იგულისხმება მაშინდელი არა-
ქართული ოლქები: ყაზახი და შამშადილო.

1723 წ. პარიზში დელილის მიერ გამოცემულ რუკაზე, რომელიც სულ-
ხან-საბა ორბელიანის ჩანაწერებზე დაყრდნობითაა შედგენილი, ქართლის O
საზღვარი აღსტატამდე მოტანილი.

ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში ძალიან კარგად ჩანს, რომ უკვე
თეომურაზისა და განსაკუთრებით ერეკლეს დროიდან (XVIII ს. შუა წლებ-
ში), ქართლის სამეფოში ყაზახისა და შამშადილის გარდა, თანადათან შემო-
დის განჯისა და ერეკლის სახანოები, საიდანაც ქართლის მეფები ხარეს იღე-
ბდნენ. სამისისო მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება პაპუნა ორბელია-
ნის, რმან ხერხეულიძის თხნულებებიდან. ამ უკანასკნელის სიტყვით ერეკლეს
კაცვა სიცოცხლესა მისსა მოხარკეობასა შინა განჯა, ყარაბაღი და ერევანი
და ჰმისახურებლენენ შესაბამითა ვალ-დებულებითა, ვიდრე მოსელამდე ყა-

³ Из письма Вахтанга VI Екатерине I, АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1726., д. № 1, л. 1.

⁴ ბ. კეკლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კოლექცია Q № 958

5 პაპ. ორბელი ი ნ. საქ. ცხოვრება, ს. ვიჭინაძის გმ., ტურ., 1913, 33. 83. 85. 91,
98, 188, 189, 192, 201.



ჯარი აღა-მამადხანისა“... „გარნა ვერც მან მოშალა სრულიად ერევნის სამსახური საქართველოსადმი“⁶.

იგივეს იმეორებენ უცხო აეტორებიც; ასე მაგალითად, 1770 წ. საქართველოს მდგომარეობის შესახებ, კაპიტან იაზიკოვის მიერ შედგენილ წერილში კარგად ჩანს, რომ მისი აქ ყოფნის დროს ერევლეს ემორჩილებოდა ქართლ-კახეთი, ოსეთის ნაწილი, ბორის ბორის და ყაზახი. მომთაბარე სპარსე ლნიამ ოლქების SO მხარეს, შაჰნალირის მიერ, ერევლეს სამემკვიდრეო მფლობელობაში გადაეცა, ხოლო ერევნისა და განჭის ხანები მეფეს ხარკს უნდანონ?

გიულდენშტედტის ცნობები საქართველოს შესახებ, აგრეთვე მისი რუკა 1772 წლისა, მნიშვნელოვანი წყაროთაგანია ვახუშტის აღწერასთან ერთად, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი ხდება ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები დაზუსტდეს XVIII ს-ში. შიდა ქართლზე საუბრასას გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ მის „აღმოსავლეთით არის კახეთი, ხოლო დასავლეთით — გამკვეთი ქედი, რომლის მეორე მხარეს იმერეთია“⁷.

სხვაგან აეტორი უფრო აზრსტებს ამ ზოგად მონახაზს და წერს: „ქართულ პროვინციას Tschina kartweli ე. ი. შუა, ანუ შიდა ქართლს, უკავია მთავარი ქედის სამხრეთი ნაწილი, მასა და სამხრეთ მთისწინეთს შორის მდებარე დაბლობი, რომელიც ჩაეყტილია დასავლეთით და აღმოსავლეთით განვითარების მიერ და სამხრეთი მთისწინეთის ჩრდილოეთი მხარე, მტკვრის გაყოლებით, მის იმ ნაწილში, რო მელიც მდინარე სურამულას და არაგვის შესართავებს შორის არის მოქცეული“⁸.

როგორც ვხდავთ, აქც ქართლის აღმ. საზღვრად არაგვია დადებული. არაგვისა და მტკვრის შესაყარს მერე, ქართლის სამეფოს საზღვრი მტკვრის მისდევდა; ამაზე მიუთითებს როგორც დელილის რუკა, ისე ვახუშტისა და გიულდენშტედტის ცნობებიც. ეს უკანასკნელი, ქართლის სამეფო პროვინცია ქვემ ქართლსა და სომხითხე საუბრისას აღნიშნავს, რომ „ის მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეზე, ზემო ქართლის ქვემოთ არავის შესართავი დან აღმოსავლეთით ქვევით და მარჯვენი სამხრეთით... მას უჭირავს არარატის მთისწინეთის ჩრდილო ნაწილი და მტკვრის მარჯვენა შენაკადები აღსტაფი მდე. აღმოსავლეთით მას ემეზობლება თურქმანულ-თათრული მხარე განჭა... ხოლო ჩრდილოეთით მტკვარი, რომელიც მას კახეთისაგან ჰყოფს“⁹.

რეინგების 1780—1782 წწ. ცნობებიდან, ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვრის შესახებ, ასეთი სურათი ისახება: მდინარე არაგვი ჰყოფს

6 თბან ხერხე ულიძე, საქ. ცხოვრება.., გვ. 276, 252.

7 А. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с. Петербург, 1891, стр. 28.

8 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი გ. გულაშვილისა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 267, შემდეგ ცვლავთ: გიულდენშტედტი...

9 ვ. გამრეკელი, საქართველოს 1772 წლის რუკა, თბ., 1964, გვ. 84.

10 გიულდენშტედტი.., ტ. I, გვ. 239-241.

ქართლსა და კახეთს (რომელსაც ის-აქ ალბანიას უწოდებს)¹¹; მერე საზღვა
რი მიყვება მტკვარს და უკიდურესი აღმოსავლეთის ოლქების შესახებ გვთქვა.
ტორი აღნიშნავს, რომ ყაზახი შამშადი ილო ერეკლე მეფეს
ემორჩილება, თან ამათ სამხრეთ-აღმოსავლეთით არი-
სო ილქები, რომლებიც აღრე ერეკლესადმი მორჩილ
სომხურ მოსახლეობას მოიცავდა და სპარსულ მხარეებს
ემეზობლებოდა¹².

ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი საზღვარი აღმოსავლეთით,
XVIII ს-ის ბოლომდე მოიცავდა არაქართულ ილქებს ს
ყაზახსა და შამშადი ილოს. ამის ზემოთქმულთან ერთად იდასტუ-
რებს ბურნაშვილის ცონბები და მისი რუკა 1784 წლისა. აქიდანვე ჩანს, რომ
ერევნისა და განვის სახანოები ერეკლეს ყმადნაფიცნი იყვნენ და ყოველწლი-
ურ ხარქსაც იხდიდნენ¹³. ყაზახიდან და შამშადილოდან, ომის შემთხვევაში,
საქართველოს მოსდომდა 6000 კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი ჯარი¹⁴.

ასეთი ჩანს XVIII ს-ში ქართლის სამეფოს ი და ს საზღვარი ზოგადად.
მაგრამ, ჩეენ გაგვინია სხვა ცნობებიც, რომელთა მიხედვით საზღვარი მტკვ-
რის მარცხნივიც არის გადატანილი და ეს ბუნებრივ-თემობრივი ზღუდე ქარ-
თლისა და კახეთის სამეფოებს შორის, ქართლის სამეფოს სასაჩვებლოდაა
გაზრდილი. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ქართლის სამეფოში შედიოდა:
„აში სუს ზეთ უდაბნონი და სამგორს ქუემოთი, ლილო და ლილოს ქუემო-
თი, და ჰევეძორას ქუემოთი, და არაგუს აქათი და ფშავის-წყალს აქათი“...
იგვენა გმეორებული II ტექსტში, სადაც კახეთის სამეფოს დასავლეთისა
და სამხრეთის საზღვარად მოცემულია: „არაგუს გამორმართ (წინა შემთხვე-
ვაში ქართლისათვის „არაგუს აქათი“ მის მარცვენა მხარეს გულისხმობდა,
აქ კი „არაგუს გამორმართი“—მის მარცხენა ნაპირს—დ. მ.) კევ-ძმარამდის,
ძულად ჰევეძორიდამ გაყოლილი ლილოს სერამდის, რაოდენი ლილოს სერსა
წყალი გასდის და შეერთვის მარტყოფის წყალსა, გაყოლით ვიდრე ამართუ-
ლამდე და ამართულს გაყოლით ვიდრე აჯისუმდე და აჯისუს გაყოლით
ვიდრე მტკვრის შესართავამდე¹⁵.

ლმრთაების გუჯარი 1722 წლისა, ასევე მოწმობს, რომ ეს ბუნებრივი
საზღვარი პოლიტიკური სიტუაციის გართულების შედეგადაა შეცვლილი, და
რომ მელად ასე არ ყოფილა: „ლილონი, გლდანი და ჭაჭენი ანგარებითა და
მძლავრობით მიერთინათ ქართლისა კათალიკოსთა და თბილელთა... და ვინცა
შიში ღმერთისა გქონან, კუალად ამასვე აგნით თვისნი სამწყსონი“¹⁶. რო-
გორც ჩანს, ცილობა მტკვრისა და არაგვის მარცხენა სანაპირო სოფლებისა-
თვის გრძელდებოდა მთელი საუკუნის მანძილზე. ამის მოწმობაა ვახუშტის
ისტორია, რომელიც 1722 წლისათვის აღწერს, თუ როგორ არბევდნენ კა-

¹¹ მ. ღ მ ბ ა ძ ე, რუსი ანთიმი XVIII ს-ის II ნახევრის საქართველოს შესახებ, გვ. საქ. და კავკასიის ისტ., ნაკვ. 35, 1963, გვ. 167 — 168.

¹² ა ჯ ვ ვ.

¹³ С. Д. Буриашов, Картина Грузии, или описание политического состояния
части карталинского и кахетинского, Тифлис, 1896.

¹⁴ ივ. გ ვ ვ ი ვ ვ ი ლ ი, საქოს საზღვრები, თბ., 1919, გვ. 15, 25; С. Д. Буриашов..., გვ. 6.

¹⁵ ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი პირველი და შეორე,
ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხნიშვილის რედ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 349, 476.

¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ. II, თბ., 1966, გვ. 364.

ხელები ლილოს, ხოლო ქართლელები საგურამოს¹⁷. ამასვე ადამტურებს პაპუ-
ნა ორბელიანის ნაშრომის სხვადასხვა აღილებიც¹⁸, ეს უკანასკნელი 1749-იანი
წ. ქვეშ მოვითხრობს: „წაბძანდნენ თრივ მეფენი (თეიმურაზ და ერეკლე
— დ. ბ.) საგურამოს, მოივანეს ქართლის მუშა და აღაშენეს ციხე ბოკო-
წინს... წაბძანდა მეფე ერეკლე კახეთს და აღაშენა ციხე ჭოეთისა“¹⁹.

მოუხედავად ზემოთ ნიჩევნები ზოგადი საზღვრისა (არავი-მტკვარი),
ქართლის საზღვარი თვითონ ვახუშტისაც მტკვრის მარცხნივ გადაქვს და
ისიც ძველი დროიდან გარდაბნის საერისთავოს აღწერისას იგი დასძენს:
„შემდგომად განდგომისა გრიგოლ მთავრისა, ამას დაედვა გრდანი,
ლილო და მარტყოფი, და იშოდებოდა ესენი გარდაბანი
და არს საერისთო ხუნანისა: ... გარდაბანი, სომხითი, ბერდუჭის მდი-
ნარე, ტაშირი და ბაშბაყი“. ასევე ბოსტან-ქალაქისა და გარეჯის მთის აღწე-
რისას, აეტორი ყარაიის ჭალას ახასიათებს, როგორც საქონლის საზამთრო
სადგომს: „ხოლო რაოდენი ელნი დაგუშერენით ქართლს, ზამთრი არიან ამ
აღილებთა შინა... და არს ესე სასპასპერო საბარათიანო-
ს“.

მეოთხე სასპასპერო, რომელიც მეფესთან მყოფია, ვახუშტის მიხედვით
ასე ისაზღვრებოდა: „აღმოსავლით ლილის საზღვრით, რომელი განვლის
ხაზი შარობის ლილოსასა აღმოსავლეთ-სამჯრითკენ ლოჭინამდე... მუნით
განვლის სამჯორსა და ჩადივარს შუა, და მრავალწაროსა და სათის-ჭალას
შუა, და მიაღვების ბერთ-უბნის ლელუსა, ხოლო ლილოდამ ჩრდილოთკენ
მოაღვების ქვე-ძმარს, და ქვე-ძმარი მტკვარს მოაღვების, და მტკვრის კიდე
მცხეთამდე“²⁰.

სხვაგან ვახუშტი ახასიათებს გრდანს, აეჭალას და შენიშვნავს: „ამ აეჭა-
ლის ბოლოს არის ქვეძმარი, ჩიმოგარდების მშრალი ქვეი ქვიტკირისა ლილო-
დამ მტკვრამდე. და ესე არს საზღვარი იშინდელი ქართლი ასე თისა“²¹.

ასეთია ცნობები, რომლებიც ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ და სამხ-
რეთ-აღმოსავლეთ საზღვრებს ეხება. მათი შეჯერების შემდეგ ეს სასაზღვრო
ხაზი ადვილი აღსაღვენია, მით უფრო ვახუშტის რუკის გათვალისწინების
შემდეგ.

* * *

ბერი ეგნატაშევილის ზემოთ ნახსენებ ცნობაში კარგად ჩანს, რომ არა-
გვის შემდეგ ქართლის საზღვარში ყველოდა „ფშავის წყალს-აქათი, გუდამა-
ყარი, და ქეხხილაკას აქათი; და კასრის ქეცს აქათი; წედისის მთის გარდო-
ლმართი და კუდარო, და ჭალის მთას გარდმოლმართი“²².

აქ მოტანილ დასახელებათაგან, ფშავისწყალი არავის მარცხენა შენაკა-
დია, რომელიც ფხოველთა მთებში იღებს სათავეს, მოედინება ჩრდილოეთი-
დან სამხრეთისაკენ და ჟინგანის მახლობლად ერთვის არაგვს.

17 ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 126 — 27.

18 ვახუშტი არბელიანი, საქ. ცხოვრება., გვ. 91, გვ. 120.

19 იქვე, გვ. 161.

20 ვახუშტი, აღწერა., გვ. 51.

21 იქვე, გვ. 94.

22 ბერი ეგნატაშვილი, ქუა, II; იქვე, გვ. 349.

ჩრდილოეთით, ქართლის საზღვარზე, ეს წყარო გუდამაყარს ასახელებს, ხილაკის ხევი და კასრის ხევი კი დვალეთის ხევებია; წედისის მთის გაძმო-ლმართი და კუდორთ — რაჭისაგან მიწნავდა ქართლს.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები, ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვრის შესახებ, მეტი სისრულით წარმოგვიდგენენ ვითარებას. ექვემდებარება ამ ჩრდილოეთის სა-საზღვრო ოლქი გუდამაყარი კი არაა, ეგნატაშვილის მსგავსად, არამედ ხე-ვია დასახელებული უკიდურეს ჩრდილოეთ რაიონად²³.

ექვემდებოდა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეს ნაწილი, კავკა-სიონის ქედის ჩრდილოეთით გადაღიოდა უძველესი ღროიდანვე და თერგის დინებას მიყვებოდა ჩრდილოეთის მთავარი გზა დარიალისა.

ვახუშტის სიტყვით, მდინარე თერგს „გველეთს ქვეით ერთვის... ქვეი, სამერ-აღმოსავლეთიდამ, გამოსდის გუდამაყარისა და ძურძუკის კავკასია, მო-დის დასავლეთს-ჩრდილოს შუა... ამ ქვეს ქვეით დავწროვდების პევი ეს კლდითა, და აქა არს ციხე დავითისა... აღმაშენებლის აღშენებული. ამას ქვეით არს დარიელა, მეფის მირვანის მიერ — შეაბა ქარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოქსთავების, რათა უმისით უფრარა ვიღოდნენ (ამას უწოდებენ ევროპელნი კავკასიის კარად და მეორეს ლექეთის კავკასიის გზასა). ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა ოდეს გაიღაშეჩინ ოქსეთად, მუნ დადგიან“²⁴.

ვახუშტის ამ აღწერიდან აშენაა, რომ დაგიოთის ციხისა და დარიალის ჩრდილოეთით, ხევში უკანასკნელი პუნქტი მეფეთა ნასასახლევი ყოფილა, რომელიც ჯარიეხის მახლობლად უნდა ყოფილყო²⁵. ხევის დასავლეთით, ქარ-თლის სამეფოს სასაზღვრო ხაზი კავკასიონის მთავარ ქედს მიყვებოდა და შემდეგ დვალეთს მიადგებოდა, რომელიც ასევე უძველესი ღროიდან XVIII ს-ის ჩათვლით, ქართლის სამეფოს სასაზღვრო ქვეყანა იყო ჩრდილოეთიდან.

დვალეთიც, კავკასიონის მთავარსა და პირიქითელ ქედებს შორის მოქ-ცეული მხარეა, თან ჩრდილოეთით მყოფი ქედი, მთავარზე უფრო მაღალია და ე. ი. მეტად გაუვალიც.

ვახუშტის აზრით, ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზს ჰქონდა ძურძუკი და დვა-ლეთი „და სხვანი ქევნი იგინი დაშთენ მეფეთა ოქსთასა“²⁶. დვალეთს ავტო-რი ხევებად განცოლს, აქე ჩამოთვლის მათ: კასრის ხევი, ზრამაგა, რდელე, ნარი, ზროვნ და ზახა²⁷.

საინტერესო ვახუშტის შენიშვნაც: „არამედ ქევი, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა (ე. ი. დარიალი — დ. ბ.) არს დვალეთისავე. გარნა ვინათვან მტკიცედ ღიაბყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახე-ლითა ქევად, ვინათვან არს ქევი შევნიერი. არამედ თრუსო კვალად არს დვა-ლეთისავე, და ეგრეთ საცნობი ესეცა“²⁸.

ავტორის დაწერილებითი აღწერიდან ჩანს, რომ დვალეთი მოზღუდუ-ლია: აღმ-ით თრუსოსა და ხევის მოებით, ჩრდილოეთიდან — კასრისხევისა და

23 ვახუშტი ი., აღწერა., გვ. 66.

24 ვახუშტი ი., აღწერა., გვ. 67.

25 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, გვ. 10.

26 ვახუშტი ი., აღწერა., გვ. 107.

27 იქ 30.

28 იქ 33.

ხონის მთებით, სამხრეთით-მაღრან-დვალეთის კავკასიონით, ზახა, ბრუკინის მელასა, ზეკარისა, და კედელის მთებით დასავლეთიდან²⁹.

თავი რომ დავანებოთ ვახუშტის ცნობებს-დვალეთში არსებული ციხე-სიმაგრეების, ქართული კლესიების არსებობის შესახებ, რომლებსაც ადგილობრივი თამარის ნამოლვაშარად სთვლიდნენ, უფრო გვიანი ხანების — XVII—XVIII ს-ის მატერიალური კულტურის ძეგლებიც, ქართველ მეფეთა შეწირული ზარები, აშკარად მოწმობენ გვიანფეოდალური ქართლის სამეფო-ში დვალეთის შემოყვანას³⁰.

სენია ჩხეიძის ცნობით, ვახტანგ VI ჯარით შევიდა დვალეთში, დააქცია 30 ცხე „დაიმონა ზემო ნარიდამ ქვემო კუდარომდის, დასდგა ბეგარა და მსახურებდნენ“³¹. იგივე ამბავი ვახუშტის 1711 წლისათვის აქვს ოლწერილი. ვახტანგ „აღიმხედრა სპითა შესვლად ოცხეს და შევიდა და შემუსრა პ კოშკი... ჩაელო ზრამაგა და შემოვლო უღლისხევი და გარდოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული... დაიძყრა დვალეთი და დასდგა ხარენი“³².

ძველად ქრისტიანები, დვალები ნიქოლის სამწყსოში ითვლებოდნენ³³. XVIII ს-ის მთელ მანძილზე გვაქვს სიგელები, რომლებიც ქართველ მეფეებს დვალეთში მოსახლე წარჩინებულ ოსებზე გაუციათ: ხენჩაურზე, ხეთაგურზე, ელიყანაშვილსა და სხვებზე, მათ ერთგული ნამსახურობის ჭილდოდ³⁴.

აქვე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვ. გამრეველის მიერ აღმოჩენილმა თვედაცვითი ნაგებობების მთელმა სისტემებმა კასრის ხევში, ხილაკის ხევში, უკორი შიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დარიალის ციხესთან ერთად, სწორედ პირიქითში, მთავარი ქედის გადაღმა შექმნილი ეს ნაგებობანი ერთიანი სისტემის სხვადასხვა ნაწილებია. ე. ი. ქრონოლოგიურადაც ერთი ასაკისანი არიან და აღრეფეოდალური ხანიდან მოყოლებული XVIII ს. ბოლომდე (რა თქმა უნდა წყვეტილებითა და რესტარიზაციით), კავკასიონის ამ სამი ძირითადი გადასასვლელისათვის ზრუნვას მოწმობს ქართლის სამეფოს ჩრდილო საზღვარზე³⁵.

ქართულ წყაროებში კარგად ჩანს, რომ ქართლის სამეფოს ჩრდილოეთის მეზობელი ტომები მორჩილებდნენ, ან მეგობრობდნენ ქართლის სამეფოს. ყოველ საქირო შემთხვევაში ისინი ჯარით ეხმარებოდნენ მას. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1750 წ. ქართველებმა „გაგზავნეს კაცნი მშინვე ჩერქეზეთში, ოსეთში და მთების ქვეყნებში, ჯარები დაიბარეს“. ასევე იყო 1752 წელსაც. 1754 წ. კი, „გარდამოვიდა ჯარები შემწედ, რომელი დაიბარეს მეფეთა ჩევნთა, ჩამოვიდნენ ანანურს ჯარი ჩერქეზისა, კალმუხისა, ჯიჯისა, ქიშტისა, ლლილვისა, ნოლისა და ოსისა“³⁶.

29 ვახუშტი ვ. ალწერა.. გვ. 115.

30 ვახტ. ვამრეკელი, მასალები დვალეთისა და ქართლის ურთიერთობის ისტორია. დან, „ძეგლის მეგობარი“, 14, 1968, გვ. 15 — 18.

31 საქართველოს ცხოვრება, ზაქ. ჭიჭინაძის რედ., ტუ., 1913, გვ. 26.

32 ვახუშტი ვ. ალწერების ცხოვრება, გვ. 118.

33 ვახუშტი ვ. ალწერა.. გვ. 110.

34 ვ. ვამრეკელი, იქვე, გვ. 19.

35 ვ. ვამრეკელი, დვალეთის კანი ცენტრალურ კავკასიონზე (სასახლეებო სამაგრებები), „ძეგლის მეგობარი“, 5, 1965, გვ. 32 — 33.

36 საქართველოს ცხოვრება, გვ. 184, 201, 215.

გარდა ქართული წყაროებისა, ჩვენ გვაქვს უცხო მოგზაურთა ცნობებიც, რომელთა მეშვეობით შესაძლებლობა გვაქლევა წარმოიდგინოთ ქირს ლის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი XVIII ს-ში.

კაპიტანი იაზიევის წერილიდან, რომელიც 1770 წელსაა შედგენილი, ირ-კვევა, რომ ქართლის სამეფოს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ოსეთი, რომ-ლის უმეტესი ნაწილი ერეკლეს ემორჩილებოდა³⁷. აქ სახელდებით ოლქები, თუ მხარეები ამ ოსეთისა ჩამოთვლილი არაა, მაგრამ ზემოთქმულიდან გა-მომდინარე, ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ავტორი დვალეთს გულისხ-მობდა.

გიულდენშტედტის ცნობების მიხედვით, დარიალის ხეობით მომავალი ავტორი სტეფანწმინდას მოსულა, ესაონ ყველაზე ჩრდილოეთის ქართული პუნქტი თერგზე. ვახუშტის მიერ მოხსენიებულ დარიალის კას, დავითის ციხეს, მეფეთა ნასახალევს ამ ხეობაში გიულდენშტედტი არ ასახე-ლებს. უნდა ვიფიქროთ, ავტორი დასახლებულ პუნქტებს გულისხმობს, როცა უკიდურეს ჩრდილოეთის ქართულ პუნქტად სტეფანწმინდას ახსენებს. „სტე-ფანწმინდა უკანასკნელი ქართული სოფელი და საჯდომი აზნაურისა, რომე-ლიც თვალყურს ადგვნებს სასაზღვრო სოფლებს და მეფის მიერ მოღებული აქვს კაზბეგის ტიტული“³⁸.

ქართლის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრის შესახებ, გიულდენშტედტის მსჯელობა საქმაოდ დაწვრილებითია და ამიტომ მისი საინტერეს ცნობების მოტანა უადგილო არ იქნება. „მცირე ყობარდოს დასავლეთ ნაწილს და ქის-ტეთის დასავლეთ მხარეს ესაზღვრება პროვინცია ოსეთი, მას უკავია არა მარტო მთელი ჩრდილოეთი მხარე მთავარი ქედისა, არამედ ნაწილობრივ სამხრეთი მხარეც მდ. არაგვზე, ქსანზე, პატარა ლიახვზე და დიდ ლიახვზე, რომლებიც მტკვარში ჩაედინებიან, და ჯეოზე, რომელიც რიონს ერთვის. ძველად მთელი ხალხი, რომელსაც არ ჰყავს წარჩინებული აზნაური, ემორჩი-ლებოდა ქართველთა მეფეებსა და თავადებს ... სამხ. ნაწილი ამ ხალხისა ამ-უამადაც ქართველთა ბატონობის ქვეშა. მხარეები თორუსთ და ლუდა ეკუთ-ნონდენ არაგვის ერისთავის თავადურ გვარს და მისი დამხობის შემდეგ ეკუ-თნიან ქართლისა და კახეთის მეფეს ერეკლეს; მდ. ქსანზე, პატარა ლიახვ-ზე, და დიდი ლიახვის ზემო წელზე მდგარე მხარე მაღრან-დვალეთი ემორ-ჩილება ქსნის ერისთავთა თავადურ გვარს; დანარჩენები დიდ ლიახვზე მდე-ბარე მხარეები არის თავად მაჩაბლის საკუთრება; დაბოლოს ჯეოზე მდე-ბარე მხარე დვალეთი ეკუთნოდა რაჭის ერისთავის თავადურ გვარს, ხოლო მისი დამხობის შემდეგ არის უშუალო საკუთრება იმერეთის მეფის სოლო-მონისა; ერეკლე მეფეესაც აქვს მასზე ძველი პრეტენზია, ან ყოველ შემთხვე-ვაში სურს რომ ჰერნდეს“³⁹.

ზემოთ მოტანილი ცნობები ეგნატაშვილი ბერისა, ვახუშტის „გეოგრაფი-ისა“ და მისივე ისტორიიდან — ეკვს არ სტოკებენ, რომ დვალეთი კასრის, ხილაკის, ზრამაგისა, ნარის და ზახას ხევებს მოიცავდა. გიულდენშტედტი კი მას ჯეგორის მდინარეზე ასახელებს. საფიქრებელია მას სწორი ცნობა არ მიაწოდეს დვალეთზე, ხოლო რაკი მდინარე ჯეგორაზე მართლაც ოსები სახ-

37 ა. ა. ცაგარელი, გრამოთ..., თ. I, 1894, სტ. 183.

38 გ ი შ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მოგზაურობა..., ტ. I, გვ. 4.

39 გ ი შ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მოგზაურობა..., ტ. II, გვ. 173.

ლობდნენ, ავტორმა მიიღო ისინი დვალებად; აკი ვახუშტის გეოგრაფიაც მოწმობს, რომ ჯეჭირა „გამოსდის კედელა კავკას და დის კუდაროს ჩასაცილებელის კარგა ქვეითამდე ... მის აღმოსავლეთი კიდეულზე არს ციხე ... მდინარის ზეით მოსახლენი არიან ოცნი ... უწოდებენ ამას კუდაროს ... მის აღმოსავლეთ-სამხრით მცირეს მთას იქით, არს წინა... აქა არს მცირე ტბა. ამას გამოსდის ყვირილი“⁴⁰.

ქართლის სამეფოს ჩრდილოეთის საზღვარს ეხება პოლკოვნიკი ბურნაშვილი, 1786 წ. ჩატარებულ ქართლის აღწერაში. თერგის ხეობაში საზღვრად იგი ასახელებს ფრიად ძველსა და მტკიცე მდებარეობის ციხეს, ძველებურ წესზე აგებულ, კოშკებით შემკულ სიმაგრეს, რომელიც მდინარე თერგის სათვის მიდამოებში მდებარეობდა⁴¹. უნდა ვითქმიროთ, ბურნაშვილ ვახუშტის-გან დავითის ციხედ წოდებულ სიმაგრეს ვარაუდობს დარიალთან. მისივე ცნობით, ოსების ნაწილი მორჩილებს ერეკლეს, მეორე ნაწილი ყაბარდოელებ-თან ერთად კი მეგობრობს მასთან და ომებში გარითაც ემსახურება⁴².

* * *

ქართლის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი თუ კავკასიონის მაღალ მთებს ებჯინებოდა, რომელზედაც ძნელად გასავალი რამდენიმე ულელტებილი აკავ-შირებდა უცხო გარემოს, მის დასავლეთის საზღვართან სხვა ვითარებაა. აქაც თემობრივი საზღვარი ბუნებრივ ზღუდეს გასდევდა და ძირითადად ლიხის მთით იყო განსაზღვრული. ამაზე ქარგად მიუთითებს, უკვე განვითარებულ ფერდალურ ხანაში დამოწმებული სახელები, ქვეყნისა და მოსახლეობის აღმნიშვნელად რომ იხმარება: „ლიხთ-იმერეთი“ და „ლიხთ-იმერი“, „ლიხთ-აქათი“ და „ლიხთ-ამერი“⁴³.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს იყო ზოგადი, თემობრივი განსაზღვრა რომელიც XVIII საუკუნისათვის დაზუსტებას მოითხოვს.

ქართლის სამეფოს დასავლეთის საზღვარს ბერი ეგნატაშვილი საქმაოდ დაწერილებით ავეტერს: „წედისის მთის გადმომართო, და კუდარო და ჭალის მთის გარდმომართო, ერწო, და მშვილდაურსა და პერანგას გადმომართო, გორასძირს-აქათი, ლიხი, ლოდორა, ქეფინისქევი და ჩხერის ციხე, და მას ზემოთ ისრე გაყოლით მთის აქათი“⁴⁴.

როგორც ამ აღწერილობიდან ჩანს, ქართლის სამეფო, დვალეთთან ერთად მოიცავდა მის დასავლეთით მყოფ რაჭის ნაწილსაც მდინარე ჯეჭირის ხეობაში: აქა სწორედ წედისის მთა და კუდარო. (მოიგონე ზემოთ მოტანილი ვახუშტის „აღწერის“ ცნობა, საღაც ეს ადგილები თემითაა დასახლებული).

40 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 160.

41 Картина Грузии или Описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное полковником Бурнашевым в 1786 г., Тифлис, 1896 г., стр. 9.

42 აქათი, გვ. 113.

43 ისტორიანი და აზმ., ქუა, II, გვ. 7, 34, 229, 15, 6 და სხვ.

44 ბერი ეგნატაშვილი, ქუა, II, გვ. 349.

ვახუშტის ისტორიის ცნობითვე, ვახტანგ VI-მ 1711 წ. დვალეთის შემოვლის შემდეგ, „გზრდმოვლო კედელისა ზედა და მოვიდა კუდაროს დარღოდამ ქართლს გამარჯვებული“⁴⁵.

აქვე არ შეიძლება არ გავისისენოთ გიულდენშტედტის ზემოთ მოყვანილი ცნობა, სადაც ავტორი ერეკლე მეფის პრეტენზიებზე ლაპარაკობს ხეობაში მყოფი დვალეთის მიმართ: ბუნებრივია, თუ რაჭის ეს ნაწილი ადრე-ვე ითვლებოდა ქართლის სამეფოში, ომოსავლეთში საქმაოდ ძლევამოსილ ერეკლეს, ამ დროს არავისთვის არ დაეთმო იგი.

პერანგას მთა და მშეილდაურისა, ლიხის მთის გამგრძელებელი ქედებია ჩრდილოეთით, მაგრამ ბერის ცნობაში ნასხენები ერწო და ვალის მთა-არ-გვეთის ნაწილები უნდა იყოს. მართლაც ვახუშტის ცნობით: „გამოსდის ყვი-რილა ერწოს ტბას და მოდის ჩრდილოეთიდან სამწრეთად ვალამდე“⁴⁶.

ასევე ძევლი არგვეთის პუნქტებია, ლიხი, ლოდორა, მთელი ხეფინის ხე-ვი, ჩხერის ციხე.

მოტანილი ცნობის ანალიზი გვიჩვენებს: ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი მოიცავდა რაჭისა და არგვეთის აღმოსავლეთ ნაწილებსაც, მაგრამ ლიხის ქედიდან არცთუ ძალიან იყო დაშორებული.

რაც შეეხება ხეფინის ხევს, იგი მოელი საკუნის მანძილზე ქართლის სამეფოს უცილობელ მფლობელობაში ჩანს. ამის დამადასტურებელ საბუთ-თაგან საქამარისია ორიოდ მაგალითიც: 1701 წ. „რავაში ეუფლა ვახტანგ მა-მულსა თვისსა (ე. ი. ქართლი — დ. ბ.), მოსცა აბაშიძემ ხეფინის ხევი: „ვა-ნათგან მკვიდრი თქვენი არს“⁴⁷. ამიტომ იყო, რომ აქაური აბაშიძენი ყოველ-თვის ერთგულობრივ ქართლის მეფეს და ხშირად ნათესაურ კავშირშიც იყვ-ნენ მასთან. პაბუნა ორბელიანის ცნობით, 1746 წ. „მოვიდა აბაშიძე ზურაბ, უხუცესი ძმა ვახუშტისა, რომელი იყო სიძე მეფის ვახტანგისა ... დაარწმუნა მეფეს თეიმურაზს, ამისდა სამუქაფოდ უბოძა ქეფინის ხევი, რომელი არს სამზღვარი, ქართლისა და იმერეთისა, მკვიდრი მამული ქართველის ბატონი-სა“⁴⁸.

ვახუშტის ცნობები ავსებენ და აზუსტებენ ქართლის სამეფოს საზღვარს. მისი სიტყვით: „სურამის დასავლით, ლიხის მთის საშუალსა შინა, არს დაბა ფონა. ამ ფონას გასდის ჩხერიმელის მდინარე და მიდის დასავლეთ-სამხრეთ ჟურა მებოძირის ზეთითამდე. მას ქვეით დაბის ქვაბამდე არს ქართლისა“⁴⁹. შემდეგ აღწერილია ჩხერიმელის შენაკადები — ჩრდილისა და ნუნისის ხევები და ჰქვია ამას „აღწერა მთას იქითისა“ (რა თქმა უნდა, იგუ-ლისხმება ლიხის მთა)⁵⁰.

ამას მოსდევს „აღწერა ქეფინის—ქევისა: კვალიდ ფონას ზეთ და სურამის დასავლით ლიხის მთას გასდის ქეფინის-ქევის წყალი და მიერთვის ძირულას ომოსავლიდამ. ხოლო ძირულა გამოსდის მთასა პერანგას და დის ლოდორა-მდე სამწრით და მუნიდამ მომრგვალვით დასავლეთად. არამედ არს 30 რტყ 30 ლამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვი-

45 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 151.

46 ვახუშტი, აღწერა, გვ. 151.

47 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 106.

48 იქ 30, გვ. 124.

49 ვახუშტი, აღწერა, გვ. 82.

ლილამ ნადაბურამდე ქეფინის-კევსა ... ვერტყვილას მოერთვის შემცირებული მკრიდან ვერტყვილისავე ჸევი. ხოლო ვერტყვილას და ამაშუ - კეთს შუა არს მცირე მთა, მისრული კოლბეურის მთა მდე. და ესე არს საზღვარი ქართლი-მერთა აწინ დელი. შემდეგ ოლწერილია ქეფინის ხევის შენაკადები⁵⁰. ორივე ამ ქვეთავის ოლწერილობა შეტანილია ქართლის სამეფოს ოღვერაში და ეპეს არ ტოვებს იმაში, რომ ესაა ვახუშტისდროინდელი ქართლის სამეფოს დასავლეთი საზღვარი. აյი ხაზგასმით ონიშნავს აეტორი, რომ ესაა „საზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი“.

იგივეს იმეორებს აეტორი იმერეთის სამეფოს ოლწერისას, კერძოდ მდ. ძირულაზე, ვერტყვილამდე თვლის ქეფინის ხევს (ქართლის საზღვარში შემავალს). ჩერქიმელაზე ქართლის სამეფოს საზღვარს, აქ ოდნავ განსხვავებულს იძლევა: „ვახანს არს ციხე კარგი; ამ ციხის პირისპირ დაბა ქვაბი. ამას ზეით მებოძირი, რომლის ზემოთ დავსწერეთ ქართლზედ. მთას იქითადა⁵¹. ე. ი. ძირულ შემთხვევაში, ჩერქიმელაზე ქართლის საზღვარი ჩამოტანილია ქვაბამდე (ვახანს ციხის პირისპირ), მეორეჯერ კი საზღვარი მებოძირზეა. ორივე ეს პუნქტი საკმაოდ ახლოა ერთმანეთთან, ისე, რომ მათ შორის სასაზღვრო ხაზის გატარებით დიდი შეცდომა არ მოგვივა.

მოტანილი ცნობების მიხედვით გამოდის, რომ ქართლის სამეფოს და სავლეთის საზღვარი მოიცავდა კედელა კულდაროს მთებს. ორვერთში ეს საზღვარი გადიოდა ლიხის მთის პარალელურ წყალგამყოფ ქედზე, რომელიც კოლბეურის მთასთან იწყებოდა და ვერტყვილასთან თავდებოდა. იგი ერთმანეთისაგან გამოყოფდა ძირულასა და კოლბეურის წყლის აუზებს. შემდეგ სამხრეთით ეს საზღვარი მიჰყებოდა ვერტყვილა-დაბა ქვაბის გამაერთიანებელ ხაზს (ამ შემთხვევაში ეგნატაშვილი ბერის მიერ მოცემული პუნქტი: ჩერქის ციხე — ოდნავ დასავლეთით ჩერქა).

ჩვენ მიერ ზემოთ მოცემულ საზღვარს, არც მაქსიმე მიტროპოლიტის 1769 წელს შედგენილი წერილი ეწინააღმდეგება. აქ იგი, მისი თანამედროვე საქართველოს სერთო ვათარებას აღწერს, ონიშნავს მხარეთა საზღვრებსაც; იმერეთის მდინარეების ჩამოთვლისას ამბობს, რომ ძირულა იღებს სათავეს ქართლში, უერთდება ყვირილას და ჰყოფს ქართლისა და იმერეთის საზღვრებს⁵². როცა ძირულაზეა საუბარი, აქაც ნაგულისხმევი უნდა იყოს ძირულის ხეობა, მისი აუზი წყალგამყოფ ქედამდე, როგორც ეს ვახუშტისთანაა.

გაულდენშტერლის „მოგზაურობაში“, ასევე კხვდებით ზოგიერთ მასალას ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრის შესახებ დასავლეთიდან. თავის დღიურში იგი ოლწერს გზას ქართლიდან იმერეთში: ქრცხინვალი — სურამი — ვახანი — ჩერქი — შორაპანი. სწორედ ამ გზაზე, იმერეთის სასაზღვრო ციხედ მას ჩერქი აქვს დასახლებული ძირულას მაჩცენა შენაკად ჩერქიმელაზე. აქამდე კი მოიხსენიებს წიფას, სოფ. ქვაბს, ზეთუბანსა და ვახანის ციხეს⁵³. „ხეობა, ან დაბლობი ჩერქიმელისა (რომელიც ძირულას ერთვის მარცხნიდან, ეს კი ყვირილაში ჩაედინება მარცხენა მხრიდან) ძალიან ფართოვ-

50 ვახ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 82.

51 იქვე, გვ. 154, 155.

52 A. A. ცაგარელი, გრამოთი... თ. I, 1891, სტ. 28.

53 გაულდენშტერლის მოგზაურობა, წიგნ I, გვ. 173, 175.

დება მდინარიდან იმერეთის ციხე ჩხერისაკენ, იგი ნაყოფიერია და კუჭულვნის ხრამის, ე. ი. ხეობის მხარეს; თუმცა იმერეთის კუთვნილებაა, მაგრამ ანლა მისი ზედა ნაწილი ქართლში შედის⁵⁴.

ვახუშტისაგან განსხვავებით, რომელიც პოლიტიკური კუთვნილებისდა მიხედვით, ამ მხარეს ქართლის აღწერას მოაყოლებს და „მთას იქითს“ უწოდებს, გიულდენშტედტს, იმერეთისადმი გეოგრაფიულად კუთვნილი „მხარე ხრამ“-ის აღწერა იმერეთან აქვს: „მას უკავია ხევი (ხრამი), ან და მდინარე ჩხერიმელას გაშლილი ვაკე იმერეთის ციხის ჩხერის ზემოთ. წინათ ეს მხარე მთლიანად იმერეთს ეკუთვნოდა. მაგრამ, თავადი აბაშიძე, რომელსაც ეკუთვნოდა „ვახტა“ და სოფლები ირგვლივ, დიდი ხნის წინ დაიმორჩილა ქართლის მეფებმ; ამრიგად, ზედ ნაწილი ეკუთვნის ქართლს და მხოლოდ ქვედა — იმერეთს⁵⁵. ამას მოსდევეს სოფლები, იმერეთის მეფის მორჩილი და მერე — სოფლების რივი აბაშიძისა, რომლებიც ქართლის მეფეს ემორჩილება — ამ 17 სოფელში რიგით პირველი ვახანის ციხეა.

როგორც ვხედავთ, დასავლეთის საზღვრის ეს ნაწილი, ვახუშტის მსგავსადაა ამ ავტორთანაც ვანსაზღვრული.

თითქმ საფუძველი გვქონდა, იმერეთ-ქართლის პოლიტიკური საზღვარი დანარჩენ ნაწილშიც ვახუშტისებურად გვეგულისხმა გიულდენშტედთანაც. მით უფრო, რომ ყველა სხვაგან, იგი ლიხის ქედს იღებს ზოგად საზღვრად ამ სამეფოებს შორის. მაგრამ, შიდა ქართლის აღწერას რომ ამთავრებს, გიულდენშტედტი წერს: „სურამულას მხარე მოიცავს ქართულ მხარე საწერეთლოს. ის ეკუთვნის იმერეთის თავადს წერეთლს, და, მაშასადამე, ამდენად იმერეთს, თუმცა მდებარეობს ქართლში. ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება იმერეთის მხარე რაქა. ამ მხარეში, ზემოხსენებულ მდინარეზე (ე. ი. სურამულაზე — საწერეთლოში — დ. ბ.) არიან: 1. სურამის ციხე. 2. იტრია, 3. ციხე ოსიაური, 4. ციხე სატივე, 5. დანგრეული ციხე მოხისი, 6. ძალინა, საღაც სპილენძის მაღნებია, 7. ციხე აბისი, 8. სამწევრისისი⁵⁶. აქ ჩამოთვლილ სოფელთაგან, რომლებსაც ავტორი სურამულასა და საწერეთლოში თვლის, მდ. სურამულაზე მხოლოდ სამია (სურამი, იტრია, ოსიაური), ალის წყალზეა სატივე, ფცის წყალზეა მოხისი, აბისი და ძალინა, ხოლო სამწევრისი სახერთოდ მტკვარგამმა საციიცანში. ასეთი ერთეული — საწერეთლო არც ვახუშტის აქვს საღმე ქართლის მიდმოებში⁵⁷. ამიტომ, ვიდრე არა გვაქვს გვანცეფოდალური ხანის ამის დამმოწმებელი სხვა დამატებითი საბუთი, გიულდენშტედტის ამ ცნობას საბოლოოდ ვერ ვენდობით. რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა — ფეოდალური ცხოვრების რომელიმე მონაცევეთში ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვარი ლიხის აქით გადმოსულიყო, თუნდაც იმგვარად, როგორც ეს გიულდენშტედტს მოაქვს ზემორე; თითქმ ასეთ-სავე მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, ვახუშტისთან, როცა ლიხის გამგრძელებელ მშვილდაურის ქედის აღმოსავლეთით, დვანის წყალზე მთაში გვევდება „ციხე საქართლისა“, იქნებ აქაც ქართლის სასაზღვრო ციხის აღმნიშვნელი იყო ეს სახელი („საქართლის“); მაგრამ ამასაც, ისე როგორც გიულდენ-

54 გიულდენშტედტის მოგზაურობა, წიგნი I, გვ. 175.

55 გიულდენშტედტის მოგზაურობა, ტ. I, გვ. 309.

56 ვ. გ. ვ. გვ. 279.

57 ვ. გ. ვ. ვ. ვ. აღწერა, სოფლების სიები.

შტედტის მოტანილ ცნობას სხვა მასალებით უნდა შემოწმება, ურომლისოდაც
მათზე დაყრდნობა არ იქნებოდა გამართლებული.

ბოლოს, ჩვენთვის საჭირო საკითხს აღარაფერს მატებს რეინგვის ცნო-
ბა 1780—82 წლისა, რომლის მიხედვით ქართლ-იმერეთის საზღრად ზოგა-
დად ლიხის ქედია დასახელებულის.⁵⁸

ამიტომ ყველაზე სანდო ამ შემთხვევაში ვახუშტისეული საზღრაი ჩანს,
სხვა წყაროებით შემოწმებული და დადასტურებული. იქ, სადაც მეორე სა-
სპასპეტოსა და საამილახვაროს საზღვრებს იძლევა, ვახუშტი წერს: „ვიწყებთ
მეორეს სასპასპეტოს, მემარჯვენეს, შიდა ქართლის ნაკუეთსა, რომელი არს
აწის ზემო-ქართლი“ (აღსანიშვანია, რომ ვეინსაშუალო საუკუნებში, აღბათ
მას მერე, რაც შუაფერდალური ხანის ნამდვილი ზემო ქართლი თურქებმა
იგდეს ხელთ, მისი აღმნიშვნელი „ზემო ქართლი“, შიდა ქართლის დასავლეთის
შეერქვა და ეს დადასტურებულია ვეინი ხანის საბუთებში).

სწორედ ამ ახალი ზემო ქართლის საზღვრებად ავტორს დასახელე-
ბული აქვს სამხრეთით მდინარე მტკვარი, აღმოსავლეთით ხაზი კასპის
ბოლო, ქსნის სათავეები, ჩრდილოეთით კავკასია, ხოლო დასავლეთით „ძირუ-
ლას იქითი მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიყვება ჩრდილოთ კერან-
გამდე, მუნიდამ ერწო-კუდარამდე“. ამაზე ჩრდილოეთით, ჩვენ ვნახეთ, რომ
ეს საზღვრარი კედელას მოებით კავკასიონს მიადგება დაალეთის ჩათვლით.
სამხრეთისაკენ კი, ისევ მთა კოლბეურისა, კეფინის ქედები და ამაშუეთს შუა,
მიყვების სამკრიო ვერტუვილამდე; ვერტუვილიდამ ხ.ში ჩერიმელის დაბის
ქვაბამდე და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკულიანის
შთამდე⁵⁹.

* * *

ბერი ეგნატაშვილის ცნობაში ქართლის სამეფოს საზღვრების შესახებ,
ყველაზე ბუნდოვანი რჩება ამ სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრარი და ეს
მოუხედავად აქ ჩამოთვლილ სასაზღვრო პუნქტთა სიმრავლისა. ხდება კი ასე
იმიტომ, რომ ამ პუნქტების სახელებიდან აღარაა შემორჩენილი, ხოლო ჭა-
წილი შემორჩენილია, მაგრამ დამახინჯებით. ყოველივე ამის მიხედია მესხეთ-
ჯავახეთის დაყრობა თურქთა მიერ.

ცნობის ეს ნაწილი ასე შემონახავს ბერს: სამხრეთ-დასავლეთით არ-
გვეთის ნაწილის შემდევ ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა „ქეობა ვიდრე დვი-
რამდის, კოდიანს გარდმოლმართი, ნინოსკევი რომ ჩამოივლის, გლომით სამ-
გორისსენ, ცივწყაროს ჭივ-ჭივ გაყვება, გახშული-ბარშიამის მთა, ჩამოივლის
ჭანჭლის ციხე საღმოს თავსა, ბორცვს ზემოთ წაივლის სერ-სერ სათხე ქუნ-
ცელის თავსა, გარდავლითა ხენჭურის თავსა, პალავაციოს მთამდე, რომელსაც
თურქენი იელდოლდის ეძახიან⁶⁰.

რაკი ამ სახელებში ყველაფერი გარკვეული არაა, მე გადავუხვევ ჩვეუ-
ლებრივ წესს — ყველა ავტორის ცნობათა ცალ-ცალკე განხილვისას და აქვე
მოვიხმობ ვახუშტისა და გურგისტანის ვილაჟეთის დიდი დავთრის ცნობებ-
საც.

58 მასალები საქ. კავკ. ისტ., 35, 1963, გვ. 161.

59 ვახუშტი უ შტი, აღწერა, გვ. 71 — 72.

60 ბერი ეგნატაშვილი, ქავკ. ისტ., 11, გვ. 349.

დვირი ცნობილი სოფელია მტკვარზე, კობისხევს ცოტათი ზემოთ დასახურის გვერდის მთაც. ეს მაღალი, დიდი ტერიტორიის მომცველი მთაა, რომელიც წყალგამყოფადაა ქცეული სამი მხრით. ვახუშტი მას ცალკე აგვიწერს და უწინდებს კიდევ „ჯავახეთის მთას“, რომელიც მოდის კობისხევიდან კოხტის თავაძლევს. ამ მთის სხვადასხვა მხრის კალთებიდან იღებს სათვევს აქაურ ხევთა უმრავლესობა, ისე რომ, გამოთქმა „კოდიანს გარდმოლმართი“ ნიშანებს ხეობასა და თორს დვირიდან კოხტამდე.

შემდეგ გვაქვს ნინოსკევი და სამგორი. ასეთი დასახლებანი არაა არც აგურგისტანის ვილავეთის დიდ დავთარში⁶¹, არც სხვა ჩევნოფის ხელმისაწვდომ წყაროში.

მართალია სამცხის ტრპენიმიერში ხშირად გვხვდება „ნინოწყარო“, „ნინოწყაროები“, მაგრამ „ნინოსხევი“ არსალა⁶². შესაძლოა ეგ სახელ „ნინოღლებში“ იმაღლებოდეს, რომელიც სოფ. ტაბაწყურის ჩრდ-დას-ით აქვს დამოწმებული 6. ბერძენიშვილს, წმინდა ნინოს ეკლესიის სიახლოევს⁶³.

ასევეა ცივწყაროც, რომელიც ერთგან კი იხსენიება „გურგისტანის დავთარში“⁶⁴, მაგრამ იგი ისეა მოშორებული სასახლერო აღგილებს, რომ მისი იღებითი კიდევ კირს. საერთოდ, ეს სამი უკანასნელი სახელი, ისეთი მცირე ერთეულების ზოგადი სახელებია, რომლებიც ყველგან შეიძლებოდა გაჩენილიყო და ამიტომ მაღლევე გამტკალიყო.

ამათ მოსდევს დეფიზით შეერთებული „განშული-ბარშიამის მთა“. აქ უკვე, თუ ეს ორივე საკუთარი სახელია, მთებთან უნდა გვქონდეს საქმე და ცხადია მათი დაკარგა ასე აღვილად მოსალონდნელი აღრია. არ ჩანს — ეგ-ნატაშევილის ცნობაში სიტყვა „განშული“ საკუთარ სახელად ქცეული ნაზმნარია (როგორც მაგ.: „მოკვეთილი“) თუ — ზმნა. გამომცემელს იგი არც ლექსიკონში, არც სახელთა საძიებელში არ შეუტანია. როგორც არ უნდა იყოს, ასეთი სახელი სხვა წყაროებით უცნობია.

აუც შეეხება „ბარშიამის მთას“ — ეს უნდა ვახუშტისეული „ბარძიმის მთა“ იყოს. იგი მასთან იხსენიება როგორც ჯავახეთისა და თრიალეთის გამყოფი მთა. თრიალეთს დასავლეთიდან ესაზღვრებათ: „მთა შავრაშეთი და ტბის-ყურის გამტრელი ხაზი. მთა ბარძიმისა და ფარავნის გამტრელი ხაზი ბოლოლის მთამდე“⁶⁵. მათს იგივეობას ხელს უწყობს ამ მთის სწორედ ქართჯავახეთის საზღვრად არსებობა, აგრეთვე შემდგომ მოხსენიებული პუნქტების სიახლოევე. ვახუშტის რუკაზე ამავე მთის ძირში არის სოფელი ბარძიმიც.

ბერი ეგნატაშევილის ცნობაში, შემდეგ ნათქვამია „ჩამოივლის ჯანჯლის ციხე საღმისს თავსა“. აქ უნდა „დავთარში“ ნახსენები სოფ. ჯანჯლა იგულისმებოდეს⁶⁶, რომელიც ვახუშტისთანაც გვხვდება მის რუკაზე. ეს სოფელი ტაბაწყურის სამხრეთით მდებარეობს, მაგრამ არც ისე ახლოს საღმის ტბასთან, როგორც ეს ვახუშტის რუკაზეა და ბერის ცნობის კონტექსტი მოითხოვს. ყველ შემთხვევაში ჯანჯლის — ჯანჯლად მიჩნევას ხელს უწყობს

61 ვახუშტ რ. აღწერა., გვ. 131.

62 ი. სიახლული იმ კ. მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვეს, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II თბ., 1964.

63 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 121.

64 ს. ვაჟა-პ. გურგისტანის ვილავეთის დიდი დავთარი, წიგნ III, თბ., 1958, გვ. 181.

65 ვახუშტ რ. აღწერა., გვ. 41.

66 ს. ვაჟა-პ. გურგისტანის., III, გვ. 271 — 2.

ბარიძმის მთის სიახლოევე. საღამოს ტბის თავზე გადმოსული სასაზღვრო ხაზი,
მერე ბორცვს ზემოთ „წაივლის“, სერ-სერ სათხე ქუნცელის თავზე.

სათხე, თუ სათხა დღესაც ოსებული სოფელია საღამოს ტბის სამხრეთ-
დასავლეთით, ხოლო სოფ. ქუნცალა ისენიება „გურჯისტანის დაეთარში“,
თუმცა მისი მდებარეობა გამომცემელს გარკვეული არ აქვს, ამიტომ არც მის
რუკაზეა აღნიშნული⁶⁷.

შემდეგ ეს ხაზი გადაიღლის ხენცურის თავზე, პალაკიოს მთამდე, რო-
მელსაც თურქები ბერის ცნობით იელოლულის უწოდებენ.

სახელი ხენცური არ იცის ვახუშტიმ, მაგრამ „დაეთარში“ არის „ხანჩე-
რიძეს ტბა“ ნახსენები, რომელიც საღამოს ტბისა და სათხის სამხრეთ-დასავ-
ლეთითა აღნიშნული რუკებზე. მას იქ „Ханчалигелъ“ ეწოდება. ს. ჯიქიას
აზრით, აქ შესაძლო ყოფილიყო „ხანჯლის ტბა“, რადგან ფორმით იგი მარ-
თლაც ხანჯალს წააგვის⁶⁸. მე ყვიქრობ აქაც ამ ორი სახელის გარივება შესა-
ძლებელია, მით უფრო, რომ მოტანილ ცნობაში, ბერი ეგნატაშვილი ტბების
მხოლოდ სახელებს ამბობს — ერწო, საღამო, ხენცური. ამავე ცნობაში ქართ-
ლის სამეფოს SW სახლვრის ბოლო ხაზად აღებულია პალაკიოს მთა. ეს
უნდა იყოს პალაკიოს ტბის აღმოსავლეთით მდებარე ქედი W—O მიმრ-
თულებისა, რომელიც N-დან საზღვრავდა აბოცს. ვახუშტის რუკებზე სწო-
რედ ამ ქედს აწერია „იელოლი“ და იქვე სოფელიცა აღნიშნული ამავე სა-
ხელწოდებით. მისიერ ცნობით, პალაკიოს ტბასა და „აბოცს შორის არს მთა
აღბაბასი და იგი მთა არს საზღვრავ ქართლისა და ყარსისა, კიდრე თეთრ-ცი-
ხემდე და ტბამდე ტაშარანისა“⁶⁹. თეთრ-ციხე და ტაშარანის ტბა უკიდურესი
S და N პუნქტებია აბოცის საზღვრებზე, ამიტომაც გამოღის, რომ ვახუშტი
იელოლულის ქედს აღბაბას მთების ნაწილად თვლის.

ასეთია ცდა ბერი ეგნატაშვილის მიერ, ქართლის სამეფოს საზღვრაზე
მოსახული პუნქტების იდენტიფიკაციისა. სამწუხაროდ, სერგი ჭიქა ამ
ცნობას არ იყენებს, თორემ აღბათ მეტი დამაგერებლობით იქნებოდა შესა-
ძლებელი მასზე მსჯელობა. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ბერი ეგნა-
ტაშვილის მიერ აქ ჩამოთვლილი სახელების დამასხინება, გრაფიკულ ნიადაგ-
ზე შეიძლება აისხნას: ბარძიძი-ბარშიძი, ჯანჯლა-ჯანჯლა, ხენჩერი-ხენცური,
იელოლი-იელოლიდ.

ზევით შეძლებისდაგარად იყო შემოწმებული ახალი ქართლის ცხოვრე-
ბის ცნობა, ქართლის სამეფოს SW საზღვრის შესახებ. ამიტომ ვახუშტის
მაკონტროლებელ ციტატებს მთლიანად აღარ მოვიყვან და მისი რუკით ვიმს-
ჭლებ.

ვახუშტის მიხედვით ამ სასაზღვრო ხაზის სურათი ასეთია: დვირი-კოდი-
ანი-ბაკურიანის მთა; ეგნატაშვილისაგან განსხვავებით, ვახუშტი ამ ხაზს იდ-
ნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით იღებს; თუ ბერი ეგნატაშვილი საზღვრას უფ-
რო დასავლეთით მყოფ სოფლებსა და ტბებზე ატარებს „სერ-სერ“, ვახუშტი
აღმოსავლეთით არსებულს არჩევს: ესაა შარვაშეთისა და ბარძიძის მთები,
საღამოს მაგიერ თაფარავინი. აქიდან კი ვახუშტი მიღის SO მიმართულებით
ბოლოლისა და ყარალაჭის ქედებისაკენ, მერე კუთხეს აკეთებს და ბრუნდება

67 ს. ჯიქია, გურჯისტანის.., III, გვ. 339.

68 აქვე, გვ. 359.

69 ვახუშტი, ალწერა.., გვ. 38.

2. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV.





W მიმართულებით პალაკაციოს, ანუ აღბაბას მთამდე. ბერი ეგნატეშვილია კი, ეს ხაზი უფრო დასავლეთით საღმისა და ხნისილის ტბებზე გავლით უფრო ნაკლები კუთხით უერთდება პალაკაციოს მოებს⁷⁰.

გიულდენშტედტის ცნობების მიხედვით (რომელიც მისთვის ზეპირად მიუწოდებია), ქართლისა და ახალციხის თურქელი გუბერნიის საზღვარი მტკვარზეა. აქ იგი ასახელებს 14 განადგურებულ სოფელს მტკვრის ყოვლებით, იწყებს ბორჯომიდან და მთავრებს კობისხევით. ესენი ქმნიან საზღვარს ქართლის სამეფოსა და საფაშოს შორის. „შემდეგ მტკვრის ორივე მხარეზე, ირან თურქეთის ხელში მყოფი დასახელებული ციხეები“ და ჩამოთვლას იწყებს აწყურით⁷¹.

როგორც ვხედავთ, გიულდენშტედტითაც საზღვარი კობისხევისა და აწყურის შორის გამოიდის. საზღვრის დანარჩენ ნაწილებზე ავტორი არაფერს ამბობს, მაგრამ მისი რუკიდან ჩანს, რომ საზღვარი დაახლოებით ვახუშტის მსგავსია (აქ სიზუსტის დაცვა არ ხერხდება პუნქტების ნაკლებობისა და რუკის სპეციფიურობის გამ); ყოველ შემთხვევაში ხაზი გადის ჯავახეთსა და თრიალეთის შორის და ყაიცულის (ე. ი. აბოცის) დასავლეთთ⁷².

აწყურს ასახელებს საქართველო-თურქეთის საზღვრად რეინგესიც. ხოლო უფრო სამხრეთთ, ახალციხის მხარესა და ქართლის სამეფოს საზღვრად ყარადალის მთებია დასახელებული⁷³. საფიქრებელია ეს იგივე ვახუშტისეული ყარალაგი, ანუ ირანის ქედი იყოს.

ბერი ეგნატაშვილის არაერთგზის შემოწმებული ცნობა ქართლის სამეფოს საზღვრების შესახებ, ამეღავნებს თითქმის სრულ იგივეობას XVIII ს-ის სხვა, მაკონტროლებელ წყაროებთან. განსხვავება მხოლოდ ახლახან განხილულ შემთხვევაში ჩანს. საფიქრებელია, ავტორს მისი თანამედროვე ვითარება ძლიერდეს ამის უფლებას. იქნებ მის მიერ საზღვრის უფრო შორს გადატანაში ასახულია საუკუნე, როცა ქართლის სამეფო უტევს ახალციხის საფაშოს, არ ცნობს ძელ საზღვრებს და ყოველ შესაფერ მომენტში მის გადასინჯვას ესწრაფვის.

ქართული წყაროებიდან ნათლად, ჩანს, რომ ესაა განუწყვეტელი თავდასხმებისა და აწიოების ხანა. იბრძეის როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ისე აღვილობრივი ფეოდალები. სენია ჩხეიძე მოვაითხრობს, როგორ გააქციეს ივალიშვილებმა ურუმთა ჯარი სადგერთან 1734 წ⁷⁴. ეს შეტევები ძლიერდება 40-იან წლებშიც: თეიმურაზ მეფის ჯარი არბეგს ჯავახეთს, მერე „არზრუმს აქითს“, საორბელოს ჯარები ხერთვისს აწიოებენ; „ქართლის ჯარისაგან ისმალური ქვეყანა ისე შეშინებული იყო, რომ ყოვლის ქვეყნის კაცს ციხესა და სიმაგრესა შინა მიემართნეს“⁷⁵, ამას მოყვება 70-იან და 80-იან წლებში ერეკლეს გამარჯვებები ასპინძასთან, ხერთვისთან, ახალქალაქ-არტანთან⁷⁶.

70 იბ. ვახუშტის რუკის ბროსესეული ვამოცემა.

71 გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 217 — 19.

72 ი ქ ვ ე. რუკა.

73 მასალები საქართველოს და... 35, 1963, გვ. 163 და 166.

74 საქ. ცხოვრება, გვ. 46.

75 პატენტ თ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 96, 121.

76 თ მ ა ნ ხ ე რ ს ე შ ლ ი ა ნ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 266 — 267.



ბურნაშვილს აღნიშნული აქვს, რომ ერეკლე შემთხვევას არ უშვებდა მხარეზე თავისი გავლენის გასძლიერებლად და რომ საერთოდ, ქართველი მეფები, სამეფო სახელშოდებაში თავიანთ თავს ხაზგასმით აცხადებდნენ ამ შვენის მემკიდრეობით მფლობელებად⁷⁷.

„საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერაში“, რომელიც 1769—1784 წწ. ჩრდაქციებითაა წარმოლგნილი, ახალციხის მხარეს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ზემო ქართლი, თრიალეთი და სომხითი „და ეს ახალციხელნი ჩვენთან მშეიდობით და დაზავებით არიან და ოდესმე აშლით“⁷⁸.

* * *

ბერი ეგნატაშვილი საქართველოს სამხრეთის საზღვრის აღნიშვნისას ამბობს, რომ ივი „პალავაციოდამე სერ-სერ ჩამოივლის, კარის სოფლის აქათი ერევნის საზღვრამდის, ჩამოყოლით ბანბაკი და ლორე, ვიდრე ყაზახის საზღვრამდე“⁷⁹. როგორც ეხედავთ, სურათი საგამოც ზოგადია, მაგრამ ეს ჩვეული „სერ-სერ“ ისევ წყალგამყოფ ქედებს გულისხმობს: ცხადია ბამბაკი და ლორე ქართლის სამეფოს საზღვარში მოყოლილი, ასევეა ყაზახიც (როგორც ჩანს, ბერი ეგნატაშვილის ტექსტში გამოთქმა „ვიდრე ყაზახის საზღვრამდე — გულისხმობს ყაზახის 0 საზღვარს და ნიშნავს „ყაზახის ჩათვლით“. ამაში გვარწმუნებს ტექსტის ანალიზი; ასე მაგ: ამავე ცნობაში ბერი ქართლის საზღვარზე ამბობს: ეჭირა „კეობა ვიდრე დვირამდი“, ე. ი. დვირის ჩათვლით, რადგან ათაბაგს სქერია უკვე „დვირს ზეითი“. ასეთივე ვითარებაა მისი მეორე ტექსტის განხილვისასაც).

XVIII ს-ის შუა წლებში საქართველოს სამეფოს სამხრეთი საზღვარი რომ ისევ აბოცი და ბამბაკია, ეს ჩანს ომან ხერხეულიძისა და პაპუნა ორბელიანის ნაშრომებიდან: 1744 წ. ყარსიდან წიმოსულ ნადირშაჲს თეიმურაზ მეფე „მიეგება აბოცს, რომელ არს ყაიყული“⁸⁰. 1747 წ. კი, ისევ ნადირშაჲთან შიმევალ მეფე „მიეგსალმნენ ქართველნი და კანინი ბანბაკს და გამობრუნდენს“⁸¹.

ვახუშტის მიხედვით, ქართლის სამეფოს საზღვარი სამხრეთით, მის დროს მოიცავდა ბამბაკს და მის სამხრეთით ემზობლებოდა ერევნის მხარეს, „ე რ ე-ვ ნისა და ა მის“ (ე. ი. ბამბაკის) გამყოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი... რომელი წარივლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გვლავჭუნს შუაგანვლის დავიდრე ჩახსაღმდე მიგალს. მთისა ამის სამხრეთ კერძი სომხითერე გნისა არს, ხოლო ჩრდილო კერძი ბერდუჭისა და რანისა“⁸². ე. ი. ეს დიდი და მარად თოვლიანი ქედი, რომელიც ბანბაკის სამხრეთით გადიოდა W—O მიმართულებით, ყოფილა ქართლისა და ერევნის მხარის საზღვარი. ამ მოებს

⁷⁷ კარინა ერისა... გვ. 14.

⁷⁸ ლ. მ ვ ლ ი ქ ს ე თ ბ ე გ ი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა, თბ., 1936, გვ. 17.

⁷⁹ ქ უ ც 11, გვ. 349.

⁸⁰ საქ. ცხოვრება, გვ. 249.

⁸¹ ი ქ ვ ვ 10, გვ. 131.

⁸² ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 35.



ავტორი „ერევნის მთებს“ უწოდებს, რაც „ბამბაკის ქედს“ შეესაბამება შემდეგი დედოფლინდელს ჩაუკებზედ.

გიულდენშტედტს არ აქვს საზღვრების ჟუსტი დასახელება საქართველოს S და O მხარეებისათვის, მაგრამ მასთან მოცემულია საკმაოდ სანტერჯესო დახასიათებანი ქართლის სამეფოში მის დროს შემავალი მხარეებისა. მისი სიტყვით, „დებედა და ბამბაკის მხარე არის ერევლეს ქვეშევრლომი, მეფემ ის მისცა ბატონიშვილს გიორგის“⁸³.

საქართველოს სამეფოში აქვს დასახელებული ბამბაკი რეინეგბასაც, რომელიც ქართლის სამეფოს S საზღვრის მის გარდა ასახელებს გვრეთვე ყარაჯილისას და ბელიბექს (ბელიბოქს)⁸⁴. ყარაჯილისა სწორედ ბეზობდალისა და ბამბაკის ქედებს შორისაა მოთავსებული.

S საზღვრის შესახებ ერთსულოვანი აზრია XVIII ს-ის ცველა რუკაშედაც: ბამბაკის სამხრეთო მყოფ დიდ ქედზე გადის ქართლის სამეფოსა და ერევნის სახანოს საზღვრი. სამავიეროდ ყველა მისი თანამედროვეებისაგან განსხვავებული აზრი, ქართლის სამეფოს SO საზღვრის შესახებ გამოთქმული აქვს ვახუშტის; მისი აზრით საქართველოს თანამედროვე („აწ“) საზღვრაზე SO მხარეს, მდინარე ბერდუჯწეა — ინუ დებედაზე (ბუნებრივია იგულისხმება წყალგამყოფი ქედი, დებედას აუზის აღმ. მხარეს მყოფი) უკიდურესი პუნქტი კი ხუნანია მტკავარისა და ქციის შესაყარში. „არამედ ბერდუჯის მდინარის აღმოსავლეთი კიდე უპყრავთ ბორჩალუთა. და დასავლეთის კიდის კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა, ვიღრე ხუნანამდე. ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩრდილოეთით და სამკრიონ და მიადგების წინთქმულს ერევნის მთას. აღმოსავლეთის კერძი მთისა მისი არს რანისა და დასავლით კერძი არს ბერდუჯისა. გარნა არს ძევლად საერთოთა ხუნანისა. შემდგომად აქუნდა თუსი ერისთავი (რომ გლსა იტყვიან აწინ დელსა ხანსა, რამეთუ ოდეს მიიღო შაბაზ ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ გაქმნების შესავალ-გამოსავლი აღვილად ქართლის შინა)“⁸⁵.

სამწუხაროდ ვახუშტიმ აქ ძევლ წყაროებში მოხსენიებული ბერდუჯის მდინარე, შეარქვა დებედას აღმართ ძევლი თემობრივი საზღვრის საქვეწნებლად, თან ისე, რომ მთლად ნათელი წარმოდგენა არ ჰქონია ამ სასაზღვრო მდინარესა და ქედზე. მან გამოიწვა სამართლიანი დაეჭვება და აზრთა სსვაობა მდინარე ბერდუჯის, ამავე სახელწოდების ქედისა და ხუნანის ლოკალიზაციის საკითხში.

XVIII ს-ის სხვა წყაროებში ბერდუჯი არ გვხდება: ამიტომაც მასზე კამათი ვახუშტისთან, მით უფრო, ამ საუკუნის ქართლის სამეფოს პოლიტიკურ საზღვრებზე საუბრისას უადგილო ჩანს. ეს მაშინა საჭირო, როცა ძევლი ქართლის საზღვრებზე იქნება მსჯელობა შესაბამისს წყაროებზე დაყრდნობით. აქ კი, უმისიღაც ნათლად შეიძლება ჩვენება, რომ XVIII ს-ის ქართლის სამეფოს საზღვრაზე დებედა და ბორჩალო არ იყო.

ამისათვის, გარდა თავში მოტანილი მასალისა, შეიძლება დავისახელოთ გაულდენშტედტის ცნობების ის ნაწილი, სადაც მეტი დაწვრილებითაა ამ მხარეზე საუბარი. ვეტორს ბორჩალო სომხითის პროვინციაში აქვს აღწერი-

⁸³ გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 75.

⁸⁴ მასალები საქართველოს და... გვ. 161.

⁸⁵ ვახუშტი, ალწერა..., გვ. 35.

ლი: მას უქავიაო „დებედას ქვედა მიღამოები, ქციისა და მტკვრის მარჯვენა ნაპირები, შეკვერის შენაკად ინჯამდე ქვევით“⁸⁶. სხვაგან იგი უფრო ოშემდებულებით მდებარე მდინარე ინჯის ხეობის გამო აღნიშნავს, რომ „ინჯაზე სოფ. ყულფში და იმ ხეობში მყოფი სომხები ეკუთვნიან დედოფალს, ხოლო ზოგი თათარ დიდებულებს ყაზახში“⁸⁷.

ავტორს ყაზახის მხარეც ქართლის სომხითის პროენციაში შეკვეს და მის მდებარეობას განსაზღვრავს — მტკვრის მარჯვენივ, ბორჩალოსა და ინჯიდან ქვევით, განჯამდის⁸⁸. ევე ჩამოთვლილი სოფლები განლაგებულია მდინარე აღსტაფისა და მისი შენაკადების ორივე მხარეს⁸⁹, თოვემის დილიქანამდე.

შემაღლოს გიულდენშტედტი არ ახსენებს, მაგრამ რადგან ყაზახის აღმოსავლეთით განჯა და სახელებული, უნდა ვიფიქროთ, მასაც ყაზახთან გულისხმობს ავტორი. ქართლის სამეფოს მდინარეთა ჩამოთვლასაც იგი აღსატაფურათი იწყებს.

გარდა ზემოთქმულისა, ქართლის სამეფო XVIII ს-ის მეორე ნახევარში, სამხრეთი ერევნის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით განჯის სახანოზედაც ავრცელებდა თავის გაელენას. ერეკლეს ბრძოლების შედეგად ეს სახანები მოსარედ ეპცენტ მეფეს. მის შესახებ ერთსულოვნად მოგვითხრობენ როგორც ქართული წყაროები, ისე უცხო მოგზაურთა ჩანაწერებიც.

1750 წ. აზარ-ხანის დამარცხების შემდეგ ერეკლემ „...დაყენა ქართველთა თავადთაგანი გამგეთა საქმეთა ერევნისათა; უბოძა ჯარი ყაზახ-ბორჩალუსი და ერევნისა ბამანახანს, აგრეთვე ჯარი ქართველთა ზაალს ორბელიანს და გაისტუმრა ნახევანს. რა ჩაიდნენ დაიკირეს ისევ ნახევანი...“ გაქირევების დროს, მტრის შემოსევისას, განჯის, ყარაბაღის, ბარგუშათის ხანები შემოევეწენენ ქართველებს: „ეს ქვეყნი ბი თქვენი ი არ ისო, ...მოგვებარენითო, ბერისაც მოგარომევთო... და თქვენთან დაეხსოცებით...“⁹⁰.

XVIII ს-ის II ნახევრის „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ მოგვითხრობს, რომ ერევნის მხარეს ლეკთაგან და ყიზილბაშთაგან დასუსტებულს, ერეკლე მეორემ „ხელი დასდო და საფარველსა ქვეშე თვისსა შემოყვანა. და ოდეს მისისა სამყრობელოსა ქვეშე შემოვიდა, მამინ ყოველთაგან უკრძალად დაშთენ და ერეკლე მეფესა დაუწყეს მონება და ხარეთა მიცემა. ჩვენსა და ამათ შეა მთა ჰსექვს ესე გვარი, რამელ ურემი და ქარავანი გარდავა.“

ამავე წყაროდან ჩანს, რომ განჯის მეპატრონენი გარე მეზობლებისაგან დამარცხებულან და „გარდაცვენილიან“ მრავალგვრ. ერეკლეს თავისი ჯარებით ქალაქი, ციხე და ქვეყანაც მტრისათვის წაურთმევია, დაპყრიმილი სახან კი მემკეილერობით მფლობელთათვის გადაუცია. „და მიზეზითა უკუშიმითა, ერევნისაებრ მორჩილება დაიწყეს და ხარკის მიცემა მეფეს ირაკლის შეძლებისამებრ მათისა. და რადგან ლეკზედ მახლობელად იმყოფებიან, მიზეზითა ამითა განჯის ქვეყნის მხევალნი ტფილის იმყოფებიან“⁹¹.

⁸⁶ გიულდენშტედტის მოგზაურობა..., I, გვ. 243.

⁸⁷ იქ 3 ვ, გვ. 73.

⁸⁸ იქ 3 ვ, გვ. 241.

⁸⁹ იქ 3 ვ.

⁹⁰ პა 3. ორ ბერები, საქ. ცხოვრება, გვ. 188 — 189.

⁹¹ ლ. მ ვ ლ ი ჭ ს ე თ ბ ე გ ი, საქართველოს მეზობელ..., გვ. 18, 19.

გოფლდენშტედტით განჯა წინათ სომხითის მხარეში შედიოდა. სპარსეთ-ში ამტყდარი არეულობის დროს კი ჩამოშორდა მას და საკუთარი ხანი გაი-ჩინა, თუმცა ქართლის მეფე თავის ბატონობას მაინც ავრცელებს მასზე⁹².

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ქართლის სამეფოს S და SO საზღვარი რუკაზე მოიცავს აბოცს, ბამბაქს, ბორჩალოს, ყაზახსა და შამშაღი-ლოს; ერევნისა და განჯის სახანოები კი განიხილება როგორც დამოკიდებული სახანოები.

⁹² გოფლდენშტედტის მოგზაურობა..., I, გვ. 247.

გვიანვეორდაღი ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკის
საზღვრები

ჯ. გვასალია,
თ. თოლიძე

XV ს. სამოციან წლებში, რომელ საგარეო პოლიტიკურ და შინა მწვავი სოციალურ წინააღმდეგობათა ვითარებაში, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო სამ დამოუკიდებელ-იმპერიის, ქართლის და კახეთის სამეფოდ დაიშალა. კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს წარმოშობის თარიღიად ითვლება 1466 წელი, როცა გიორგი VIII გადადის კახეთში და დასაბამს აძლევს კახეთის სამეფო შტოს.

გიორგი მეფემ მნიშვნელოვანი სამხედრო და აღმინისტრაციული რეფორმები ჩატარა, რაც ქვეყნის თავდაცვის უნარს საგრძნობლად ზრდიდა. იგი საერისთაოებს აუქმებს და აწესებს სამოურაოებს. „მაშინ მოისპო ერისთავი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა ვითარცა არიან დღემდე. მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიათურისა (ჭიათურისა—ავტ.), შილდა-ყვარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხვანიცა“².

მოურავები მეფის ადგილობრივი ფეოდალური მოხელეები იყვნენ. მათი უფლება-მოვალეობა სათანადო წიგნებით იყო განსაზღვრული; ისინი მეფის ურჩობას აღილად ვერ გაბედავდნენ და ხელმწიფობასაც ვერ დაიჩემდნენ. მთავარი კი ის იყო, რომ მოურავს აღაზ პქონდა სამხედრო ხელისუფლება, რომელიც ყოფილი ერისთავების სიძლიერის უმთავრეს წარმოადგენდა.

კახეთის სამეფო ხელისუფლებამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა ჩატარა: საერისთაოებთან ერთად გააუქმა მათი სამხედრო ერთეულებიც და კახეთი ოთხ სადროშოდ დაცყო; მაგრამ სადროშოს სარდლობა თავადებს კი არ ჩაბარა, როგორც ეს ქართლში მოხდა, არამედ ეპისკოპოსებს. ეპისკოპოსობა და, მაშასადამე, სარდლობაც მემკვიდრეობითი თანამდებობა არ ყოფილა³.

ამგვარმა რეფორმებმა კიდევ უფრო გააძლიერა კახეთის სამეფო ხელი-

¹ საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, 263.

² ვ. ა. ხ. შ. ტ. ი., საქართველოს ცხოვრება (1469 — 1800), ზ. ჭიშინაძის გამოცემა, თბ., 1913, 158.

³ საქართველოს ისტორია, 1958, 273.



სუფლება და შესასტა ძლიერი ფეოდალები, გაამრავლა მეფის ხელისუფლების მომხრე საშუალო და წვრილ ანაურთა რიცხვი.

გიორგი მეფემ ყოფილი პერეთის ტერიტორიაც უშეალოდ თვის სამფლობელოდ აქცია. „ამანვე (გიორგიმ—ავტ.) მოსპო სახელი პერეთისა და იწოდა, ვითარცა აღვსწერეთ, არა მისცა მთავართა ძალი. არამედ თვით დაიპირა“⁴.

გიორგისვე უკავშირდება გრემის სატახტო ქალაქიდ ქცევა. „კვალად-ჰყო გრემი ქალაქი და ტახტი პერ-კახთა“⁵.

საქართველოდან გამოყოფილი კახეთის სამეფოს საზღვრების შესახებ ცნობები დაცული აქვს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებას. ი. ჯავახიშვილის სამართლიანი განცხადებით, „ჯერჯერობით არა ჩანს ის წყარო, რომლითგანც ამოღებული უნდა იყოს ეს ცნობები. ამის გამო მათი ღირსების დაფასება და სანდოობაც ჯერ გამოსარევევის“⁶.

მოუხდავად ამისა, ეს ცნობები, სხვათა არარსებობის პირობებში, ჩჩება დღეისათვის ძირითადად. სწავლულ კაცთა კომისიას კახეთის სამეფოს საზღვრები XV საუკუნისათვის ასე წარმოუდგება: „ამა კახთა ბატონთა მას უამსა ეპყრა: გარდოლმართი ლევის მთისა, ეპყრა თუშეთი, ხოლო დიდონი არა მორჩილობდეს ნებისებრ მისისა; ზემოთ ფშავი და თიანეთი, საცაც შეერთეს ფშავისწყალი არაგუსა; მიერითგან ვიდრე არაგუს გაღმართი კევ-ძმორადის;“

კევ-ძმორიდამე გაყოლოლი ლილოს სერამდის, რაოდენი სერსა წყალი გასდის და გაერთვს მარტყოფის წყალსა; გაყოლით ამართულამდე, გაყოლით ვიდრე აჭი-სუმდე, აჭი-სუს ვიდრე მტკურის შესართავამდე, მას ქუემოთ მტკუარს გაღმართი ვიდრე შაქისის საზღვრამდე“⁷.

კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი ბერი ეგნატაშვილს შაქისის საზღვრამდე მიმყავს. ჩეენთვის სინტერესო აღგილის შესახებ განსხვავებულ ცნობას იძლევა „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი: „აჭი-სუს გაყოლით ვიდრე მტკურის შესართავამდე და მას ქუემოთ მტკუარს გაღმართი და შაქისი ვიდრე შირვანის საზღვრამდე“⁸.

როგორც ვხედავთ, აქ შაქისი კახეთის სამეფოშია შეევანილი. ჩეენის აზრით, პირველი ცნობა უფრო ახლოს უნდა იყოს სინდიდილესთან, რაღაც შაქი „სახანოდ“ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში იქცა, მაგრამ შესაძლოა მეორე მოსაზრების აეტორი რაიმე ცნობას ემყარებოდა.

შაქი რომ უკვე XIV საუკუნის ბოლოსათვის კახეთისაგან (საქართველო-საგან) გამოყოფილია, ამას მოწმობს ბერი ეგნატაშვილი: თემურის ლაშქარი „წამოვიდეს მუნითგან, და ჩამოვლეს კახეთი, და იგცა აღაოქრეს და დაწვეს და წარვიდეს. და იყო მუნ უამ რაოდენ მე, ხოლო წარვიდა და მივიდა შაქის და მიერთნეს ყოველნივე მკვდრნი მის ადგილისანი, დიდებულნი და მცირენი, კაკისიანნი და ლექნი, შირვანელნი და გილან-მაზანდარელნი“⁹.

სხვა ადგილას ვკითხულობთ: „და ვითარცა მოიწივა თუ მარტისა, შე-

⁴ ვახ უშტი, საქართველოს ცხოვრება, 158.

⁵ იქ 33.

⁶ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1928, თბ., 152.

⁷ ქართლის ცხოვრება, II, თბ. 1959, 348 — 349.

⁸ იქ 33, 476.

⁹ იქ 33, 329.

მოიკრიბა სიმრავლე ლანგ-თემურ და წარმოემართა კუალად ქართლიდ. პარავანა
ნძველებული ფრიად. და დაუტევა შაქისი და მოიწივა ბარდავს..¹⁰

XVI ს-ის შუა წლებშიც შაქი კახეთისაგან გამოყოფილი ჩანს. ამაზე მი-
გვითითებს ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი, სადაც 1546 წლის
ქვეშ შემდეგია ონიშნული: „ხოლო ეამსა მას ზინა შეითქუნეს მეფე ქართ-
ლისა ლუარსაბ, მპყრობელი კახეთისა ლეონ და ათაბაგი ქიხომჩირი. ამათ შე-
კრეს პარობა და დაუწყეს რბევა და ოქრება ქუეყანასა ყიზილბაშისასა ადარ-
ბადაგანსა. მაშინ განცდგა შაპ-თამაზს მპყრობელი შირვანისა სანბეგის შეი-
ლი დავრიშ მაპმად. მაშინ შაპ-თამაზ შემოიყარა სიმრავლენი სბათანი, წარ-
მოვიდა და წამსავე მოიწი ყარაბაღს. მაშინ წარავლინა კაცი და შეუთუალა
ლევანს, მპყრობელსა კახეთისასა, და გარდამოიბირა იგი. და მოვიდა ლევან
შაპ-თამაზთან, და იყო განცდომილ დავრიშ მაპმად, ძე ასანბეგისა, რამეოუ
ეამსა მას ოდეს ეპყრა შაპ-იმაილს შაქისი, მას ეამსა მოუკდა ბატონი ლევან
ასანბეგს, და იავარჲყო შაქისი და მოკლა ასან-ბეგ, მისა შემდგომად მოიყვა-
ნეს ძე მისი დავრიშ მაპმად, და გააბატონეს შაქელთა, და მტერ იყენეს ურთი-
ერთას დავრიშ მაპმად და ბატონი ლევან¹¹.

ცოტა ქვემოთ იგივე ავტორი მოგვითხრობს: „მაშინ წარავლინა ბატონი
ლევან სპითა მრავლით მის ზედა. და მივიდეს რა, შაქისი მოიქრეს, და
იავარ-ჲყევს სრულიად შაქისი, და გარე-მოადგეს ციხესა მას, რომელსა ზინა
იყო დავრიშ მაპმად, და იყო ხანსა რაოდენსამე, და ვერლარა უძლონ გამაგრე-
ბა, და ღამით განვიდა ციხესა მისგან. ხოლო სცნა რა ბატონმან ლევან, ლევ-
ნა უყო. მიეწია და შეიძნეს, და გაემარჯუა ბატონს ლევანს, და მოკლეს დავ-
რიშ მაპმად, და შემოიქცა, გამარჯუებული, და მოაზოთა თავი დავრიშ მაპ-
მადისა შაპ-თამაზს. ხოლო უყო წყალობა მრავალი ბატონს ლევანს, და წარ-
მოვიდა საბიდ თვესად კახეთს“¹².

განუშტი ბატონიშვილის აღწერილობისა და რუების მიხედვით, შაქის
ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მიყვებოდა გიშის-წყლის აღმოსავლეთით
მდებარე ქედს. ი. ჯახანშვილის გამოკვლევით, გიშის-წყალი ეწოდებოდა
ალზნის აღმოსავლეთ შენაკადს (ხუთვერსანი რუების აგრი-ჩაის) იმ ადგილს
ქვეით, სადაც მას ერთვის პატარა მდინარე გიში (Киშ)¹³.

ი. ლინენგისის აზრით, საზღვარი ელისუს სასულტნოსა და შაქს შორის
გადიოდა აგრი-ჩაის შენაკად კაშკა-ჩაიზე¹⁴, ხოლო დ. ბაქრაძის მიხედვით კი
იმავე აგრი-ჩაის შენაკად ყარა-სუზე, რომელიც კაშკა-ჩაის დასავლეთით მდე-
ბარებობს. დ. ბაქრაძე ყარასუს ყანი-ყობასთან აიგრებს¹⁵. საინტერესოა მდი-
ნარე ყანი-ყობის (Кани-кобу) ლოკალზაცია, რომლის სასაზღვროდ ხსენება
წყაროებში არაერთხელ გვხვდება. ჩვენთვის უცნობია რა საფუძველზე აიგო-
ვებდა - დ. ბაქრაძე ამ მდინარეს ყარა-სუსთან. კავკასიის ხუთვერსან-

10 ქართლის ცხოვრება, II, თბ. 1959, 230.

11 იქ ვე, 504.

12 იქ ვე, 505.

13 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრება, ტფ, 1919, 11.

14 И. Линевич, Бывшее Елисуйское султанство, Сборник сведений о кавказских горцах, Тифлис, 1873, I.

15 Д. Бакрадзе, Заметки о Закатальском округе, Записки Кавк. отд. имп. рус. геогр. общ., кн. XIV, вып. I, 1890, 249.

ნი რუკის 1897 წ. შედგენილ ეგზემპლარზე, მდ. ალაზნის ქვედა წელს აგრი-
ჩანა სურავის სამხრეთით აწერია „ქ. კანიგ“. შეიძლება ამ ციტრონის
დაცული იყოს ყანი-ყობას სახელი, რომელსაც მე-17 ს. რუკი ელჩები
„კან“-ის სახელშოდებით იცნობენ. როგორც ჩანს, სასახლვრო მდინარედ გა-
იაზრებოდა მდინარე ალაზნის ქვედა წელი მის ერთ-ერთ შენაკადთან (აგრი-
ჩანასთან, ქურმუხის ჭყალთან ინ ყაფი-ჩაისთან) ერთად. ჭყაროთა ზოვი მონა-
ცემი თითქოს ლაპარაკობს ყანი-ყობის ყაფი-ჩაისთან (ხუთვერსიანი რუკის
Kapu-ცაი) გაიგივების სასაჩვებლოდ.

მე-17 საუკუნის 40-იან წლებში კახეთში რუსი ელჩების მოგზაურობის
ჩანაწერებში ვკითხულობთ: «Того же дни послы с тое деревни пошли и
начевали в именье Кумыцкого Мамет хана мурзы, под деревнею под Ма-
шебашею от Теймураза царя земли от бозару Загеми за 10 верст.

Того же дни с тое деревни пошли и пришли на рубеже Теймураза
царя земли с шаховою землею, на реку Кан.

...Того же дни пошли от рубежа Теймураза царя землею и ночевали
Теймураза царя под деревнею под Тасманом»¹⁶.

ამ ამონაწერიდან ჩანს რომ სოფ. მაშებაში თეიმურაზის სამფლობელოს
გარეთ მდებარეობს და მის კუთვნილ ბაზარი-ზაგემისგან 10 ვერსითაა დაშორებული.
სასახლვრო მდინარე კანთან (ყანი-ყობა) ახლოს ივარაუდება სოფე-
ლი თასმანი (იხ. რუკა 1).

წყაროში მოხსენებული სოფ. მაშებაშის სახელი დაცული უნდა იყოს მდ.
ქურმუხის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლის მეშაბაშის სახელშოდებაში.
ი. ლინევიჩი მას „მაშებაშის“ ფორმით იცნობს და აღნიშვნავს, რომ აღრე
სოფელს ქურმუხის აღმოსავლეთით უცხოვრია, ხოლო მის დროს (1870-იანი
წლები) მდინარის მარჯვენა ნაპირის გადასახლებულა¹⁷. ხუთვერსიანი რუკის
მიხედვით, სოფელ მაშებაშის დასავლეთით 10 ვერსზე მდინარე ყაფი-ჩაი
არის, რომლის დასავლეთით დაახლ. 3 ვერსზე სოფლები თასმალო და ზაგა-
მია აღნიშნული. თასმალო რუსი ელჩების „ტასმანი“ უნდა იყოს, ხოლო ზა-
გამი კი „ზაგემი“. ყაფი-ჩაის გაიგივებას (ყანი-ყობასთან) (Kan) მხარს დაუ-
კერდა კავკასიის მხარის 1868 წ. რუკაზე აღნიშნული მდინარის სახელშოდე-
ბა „კონი“, რომელიც შეესაბამება ი. ლინევიჩისა და ხუთვერსიანი რუკების
ყაფი-ჩაისს¹⁸.

16 თავადი მიშეცეისა და დიაფი კლერიკევის ელჩობა კახეთში (1640—1643), ვ. პოლიე-
ტროვის გმ., ტფ., 1928, 12—124.

17 И. Линевич, Ук. соч., 19.

18 ყანი-ყობასა და ყაფი-ჩაის იდენტიფიკაციას ხელს უშლის მიხედვის სხვ-
უნობა, რომლის მიხედვით სასახლვრო სოფლად დასახლებულია ქურმუხის პირა მდებარე
სოფ. კანი. ხოლო მდინარე კანი მისგან აღმოსავლეთით ივარაუდება (თავადი მიშეცეისა და
დიაფი კლერიკევის ელჩობა კახეთში, 161), ყანი-ყობასა და ქურმუხის წყლის იდენტიფიკაციის
სასაჩვებლოდ ლაპარაკობს ი. კლაპროტი: „ეტრმუხი [მდებარეობს] მდინარე კანზე (Kani oder
Ckanick), რომელიც... სამხრეთისაკენ მიედინება და მარჯვენა მხრიდან იერთებს რა ეგრს, ელ-
სენს შემთხვევას“ (I. Klaproth, Geogr.—hist, Beschreibung des Ostlichen Kau-
kasus..., 1814, 65). აქედან გმომოქანარებს, რომ კლაპროტისერტი „კანი“ თანამედროვე ქურმუ-
ხის ჭყალია, ხოლო ეგრი—ეგრი-ჩაი. კლაპროტის მიხედვით, ეგრი არის კანის (ქურმუხის წყლის)
მარჯვენა შენაკადი. ფაქტურად კი. პირიქით, ქურმუხის წყლის ერთი ტოტი ეგრის (ეგრი-ჩაის)

1639 წელს კახეთში მყოფი რუსი ელჩები აღნიშნავენ, რომ თეიმურა-
ზის ულ ბაზარი-ზაგენიდან მამებან მურზის სადგომებამდე (სოფ. მაშებაშვილი)
10 ვერსია¹⁹.

*XVI—XVIII სს. ტრაგიული აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს ის-
ტორიაში. აქ იქმნება ალისა და ელისუს სასულონობი და ჭარ-ბელაქნის
ე. წ. „უპატონთ თემები“, რომელთაც მეტად უარყოფითი გავლენა იქონიეს,
საქართოდ, აღმოსავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით კახეთის ისტორია-
ში.

ოსმალ-ყიზილბაშ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევების გამო ეს
მხარე სავსებით ჩამოქვეთდა და გაუდაბურდა. მცხოვრებთა რიცხვი შემცირ-
და. დალესტრელმა ლეკებმა თანდათნობით იწყეს ჩამოსახლება; ოსმალეთ-ირა-
ნის მხარდაჭერით ისინი ამოწყვეტილი მოსახლეობის ადგილს იკვებენ. ლე-
კებმა ხერხიანად ისარგებლეს ბატონიყმური ძარცვის ნიადაგზე გამწვავებული
კლასობრივი ურთიერთობებით და ადგილობრივი კახელი გლეხები თავიანთ
ყმებად გაიხადეს²⁰.

ჭარ-ბელაქნის პოლიტიკური წარმონაქმნი მტკიცე დასაყრდენი გახდა
ოსმალეთისა და სპარსეთის აგრძელი პოლიტიკისათვის საქართველოს მი-
მართ. ქართლ-კახეთის მრბეველი ლეკებისათვის კი იგი მეტად საიმედო ბა-
ზად გაღაიქცა²¹.

მე-15 საუკუნისათვის კავკასიის მთიანეთში კასპიის ზღვის პირას, ყალიბ-
დება მცირე სამთავრო-საშამხლო, რომელიც იქაურ მთიელ ტომებში ფეხს
იკიდებს და ცდილობს მათ გაერთიანებას. ჩამოყალიბების დღიდან საშამხლო
კახეთს უპირისპირდება და მათ შორის დაუსრულებელი მეტოქეობა იწყე-
ბა²².

შამხალი კახეთს პირაქეთა დალესტანს ეცილებოდა. კახეთს იმისი დამო-
ბა ადვილად არ შეეძლო. საკუთარი საზაფხულო საძოვრები ალარ ექნებოდა
და თვითონაც ჰვეუანა კედელმორჩლვეული რჩებოდა. მთის დაკარგის შემდეგ
მთელი კახეთი, განსაკუთრებით კი მისი უძლიდრესი აღმოსავლეთი ნაწილი,
კავკასიის მთიელთა და გადამთიელთა მუდმივი თავდასხმების მსხვერპლი გახ-
დებოდა²³.

ვიდრე დალესტანი ოსმალეთს დაუკავშირდებოდა, ლევან კახთა მეფე
წარმატებით უმელავდებოდა მათ შემოტევას. „ხოლო ლევან მდიდარი და

მარჯვენა შენაკადია, ზ. ედილის მონაცემებითაც ჩანს, რომ ყანი-ყობი და ეგრისი კეის აღმო-
სავლეთით მდებარეობდნენ. ე. დ ი ლ ი, საინგოლო, 1947, 165). არაა გამორიცხული, რომ „ქა-
ხელი“ ეკვერ არა ერთი, არამედ ორი მდინარე იგულისხმება. ვ. ჩანგაშვილის აზრით, ყანი-ყობი
კახის სამხ-აღ-ით 10 კმ-ზე (ვ. 41). სხვა დაგილოს კი მას საპირისპირო მიმართულებით —
ქურმუხიან დას-ით 7-8 კმ-ზე ითვალისწინებს (საინგოლო, თბ., 1970, 6).

19) Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640), изд. М., Полиевктова, Т., 1937, 335.

20) ბ. ბ რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, შასალები სა-
ქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკ. I, 188.

21) თ პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ჭარ-ბელაქნი (კუ-ენისელი) XIX ს. პირველ მესამედში, საკახ-
დისერტაცია, ხელნაბეჭდი, თბ., 1953, 7.

22) ბ. ბ რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, შასა-
ლები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკ. 1, 12—14; შ ი ს ი ვ ე, აღმო-
სავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, III, 1953, 75—76.

23) საქართველოს ისტორია, ს. ჯანშემას რედაქციით, 1948, 309—310.

ქვეყანა იღვსილი იყო მშეიდობით: ორამედ უკეთუ კავკასთა ლევანს მორჩილებდნენ. გარნა ვერცარას ჰყოფდნენ სავნოს მისისა²⁴.

ლევანის დროს ადგილი აქვს ვარძა-მხარში „ლევთა“ პირველი ახალშენების გაჩენას ჭარში. ლევები იქ კათა მეფის ნებართვით მის ყმებად სხდებია²⁵. კათა მეფეს ემორჩილება აგრეთვე დაღესტნის სამხრეთ ნაწილში მოსახლე ზოგი თემი, მაგალითად ყაზიყუმუსა და კახეთის სამეფოს შორის მდებარე წახურის მთავრის მიწებია²⁶.

1562 წ. სპარსეთის შაპი თამაზი მფარველობის ხელს ადებს წახურის მფლობელ ადიკურკულბეგს და უბოძებს ფირმანს, რითაც საქართველოს სამეფოს მოხელეებს უკრძალავს ხელი შეახონ მის მიწებია²⁷.

1604 წ. შაპ-აბასმა „შემდგომად აღებისა ერენისა მიუღო ალექსანდრეს კაქი“²⁸, უწყალობა იგი ერთ-ერთ გამაპმადიანებულ ქართველ თავადს გახვა-ხიშვილს და სულთნის პატივში აიყვანა. მით ჩაეყარა საფუძველი ელისუს სასულთნოს, რაც აღმოსავლეთ საქართველოსთან და საერთოდ კახეთისათვეს დიდ პოლიტიკურ მარცხს მოასწავებდა. ეს ამცირებდა კახეთისათვეს უნარიანობას და ლევებს გზა ესსნებოდათ კახეთში ჩამოსმახლებლად.

1607 წ. ოსმალეთის ხონთქარმა ოსმან II წახურელ ალი-სულთანს ჯილდოდ უწყალობა კახური სოფლები: კახი, მეშაბაში, ზერნა, ლევეთი, ყუმი, ალგაიოზი²⁹.

მე-17 ს. შუა წლებში კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი ყანი-ყობაა, მაგრამ კახეთის სამეფო თავის კულტურულ-რელიგიურ გველნას გაცილებით აღმოსავლეთით ავტოლებდა. რუს ელჩებს 1640 წლის ქვეშ დაუცავთ შემდეგი ცნობა: «28 апреля поехали государства послы из Грузии из загеми з базару на своих лошадях... И ехали послы того дни... и у стали на речке; та де речка грузинской земле рубеж. И оттолешли лязгинцами два дни. На третий день паехали церковь пустую в шахове земле архиепископа грузинского Аливердея, а архиепископ был тут в деревне»³⁰.

ამ საინტერესო ცნობაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კახეთის იმდროინდელ სასაზღვრო მდინარიდან (რომელიც, აღბათ, ელჩთა აღწერილობათ სხვა ადგილების მიხედვით ყანი-ყობაა) აღმოსავლეთით, სამი ღღის სავალშე, ხანის მიწებში არის აღავერდელ ებისებოსნე დაქვემდებარებული ეკლესია და მოუხედავად გრძელულებული პოლიტიკური ურთიერთობისა, ალავერდელი მისულა, აღბათ, თავისი მრევლის მოსაკითხავად.

XVII ს-ის დასაწყისში შაპ-აბასის ლაშქრობების შედეგად კახეთი აოხრდა და ამოწყდა. გამომახარი გაუკაცირებულია. დაღესტნებული იწყებენ ქართულ ნახოფლარებში ჩამოსახლებას.

XVIII ს. 70-იან წლებამდე კახეთის მეფეები ახერხებდნენ რომ ეს დაღესტნელი მოხალშენებები მორჩილებაში ჰყოლოდათ, მაგრამ მდგომარეობა არსებითად

24 ვახურ შტა, საქართველოს ცხოვრება, 164.

25 იქვე, 165.

26 Белокуров, Сношения России с Кавказом, I, 1889, 59.

27 . ღუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953, 8. აქტები, თ. II დოკ. II, დოკ № 1, 1085; 3

28 ვახურ შტა, საქართველოს ცხოვრება, 169.

29 თ. ვახურ შტა, დასახ. ნაშრ., 55-56.

30 Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 414.

იცვლება, როცა კახეთში (1677—1703 წწ.) მმართველებად ყიზილბაში ხანგულის სხდებიან და დალესტნელები მრავლად სახლდებიან კაკ-ენისელის ქართულ სოფლებში. იწყება ქართველ გლეხთა „გალეკება“.

როცა 1703 წ. შავმა კახეთი ისევ მემკვიდრე ქართველ მეფეს ჩააბარა (ერეპლი I და მისი ძე დავითი), კაკ-ენისელში მდგომარეობა არსებითად შეცვლილი იყო. მთის ძირობის „ლეკურ“-მაჰმადინური მოსახლეობა ქართველი მეფის მორჩილებას არ აპირებდა³¹.

1727 წ. ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით საშვილიშვილოდ ღაუმტყიცა ჭარელ ლეკებს მათ მიერ მინატაცები ქვეყანა იმ სამსახურისათვის, რომელიც ჭარელებმა მართლმორწმუნეთა ფალიშაპს ისლამის გავრცელების საქმეში აჩვენებს.

ოსმალეთმა ჭარელებს გავაზის წყალსა და ყაფუ-ჩის შორის გაღმა მხარი დაუმტყიცა. დაპყრობილი ქართული სოფლები ჭარელებმა მძიმედ დაბეგრეს. მავე დროს მათ თანდათანობით იძულეს ქართველი მოსახლეობა მაჰმადინობა მიეღოთ. აი, ამ დამორჩილებულ-დაბეგრილ ქართველ გლეხს ეწოდა — ინგილო, განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან“, რომელშიაც უპირატესად მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის ჭარმოშობით: ავარიელი, წახურელი თუ ქართველი („გალეკებული“). ასე რომ „ლეკი“ და „ინგილო“ უფრო სოციალური შინაარსის ცნებაა, ვიზრე ეთნიკური³². — წერს ნ. ბერძენიშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ „აღწერის“ შედეგების დროისათვის (მე-18 ს. 30-იანი წლები) კაკ-ენისელი კახეთის სამეფოს ისეთივე პროვინციებად გაიაზრება, როგორც შიგნით და გარე კახეთი, ქიზიყი და გაღმა-მზარია. მხოლოდ ვახუშტი აღნიშნავს, რომ „აწინდელთა უმთა დაეშნენ ჭარელნი, გარნა მოსრნა იგინიცა შინადარ, და ამ თქერ არს“³³. ასე რომ ვახუშტის დროისათვის მთელი ჭარ-ბელაქანი პოლიტიკურად არ უნდა წარმოვიდგინოთ საბოლოოდ კახეთის სამეფოსაგან ჩამოცილებულად.

ელისენის სამოურაო ჭარ-ბელაქანის ნაწილს შეიცავდა. ვახუშტის დროს ელისენი აღმოსავლეთის მხრიდან შემცირებულია. ვახუშტი წერს: „ამას ზე-ით, ბორთანს, ერთვის ალაზანს ბელაქნის წყალი. ამ წყალსა და გიშის-წყალს შორის, ალაზანმდე და კავკასიმდე, ასე ელისენი, არამდე ამ ქურმუხს აქეთი³⁴, ე. ი. ელისენი აღრე გიშის წყლიდე ვრცელდებოდა, ჩანს ვახუშტის დროს ქურმუხამდე დაპყრობილი აქეთ ლეკებს და ელისენი (რომლის მოურავი — „ელისენთ მოურავი“ ხშირად იხსენიება XVIII ს. ქართულ წყაროებში) ქურმუხამდე შემცირებული კელიე კახეთის ფარგლებში. ვახუშტის „ამ ქურმუხს აქეთი“ სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს. ვახუშტის რუკაზე კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი გასდევს ქურმუხს დასავლეთით მდგბარე წყალგამყოფ ქედს. დაახლოევებით მავე აღგილს გულისხმობს ვახუშტი თავისი თანამედროვე კახეთის საზღვრად: „და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზ-

31 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, III, 1953, 81.

32 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. 81.

33 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, 97.

34 იქ 30, 96.



ლეარი: სამხრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი ფრთხილი ნიღამ ხაზი კაცკასამდენ გაულილი, და კვალად ხაზი მტკვრამდე მისული³⁵.

მართალია მე-18 საუკუნის დასაწყისიდან კაკ-ელისენი იჩენს კახეთის სამეფოსაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვების ტრნდენციას, მაგრამ კახეთისა და შემდეგ გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფეები ამ მხარეს თვითისად თვლიდნენ და ხელს არ იღებდნენ მის საბოლოო შემორჩებაზე. მეტიც, კახეთის მეფეებს კაკ-ენისელში ჩატარებულ პეტრები და უკონომიური უფლებები. ამ მხრივ საინტერესოა ენისელთ (ელისეთ) მოურავის საკითხი.

მე-15 ს. მიწურულიდან ელისეთ მოურავი კახეთის მეფის ისეთივე მოხელეა, როგორც თანახთის, ჭიათურის, ქიზიყის და სხვა მოურავი. თავი რომ გავანებოთ მე-17 ს-ის საბუთებს, თვით მე-18 საუკუნის ნარჩატიულ წყაროებში და დოკუმენტებში ენისელთ (ელისეთ) მოურავი კახეთის მეფის მოხელედ იხსენიება ან ივარაუდება³⁶.

პაპუნა ორბელიანი 1747 წ. ერთი ბრძოლის აღწერისას აღნიშნავს, რომ ერეკლეს მხრივ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ კახის სახლთუხუცესი და ელისეთ მოურავი: „...მოითხოვა აბდულა-ბეგმა ბატონის-შვილმა დიდრონი კაცნა. შევიდა სახლთუხუცესი კახისა გრიგოლ თუშთ მოურავი ჯიშშერ და ელისეთ მოურავი დავით, ალაპარაკეს და ეს პირი დადგეს“³⁷.

თვით მე-18 საუკუნის მიწურულშიც კი ერეკლე II იქვს გარევიული უფლებები ენისელში. 1797 წლით დათარიღებული ერთი საბუთის მიხედვით ჩანს, რომ ერეკლე ასისთაობას აძლევს ენისელის ასისთავის შვილს მამატ ალის: „როგორც ძევლთაგან თქვენს ოჯახს ქონდა იმ წესით და იმ გარიგებითა, რაც პატივი ქისიყის ასისთავს ქონდა იმ პატივთა და რაც ენისელის სოფლებში სახალთვევ, საფეხუა ქეშექელები გეონდათ იმითი. ყიმერში ქეშექელი ერთი, ალიაბადში ქეშექელი ერთი, ურხვიანში ქეშექელი ერთი, პატარა ლაჯში ქეშექელი ერთი“³⁸.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ საბუთებში „ენისელთ მოურავი“ ყოველთვის აღმოსავლეთით (ქურმუხთან) მდებარე ენისელისა (ელისენი) კი არა არამედ გრემთან ახლოს მდებარე სოფ. ენისელის მოურავი იგულისხმებოდეს. ასეთი დაშვება ნაკლებ სავარაუდოა. ვახუშტი ბატონშვილი როდესაც ჩამოთვლის მე-15 ს. სამოურაოებს, ელისენთან ერთად ახსენებს გრემის სამოურაოს. ცნობილია, რომ ეს სამოურაოები საეგმაოდ დიდ ტერიტორიებს მოიცავდა, ამიტომ წარმოუდგენელა მეზობელ სოფლებში ცალ-ცალკე სამოურაო ყოფილიყო. გრემის მეზობლად ენისელის სახელწოდების მქონე სოფელი მე-18 საუკუნის 70-იან წლებამდე არ ჩანს. ვახუშტი ბატონიშვილი გაღმა-მხარის სოფლებს შემდევი თანმიმდევრობით ჩამოთვლის: საბუე, გრემი, გვერდისძირი, ალმატი³⁹.

³⁵ ვახუშტი ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, 87.

³⁶ იბ. საქართველოს ცენტრალური არქივის 1448 ფონდის საბუთები: 571, 2305, 1722, 1552, 576, 2308; აგრეთვე პაპუნა ორბელიანის ისტორია.

³⁷ ქართლის ცხოვრის, 11, 1854, სანქტ-პეტერბურღი, 403.

³⁸ საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 1448, საბ. 57.

³⁹ ვახუშტი ი, აღწერა, 208.

ჩანს, ენისელთ მოურავის ზეარს ენისელი ეწოდა. შესაძლოა, ეს იგვე გვერდისძირის მამული იყოს. ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიაში გრე-მის გვერდით გვერდისძირია დასახელებული, ენისელი კი არ იხსენიება. გრულენტელტი გრემის გვერდით ენისელს ასახელებს. 1801—1802 წწ. ოლ-წერაში გრემის მეზობლად იხსენიება ენისელი და ოლდგომის ექლესია, 1804 წ. ოლწერაში გრემის გვერდითა ენისელი (ორივე ოლწერაში გვერდისძირი აღარ ჩანს)¹².

მე-18 ს. 60-იანი წლების კახეთის სამეფოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვრების შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცვას „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“, რომელსაც ზოგი მკვლევარი თვლის 1757 წ. ხოლო ლ. მელიქშვილ-ბეგი 1766—69 წწ. შედგენილია. ექ აღს სასულთნოს შესახებ ნათვებია: „აღს სულტანი, რომელიც ძველად კახეთის მეფის ერთი მთავარი არის და კახის სულტანად სახელდებული, და ღროთა შაპაბაზ პირველისათა გამაჭმადიანებული და გამდგარი კახეთის სამეფოსაგან, და ესეცა აღმოსავლეთით ძეს კახეთზე“.

კარის, ჯინისისა, თალისა და ბელაქნის შესახებ რამდენადმე განსხვავებული ცნობაა: „თალის ხეობა, ჯინის ხეობა და ბელაქნის ხეობა, ესენი უბარონო არიან და ამათი ხალხი ვაკის რაიათი თარაქამაა, რომელშიაც იპობიან მცირედნი ქრისტიანები და ძველად ეს აღვილები სულ კახეთის სამეფოს ნაწილები არიან და ამ მახლობელს ჟამებში მრავალჯერ უმსახურიათ კახეთის მეპატრონეთაფის, და ეს აღვილები მოოხრებულია შაპ-აბაზ პირველთანა დროთა... ესენი სულ კახეთის მიწაში სახლობენ და ჭიშიყის ასე ახლოს მეზობელი არიან, რომ, სოფლით სოფლადე ზოგი ოცდათი ვერსი არის...“⁴³.

გიულდენშტედტის მოგზაურობის დროისათვის (1770-იანი წლები) კახეთის აღმოსავლეთი სანიგვარი გავაჩიტებიანია. „ალაზნის ნაპირიდან მივდიოდით 1/2 საათი აღმოსავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და მივედით სოფელ გავაზამდე, ქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით სულ ახლოსაა სოფელი ჭიკანი. ქ'ენი არიან კახეთის უყიდურესი აღმოსავლეთი სასაზღვრო ადგილები ამ ველზე, რომელიც მდებარეობს ალაზნის ჩრდილოეთ მხარეზე. ამბობენ, რომ წინათ ქართველები სახლობდნენ აგრეთვე კიდევ უფრო შორს, აღმოსავლეთით, ახლა კი ლეკეთ ჭარის სოფელ ბელაგანიძმდე, რომელიც მდებარეობს გავაზიდან 30 ვერსზე, აღარ გვხდებიან (ჭართველები)“⁴⁴ — წერს გიულდენშტედტი.

40 საქ. ცენტრ. არქ., ფ. 1448, საბ. 576.

41 o 3 3, ॥०८. 1552.

42 პ. ბო კორი ინგ, კახეთის ლიტერა 1801—1802 წლისა, საქართველოს არქივი, 111, ტფლისი, 1927, 154—185, ცხრილი 5.

43 ර. මෙලු උස්සා ත-ඩේරු, සාක්ෂිතවෙළඳ මෝනැදුල ම්‍යාරුග මල්-XVIII න. මොනි
නොඩුරුනිස, රු. 1936, 24 — 25.

⁴⁴ გიულენიშვილის მოგზაურობა საქართველოში, 1, თბ., 29.



სხვა ადგილის ფი გიულდენშტედს სოფლები—ბელაქანი, კატეხიდას კორონა
თაღა კახეთში შემავალ სოფლებად ეგულება⁴⁵. აქ შეიძლება თავი იჩინა ქარ-
თულ მეცენა სამართლიანი პრეტენზის გამოძიხილმა, რომელთაც ეს მხარე
წაქართველოს განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ და იბრძოლნენ მის „აღდგომა-
გომხსნისათვის“.

გიულდენშტედტი ვარს ასე ავეიშერს: „მხარე ვარი ანუ ჯარი მდება-
რებოს დაბლობზე კავკასიის სამხრეთ შტოსა და მთისწინეთს შორის, ალაზ-
ნის მარცხნა მხარესა და სამურს შეუა, ის არის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნა-
ზილი ლეკეთისა და ესანღვრება კახეთს. მისი სოფლებია: 1. საბელაქნო, 2. მა-
წები, 3. ჭარი, 4. თაღა, 5. კანკურაუ, 6. მიშილიშა, 7. ალიაბათი, 8. ჯინი-
ხი, 9. გულუკი, 10. ქახი, 11. ელისუ, 12. წახური, 13. ვერხიანი, 14. იენგი-
ნეხი, 15. კტეხი, 16. ჯინიხი, 17. გულუკი. ქარმა შემდეგი სოფლები მოსტა-
ცა კახეთს—ალიაბათი, კეხი, ვარხხანი და ონგინუხი, ისინი ეკუთვნიან უქვე და-
სახელებულ ქარელ პატარა შთავებებს. მათი მოსახლეობა ჯერაც ქართველე-
ბია. ვერხიანი და წახური ეკუთვნის მთავრის შეილს მუჰამედ ბეგს ილისუ-
ში... კიდევ ერთ პატარა მთავარს, სახელმობრ, პაჯი ჩალაგს ეკუთვნის რამ-
დენმე სოფელი ზემოთ დასახელებულს გარდა... ეს მხარე თებელთან ერთად
აღრე ემორჩილებოდა კახეთის მეფეს და იყო ქრისტიანული. ახლა ის დამო-
უკიდებელია, არ აქვს რელიგია⁴⁶.

ამ აღწერის მიხედვით უკიდურესი დასავლეთი სოფელი ქარელთა არის
ბელაქანი, მაშასატამებ გიულდენშტედტის ლროს კახეთის პოლიტიკური საზ-
ღვარი აღმოსავლეთით ვრცელდება ბელაქანამდე. ჩვენს ისტორიოგრაფიაში
კახეთისა და მისგან ჩამოცილებული ქარ-ბელაქნის საზღვრად მაშის წყალი
ითვლება.

იოანე პატონიშვილს (1799 წ. ლწერა) კახეთის სოფლების სიაში შეტანი-
ლი აქვს ქარ-ბელაქანი სოფ. ბაზრამდე და ფალრამდე⁴⁷.

დასავლეთი საზღვარი. კახეთის სამეფოს დასავლეთი საზღვარი, საუკუნე-
თა განძილებები სხვადასხვა პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, ცვლილებებს
განიციდა. XVII ს-მდე არაგვის ერისთავი კახეთის მეფის ყმა იყო, მაგრამ
შემდეგ იგი ქართლის მეფის ქვეშევრდომად იქცევა. XVI—XVII სს. განმავ-
ლობაში არაგვის ერისთავები სცელიდნენ თავიანთ სამფლობელოს ფარგლებს
და კახეთის დასავლეთი საზღვარი ცვლილებას განიციდა. მაგრამ შეიძლება,
ითქვას; რომ საზღვარი ქართლსა და კახეთს შორის ტრადიციულად ძირითა-
დად არაგვი იყო.

XV ს. დასასრულისა და XVI ს. დასაწყისისათვის ბერი ეპნატაშვილის
მიხედვით კახეთის ბატონს ეპყრა „ზემოთ ფშავი და თიანეთი, სადაც შე-
ერთვს ფშავისწყალი არაგუსა; მიერითვან ვიღრე არაგუს გაღმართი პევ-ძმო-
რამდის“⁴⁸. ხოლო ძესა კონსტანტინესასა მეფესა დავითს, ე. ი. ქართლის მე-
ფეს ეპყრა: არაგუს აქათი, და ფშავისწყალის-აქათი, გუდამაყარი და კევხილა-
კის-აქათი, და კასრის კევს-აქათი“⁴⁹.

45 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 261.

46 აქვე, 11, თბ., 1964, 89—91.

47 ქართველ ხელოშერთა იმსტიტუტის S ფონდის ხელნაშ. № 3729.

48 ქართლის ცხოვრება, II, 1959, 348.

49 აქვე, 33.

ახალი „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში ვკითხულობთ: „ქორონის კონსა რღ: (1445) მეფემან ალექსანდრე დასუა კახეთს უმრწემესი ძმა დიმიტრისი, გორგი, და მისცა ზემო-კერძონი მთის ალავნი. მუნითვან არაგუა გამოლმართ კევ-ძმარამდის“⁵⁰...

მაშასადამე, ამ დროს საზღვარი გასდევს მდინარე არაგვს და ზემოთ ფშავის არაგვს, ფური ზუსტად, გუდამაყრისა და ფშავის არაგვის წყალგამყოფს.

მე-15 საუკუნის 70-იან წლებში ვახუშტის მიხედვით ქართლისა და კახეთის მეფეები მარტყოფის, საგურამო-ხერკისათვის იძრევიან: „...არამედ კურთხევასა კოსტანტინესსა წარვიდნენ რომელიმე ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ჰერ-კახათანი, და აზცა უტევებდა კოსტანტინე მეფე პყრობად დავითს მარტყოფს, საგურამოს და ხერკას და ვერ ბრძო დავით კოსტანტინეს, ვინადგან ეშინოდა ერისთავთა თვისთავანა“⁵¹...

უკვე შემდგომი მეფე გორგი (სხვა ცნობებით ლევანი) სპობს საერის-თაოებს და აწესებს სამოურაოებს. მათ შორის მოსკენებულია მარტყოფის მოურავი⁵², რაც იმას ნიშნავს რომ მარტყოფი ამ დროს უკვე კახეთის ხელშია.

იმავე გრამგის დროს, „მოსლვასა უზუნ ასან-ყაენისასა, რას მოსრნეს ხერკი, საგურამო, მარტყოფი და თანეთი, ამან გიორგი უძლვნა ყევნისა ძლვები დიდი და ტყენი ქალ-ყმანი და აღუთქვა მორჩილება და დაადგრა მშვიდობით“⁵³. ამ კონტექსტიდან ჩანს, რომ XVI ს. დასაწყისისათვის ხერკი, საგურამო, მარტყოფი, თანეთი კახეთის მეფის სამფლობელოებია, რომლის დალაშექრის შემდეგ მეფე გიორგი აღუთქვამს უზუნ ასან ყაენს მორჩილებას.

1513 წ. კახეთის მეფე ავგიორგის კლავენ ძალისში. ქართლის მეფე დავითი კახეთს იძყრობს 7 წლით⁵⁴. 1520 წ. „დაჯდა ლევან კახთა მეფე და დაიყრა საზღვარი კახეთისა“⁵⁵.

ლევანი მუხრანს მოდის ქართლის მეფე დავითთან საბრძოლველად. გურიელის შუამიელობით მოწინააღმდეგენი შეთანხმდნენ „და ჰყვეს ზავი განჩინებითა საზღურისათა“⁵⁶. აწესებენ საზღვარს, მაგრამ ვახუშტი მასზე კონკრეტულად არ უთითებს.

1574 წ. გარდაცვლილ ლევან მეფის ნაცვლად მეფდება მისი ძე ალექსანდრე. ალექსანდრე მეფე ეხმარებოდა ლალა-ფაშას შაქისა და შირვანის ლაშქრობაში. „მერე უკუმოიქცა (ლალა-ფაშა — ავტ.), შემოვლო მტკერის პირი და მისყვა ალექსანდრე არაგვამდე. მერმე გამოუტევა ალექსანდრე და მოვიდა კახეთს შვიდობით“⁵⁷.

აქედან ჩანს, რომ ალექსანდრეს სამეფოს დასავლეთ საზღვარი არაგვია. მე-17 ს. I მეოთხედისათვისაც ქართლ-კახეთის გამყოფი არაგვია. შაპ-აბზი არბევს კახეთს. თეომურაზი გარდაიხეწება იმერეთს. შაპი კახეთის გამგებლად

50 ქართლის ცხოვრება, II, 476.

51 ვახუშტი ი. საქართველოს ცხოვრება, 157.

52 აქ 3 ვ. 158.

53 აქ 3 ვ.

54 აქ 3 ვ. 160.

55 აქ 3 ვ. 161.

56 აქ 3 ვ.

57 ვახუშტი ი. საქ. ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამ. 110.

3. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV.

ნიშნავს ნოდარ ჯორჯაძესა და დავით ასლანიშვილს, ისინი სამი თარი შემცირებული თემურას კახეთში იწვევენ. „წარმოსრულს იმერეთიდან თემურას მოპყუშნენ თვით გორგი მეფე, ლევან დადიანი და მამია გურიელი ორაგვამდე უცნებლობისათვის ქართველთასა და მუნ მოეგებნენ ყოველი კახი სრულიად. ხოლო იმერთა მეფე და მთავარი უკუნიერნენ თავისადვე და თემურას დაიპყრა კვალად კახეთი“⁵⁸.

1648 წ. აბლი ხანებში „როსტომ დაიპყრა კახეთი და მისცა ზაალ ერის-თავსა ერწო-თიანეთი და ხერკი, არამედ კახნი უმეტეს იყენენ თვისად და ზაალისათანა. ხოლო თემურას შემდგომად გლოვისა იწვია ლევან დადიან-მან“⁵⁹.

1657 წლისათვის ზაალს კვლავ უჭირავს კახეთის მიწები: „ხოლო კახეთს შემდგომად სიბერისათვის როსტომისა დახვეს სალიმ-ხან ქა ჩქნან, ქრიმე, არამედ ზაალსაც, ეპირნა ზემო თქმულნი ქვეყანანი (ე. ი. ერწო-თიანეთი და ხერკი—ავტ.) და კითხვითა მისითა მართვიდა სალიმ-ხან კახეთსა. ამან სალიმ-ხან მოიყვანა ელნი და დასწნა შიგნით და გარეთ კახეთს“⁶⁰.

1659 წლისათვის კახნი „თუშეცა ეპირა მეურთახალი ხანს, გარნა უფრო მორჩილებდენ მეფესა ვახტანგს და იყენენ წინაშე მისა“⁶¹.

1668 წლისათვის კახეთს განავებს აბაზ ყული ხანი. „გარნა ეპირა ერწო-თიანეთი არაგვის ერისთავსაცე. ამისა შემდგომად მოვიდა ერეკლე მეფედ ქართლისად და ამას ნებითა ხანისათა მიეგებნენ არმელნიმე კახნი ყაზახსა შინა. ვინათვან მიეცა ყევნა თუშენი და ქისიყელნი ტალად. ერეკლესათვე და კახეთი სრულიად ეპირა აბაზ-ყული-ხანს...“

ამისა შემდგომად ერზახა ერეკლე მეფე ბრძანებითა ყევნისათა აბაზ-ყული ხანს და მოვიდა ერეკლესა ყაზახაგს და დასკვნეს წართმა ერწო-თიანეთისა და ამა პირსა ზედა ერეკლე მეფე წარვიდა კვალად ტფილისს. ხოლო აბაზ-ყული-ხან წარავლინა კახნი და დაიპყრეს ერწო-თიანეთი და იქმნა რა იგი აღესწერეთ“⁶².

აქედან ჩანს, რომ 1688 წლამდე ერწო-თიანეთი ეპირა არაგვის ერისთავს. ხოლო ამის შემდეგ კვლავ კახეთის სამეფოსთანა შემოერთებული.

1703 წ. კახეთს აძლევნ ერეკლეს ძეს დავით იმამ-ყული-ხანს. დავითმა „დაამშვიდა ქარი და აღუთქვეს მოცემა ხარეთა. ... ხოლო ამას აზრახეს, რათა მოვლის საზღვარი თვისი და მიიღოს მოხნულნი კახეთისანი. სონდა ეს კათაგან და მოვლი ერწო-თიანეთი და მივიდა ჯვარს, მუნიდამ ვანვიდა და იხილა მცხეთა. ხოლო მცხეთას მოვიდა ვახტანგ განმევებელი ქართლისა და დარბაზობდენ ურთიერთს. ზაგ-ჰყევს ამათ სიყვარულსა ზედა, მერმე წარმოვიდა ჯვარიდამ და მოვიდა მარტყოფს მუნიდამ ყარაღაგს“⁶³.

მატიანის ამ ადგილს ჯვარი, ერწო-თიანეთი და მარტყოფი კახეთში იგულისხმება.

58 ვახტანგ, დასახ. ნაშრ. 117.

59 იქ 30, 123.

60 იქ 30, 124.

61 იქ 30, 125.

62 იქ 30, 129.

63 იქ 30, 137.

მე-18 ს. I მეოთხედის ვითარების წარმოდგენა შეიძლება ვახუშტის ვე-ოვრაფის მიხედვით. ვახუშტი პირდაპირ არ საუბრობს ქართლისა და კახეთის სამეფოთა საზღვარზე, მაგრამ თუ დავაკირდებით ამ სამეფოთა მოსაზღვრე ცალკეულ ერთეულთა ვახუშტისეულ საზღვრებს, შეიძლება საერთო საზღვრის დადგენა. იგი ზოგადად კვლავ არაგვს გასდევს.

ქართლის მეოთხე სასპასპეტოს საზღვრებს ვახუშტი ასე განსაზღვრავს: „კევ-ძმარი მტკვარს მიადგების და მტკვრის კიდე მცხეთმდე“⁶⁴. ხოლო მესამე სასპასპეტოსათვის იძლევა შემდეგ საზღვრებს: „...მუხრანი, ორი არაგვი, ქსნის-ქვევი და მამული მისი მესამე სასპასპეტოსი არს. გარნა საზღვარი მუხრანისა არს ძეგვის-წყლიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვი...“⁶⁵.

ვახუშტის ორ არაგვში უნდა იგულისხმებოდეს მთიულეთისა და გუდამაყრის არაგვები. იგი ხერქს ანუ საგურამოს მიაკუთხნებს კახეთის სამეფოს, ხოლო მის დასავლეთ საზღვრად არაგვს სდებს⁶⁶. ასევე არაგვის მარცხენა სანაპიროზე განლაგებული სოფლები მას კახეთში შეაქვს.

შეიძლება გვეფიჯრა რომ ვახუშტი აღწერს საერთოდ ისტორიულ-გვოგრაფიულ პროვინციებს და არა მის თანამედროვე ვითარებას. მაგრამ ვახუშტი უპირველესად თვის თანამედროვე სურათს ასახავს. განსაკუთრებით ეს ჩანს ნაშრომზე დართულ სოფელთა სიებში. ვახუშტი ბატონიშვილი, რომ თვისი დროის ხერკ-საგურამოს მიაკუთხნებს კახეთის სამეფოს, ჩანს რუსთველის სასპასპეტოს აღწერიდან: „მუნებური (რუსთაველი—ავტ.) ეპისკოპოზი მოცვალეს აქა (მარტყოფს—ავტ.) და ზის აწამდე, და არა შეუცვალეს სახელი, არამედ ივივეს რუსთველს უწოდებენ. მწყემისი არის მარტყოფ-საგურამო-ხერკისა. არამედ აწ აქსუცა დროშა სასპასპეტო, და არიან ამის სასპასპეტოსანი გარეთ კახეთი ქისიყამდე და მარტყოფ საგურამო, და არს მემარცხენე ბრძოლასა“⁶⁷.

ასევე XVIII ს. პირველი მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერის დავთარ-ში, რომელიც არაა სრული, შეტანილია არაგვის მარცხენა ნაპირზე განლაგებული სოფლები — ბოდავი, ნოდოკრა, ახატანი, ძაგნაკრა, წირდალი⁶⁸.

1781 წ. შედგენილ არაგვის ხეობის და არაგვის საერთოსაუთს ბარის სოფლების აღწერის დავთრებში არაგვის მარცხენა მხარეს განლაგებული სოფლები არაა მოხსენებული.

1743—1744 წწ. კახეთის მეუე თეიმურაზი აღგილობრივ მომხრეთა დახმარებით იპყრობს ჯერ არაგვის, ხოლო შემდეგ ქსნის ხეობასა და საერთოსაუთს. ასე, რომ როდესაც ნადირ-შაპი თეიმურაზს უშტეიცებს ქართლის მეფობას, მას (თეიმურაზს) ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა.

1762 წ. ქართლისა და კახეთის სამეფოები ქართლ-კახეთის სამეფოდ ერთიანდება. თითქოს აქ უკვე იშლება ქართლ-კახეთის საზღვარი, მაგრამ 70-იანი წლებისათვის, როდესაც გაულდენშტედტი მოგზაურობს საქართველო-

⁶⁴ ვახუშტი, აღწერა, 51.

⁶⁵ იქ 33, 60.

⁶⁶ იქ 33, 94.

⁶⁷ იქ 33, 95.

⁶⁸ ვახუშტი ვილი, საქართველოს ეკონომიკი ისტორიის ძეგლები, I, 274—275.

ში, ძევლი კითარება რამდენადმე შემორჩენილა. გიულდენშტედტი ლაპარაკ კობს რა კახეთის საზღვრებზე, არნიშვილს რომ მის დასავლეთით შინქ (შიდა) ქართლია. იგი ას მიუთითებს სასაზღვრო ხაზზე, მაგრამ რაღაცაც შიდა ქართლი ახასიათის არაგვის აღმოსავლეთით ას ვრცელდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიერ შედგენილ რეკაზე ქართლისა და კახეთის საზღვრის გატარება არაგვისა და იორის წყალგამყოფზე — ე.წ. ქახეთის მთაზე უზუსტობის ბრალია, თუმცა გიულდენშტედტის სასაზღვრო ხაზი კეშმარიტებასაც, რომ ასახავდეს, არც ეს იქნებოდა მოულოდნელი, რადგან ერთ სამეფოდ გარეთიანებული ქართლისა და კახეთის სამეფოთა ურთიერთ მოსაზღვრე სოფლები უცხოელ მოგზაურს შეეძლო ან კახეთის, ან ქართლის პროვინციისათვის მიეკუთვნებინა.

საინტერესოა 1799 წ. იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილი სოფლების სია, საღაც ქართლისა და კახეთის მოსაზღვრე მხარის შესახებ შემდგენა აღნიშნული: „კახეთის რაცა სოფლები მიწერება ხრდილოეთის კერძო, რომელიც მდგრადობს გრდანისა და საგურამოს ხეობისა არიან შემდგომნი ესე: გრდანი, ივებალა, ტევანი, დუმაგრდანი, მანკოდა, ღელეუბანი, ტუტალა, ჯაჭვა, ფოხო, ჯვრი, წიწამური საგურამოს ცხე, წიწამური, ანხოტი, ღური, ძევლ ღური, მარავი, გორის უბანი, ბალნიანთ კარი, მაწყარფერი, ავში, ოზი, ჩრდილი, ზუარეთი, ედიშელიძე, ლაფი, ხატანი, შაკიხინი, ზავარა, იპისი, არჯაველა, ჯილაური, ბიწმენი. თიანეთის ხეობა-თიანეთი, ჩარგალა, ბაჩალი, იორი, ჭაბატი, ბალიანი, ნაცვლიანი, კავთელა, ლაფანი, ნოგორნა, ძაგაკორა, ერხენა, ტუტალა, ბორიანი, კახიანი, ბორა, ბულაჩაური ანუ ბეღჩაური, წირდალი. საცხოტი (ალბათ საცხაოტო — ავტ.), ზარიძე, ჩინთი, ბოდავი, უინვანი, ხარქაში, საშიში, თვალივი, ტუშური და სხვ“⁶⁹.

აქედან ჩანს, რომ იოანე ბატონიშვილი არაგვის მარცხენა ნაპირზე განლაგებულ ყველა სოფელს კახეთისად მიიჩნევს.

სამხრეთის საზღვარი. XV ს. მიწურულისა და XVI ს. დასაწყისისათვის კახეთის სამეფოს სამხრეთი საზღვრის შესახებ ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილი და ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტის იგტორი.

ბერი ეგნატაშვილი წერს: „...მიერთვან ვიდრე არაგუს გაღმართი კევ-ძმორამდის; კევ-ძმორიდამე გაყოლილი ლილოს სერამდის, რაოდენი სერისა წყალი გასდის და გაერთვის მარტყოფის წყალსა; გაყოლით ამართულამდე, გაყოლით ვიდრე აჯი-სუმდე, აჯი-სუს ვიდრე მტკურის შესართავამდე, მას ქუ-მოთი მტკუას გალმართი ვიდრე შექისს საზღვრამდე“⁷⁰.

ხოლო ქართლის მეფის დავითის სამფლობელოების აღწერისას, ბერი ეგნატაშვილი იგვევ ხაზღვრის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „მეფესა დავითს ეპტრა: აჯი-სუს ზევით უდაბნონი, და სამგორ-ქუემოთი, ლილო და ლილოს ქუემოთი და კევ-ძმორას ქუემოთი და არაგუს აქათი...“⁷¹.

დაახლოებით ასეთივე ცნობას გვაწვდის ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტის ავტორი: კახეთის მეფეს ეკუთვნის „მუნიდგან არაგუს გამოღმით კევ-ძმარამდის, კუალად კევ-ძმარიდამ გაყოლილი ლილოს სერამდის, რაოდენი ლილოს სერას წყალი გასდის და შეერთვის, მარტყოფის წყალსა გაყოლით

69 ქართლ ხელნაშერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწ. № 3729.

70 ქართლის ცხოვრება, II, 1959, 348—349.

71 ივ კ. გ., 349.

ვიდრე ამართულამდე და ამართულს გაყოლილი ვიდრე აჯისუდმდე და აჯისუდმდე გაყოლით ვიდრე მტკურის შესართავამდე და მას ქუმოთ მტკურს გადახლოს როთ...”⁷².

სამხრეთის საზღვრის განხილვა დავიწყოთ მისი აღმოსავლეთი ნაწილიდან. იგი აქ იწყებოდა აღაზნისა და მტკურის შესართავიდნ და მოყვებოდა მტკურს აჯი-სუმდე ანუ მწარე წყლამდე (აჯი-სუ თურქულად ნიშნავს მწარე წყალს). ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „სამხრეთით მწარე წყალი, ე. ი. დაახლო-ვებით იმ ადგილამდის, სადაც აღსტაფურას წყალს შესართავია“⁷³.

ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტის მიხედვით აჯი-სუ მტკურს თითქოს ჩრდილოეთიდან ერთვის და საზღვრიც მას გაპყება. ბერ ეგნატაშვილთან არ ჩანს აჯი-სუ რომელი მტრიდან უერთდება მტკურს. 1905 წ. დაბეჭდილ ხუთ-ვერსიან რუკაზე მტკურს სამხრეთიდან ერთვის პატარა მდინარე, რომელსაც აწერია აჯი-სუ. იგი აღსტაფის წყლის შესართავიდამ 15-კმ-ზე აღმოსავლეთით ერთვის მტკურს. ვახუშტის რუკაზე აჯი-სუ ანუ მწარე წყალი მტკურს ერთვის ჩრდილოეთიდან აღსტაფის წყლის აღმოსავლეთით.

აჯი-სუს ზევით მტკურის ჩრდილოეთით უდაბნონი, „სამგორ ქუემოთი“ უპყრია ქართლს მეფე დავითი. სამგორის მთის სამხრეთით არს მწვერვალი, რომელსაც ხუთვერსიან რუკაზე აწერია „ამართულა“. ეს ტოპონიმი „ამართული ქა“-ს სახით იხსენიება 1579 წ. შეწირულობის წიგნში. ალექსანდრე (კახ-თა) მეფემ დამტკიცა მცხეთას ძევლად შეწირული მიწა სამგორში რომლის ერთ-ერთი საზღვარი იყო ამართული ქვა⁷⁴. ცნობილია, რომ ქვები აღი-მართებოდა სასაზღვრო აღგილებში. ამიტომ მეტად ნიშანდობლივია ქართლკახეთის სასაზღვრო ხაზზე ასეთი ტოპონიმის არსებობა და მისი დადასტურება მე-16 ს. საბუთში.

შემდეგ სასაზღვრო ხაზი გასდევს მარტყოფის წყალს, ლილოს სერსა და ხევდმარს (ხევდმორას).

საინტერესოა ხევ-ძმარას მდებარეობის განსაზღვრა. ვახუშტი წერს: „ავ-ჰალა არს მტკურის კიდესა ზედა. ამ ავჭალის ბოლოს არს კევდმარი, ჩამოვაზ-დების მშრალი კევი კვიტკირის ლილოდამ მტკურამდე. და ეს არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთისა“⁷⁵.

სხვაგან ვახუშტი აღნიშნავს: „ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისი-დამ, ვიდრე ტაშის-კარამდე, მეფისა თანა მყოფნი, და იმზღვერების: აღმოსავ-ლით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის ხაზი შარობის ლილოსასა აღმო-სავლით-საქართველო ლოკინიდე, რომელსა ეწოდების ომანისკევი, მუნით განვ-ლის სამგორსა და ჩაღივარს შეა, და მრავალ-წყაროსა, და სათას ჰალს შეა, და მიაღვების ბერთ-უბნის ლელესა. ხოლო ლილოდამ ჩრდილოთენ მიაღვების ქევ-ძმარს, და ქევ-ძმარი მტკურს მიაღვების და მტკურის კიდე მცხეთმდე“⁷⁶.

მაშასადამე, ხევ-ძმარი ჩაუვლის კიდეზე (ე. ი. სამხრეთით) ავჭალას და უერთდება მტკურს. დღეს ხევ-ძმარა ეწოდება ხევს, რომელიც ჩრდილო-და-

72 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 476.

73 ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 14.

74 მასლები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბ., 1964, 19.

75 ვახუშტი ტაში, აღმერა, 94.

76 ივანე, 51.

სავლეთით ჩამოუდის თბილისის ლენინის რაიონის ახალ უბანს — „ხევშემარცხ
დასახლებას“ და მიემართება ავტალის სამხრეთით.

სამხრეთის სასაზღვრო ხაზის დაღვენისას კელავ გვეხმარება ვახუშტი, რო-
მელსაც დაუცავს ცნობა მისი თანამედროვე ქართლ-კახეთის საზღვრის შესახებ:
„იორს და მტკვარს შუა ასტყდების მცირე მთა ხორანთიდამვე, რომელსა ეწო-
დების გძელტბა და გარევა. ეს მთა აწ ჰყოფს ქართლსა და კახეთს: ხორაუგი-
დამ მწარე-წყლამდე და მტკვარამდე კახეთისა, ხოლო მწარე-წყალს იქით ნახე-
ვარი, აღმოსავლეთის კერძი, კახეთისა, და ნახევარი, დასავლეთის კერძი, ქართ-
ლისა. ეს გარევის მთა მიაღვების სათის-ჭალს კუხეთის მთას და მერქო, ჩა-
დიგრის გორაებით, მიაღვების ლილოს, და ლილოს მთა მიაღვების ეპრევე
კუხეთის მთას⁷⁷.“

ხორანთის ვახუშტი ვარაუდობს ივრისა და ალაზნის შესართავთან⁷⁸, ხო-
ლო ხორაუგს ნორიოსა და სართიშვილის ხაზზე.

საინტერესოა, რომ ხორაუგის ზევით, ნორიოს ჩრდილოეთით კახეთის მთის
კალთაზე არის მთის მშვერვალი „ქვა-ჯვარი“, რაც, ალბათ, სასაზღვრო ქვა-
ჯვარი იყო. ხოლო იგივე მთაგრეხილი მცხეთასთან გვირვვინდება „ჯვარით“
(არა გამორიცხული რომ მცხეთის ქვრის აღგილს თავდაპირველად იდგა სა-
საზღვრო ქვა-ჯვარი). თუ ჩევნი მოსაზრება სწორია, გამოდის რომ ამ სასაზღვრო
მთაგრეხილზე გვაქსეს მცხეთის ქვარი, ნორიოს ქვაჯვარი და სამგორის ამარ-
თული ქვა (ჯვარი). შესაძლოა ეს „ჯვრები“ უფრო ძველი სასაზღვრო სამნები
იყოს, ვიდრე ქართლ-კახეთის გვიანდელი სამეფოების არსებობის დროინდელი
საზღვარია⁷⁹.

უურადლებას იქცევს ის გარემოება, რომ ვახუშტი ბატონიშვილის დროინ-
დელი (მე-18 ს. I მეოთხედი) ქართლ-კახეთის საზღვრები, ძირითადად, ემთხვე-
ვა ბერი ეგნატაშვილის მიერ XV—XVI საუკუნეებისათვის მოცემულ საზღვ-
რების. აյ შეიძლება ორი ვარაუდის დაშეება: 1) ბერი ეგნატაშვილს (მე-18 ს.
I მეოთხედის მოღვწეს) თავისი დროის საზღვრები გადაქსეს აღრული ხანი-
სათვის, ან 2) ბერი ეგნატაშვილი ეყრდნობა რომელიმე სანდო ძველ წყაროს
და სასაზღვრო ხაზი XVI—XVIII სს. მანძილზე არ განიცდის არსებით ცვლი-
ლებას⁸⁰.

⁷⁷ ვახუშტი ტ. ი. აღწერა., 89.

⁷⁸ იქვე, 88.

⁷⁹ ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ვახუშტისთან დაცული ცნობები გარდამნის შესა-
ხებ. ერთგან იგი აღნიშნავს: „ამნისე გარდაბანს—ავტ. უწოდეს შემდგომად ავარანი. არამედ
შემდგომად გარდგომისა გრიგოლ მთავრისა, ამას დაეღვა გრდანი, ლილო, და შარტყოფი, და
იწოდა ესრი გარდაბანად“ (ვახუშტი, აღწერა., 50).

ხევაგან: „განდგა რა გრიგოლ მთავარი, ამას მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა
მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ქარის — ქეყით, საშერის კერძის, ეწოდა
გარდაბანად, არამედ შემდგომად კვირიებ დაიბურა რა პერეთიც, იწოდა კათ შეცელდა...“ (იქვე,
გვ. 86—87).

აյ მოხსენებული კახეთის მთავარი გრიგოლი მოღვაწეობს 787—827 წლებში, ხოლო
ეპირებუ XI ს. I მესამედში.

როგორც მოტანილი აღილებიდან ჩანს, ვახუშტისეული გარდამნის ჩრდილოეთი სასაზღვ-
რო ხაზი ემთხვევა ჩევნის მიერ სასაზღვრო ქვაჯვარებზე ნაერადევ ხაზს. შეიძლება ვიფიქ-
როთ, რომ ეს სასაზღვრო ხაზი VIII—IX სს. მიწნაზე მანძილ ვაკვე არსებობს.

80 ჩევნი ხელო არსებულ მისაღებიდან ნათლად არ ჩანს თუ ქალაქი რუსთავი და მისი მი-
დამოება XVI—XVII სს. მანძილზე რომელი სიცელის შემაღებლობაში შედიოდა. მე-17 ს.
მიწნერულიდან რომ რუსთავი ქართლის საშეულოს უარგლებშია მოქმედული, ეს ვეკვე არ იწვევს.

ჩრდილოეთის ხაზღვარი. კახეთის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვარი შედგენა რებით სტაბილური იყო. იგი ძირითადად ვასღევდა კავკასიონის მთავარ ქედს. XV—XVI კახეთის სამეფოში შედის შშავი, ხევსურეთი, თუშეთი, თუშეცა იყო ცალკეული პერიოდები როდესაც ეს პროვინციები განდგომილნი იყვნენ კახეთისაგან⁸¹. ვაშუშტი ბატონიშვილის ცნობით, XV საუკუნეში გორგის (თუ ლევა) მეფის დროს, „ამათ არა მორჩილებდნენ თუშენი და ფშავ-ხევსურნი, არამედ დიდოეთი ერთგულებისათვის დავითისა ერთგულებდნენ ამათ და მსახურებდნენ“⁸².

XVI ს-ში, მეცე ლევანის დროს, კახეთის სამეფო კარი ახერხებს მთიულების დამორჩილებას. „...არამედ ამას წინათა კახთა მეფეთა არა-რა მორჩილებდნენ შშავ-ხევსურნი და თუშენი და ამან ლევან დაიბყრნა არა ძალითა, არამედ ალექსევა, რათა ცხოვარნი მათნ უცნოდ მძოვარ-იყვნენ კახეთს და მისუა შეწორულობა ლაშას ჭუარსა თანეთს შინა და მიერითვან მოსცემდნენ ლაშეარსა და ბეგარსა“⁸³.

ჩაც შეეხება დიდოეთს, იგი როგორც ზევით იყო აღნიშნული, XV საუკუნეში ემორჩილებოდა კახეთს. როგორც ჩანს, შემდგომ ხანებში დიდოეთი ვანუდა კახეთს. 1639 წ. „ყევენნან შეწყვნარა ძლვენი და მოსცა კახეთი თეიმურაშის და ხალათი და მოემცნო პირველისა შენდობა და აშენ ერთგულად ყოფნა და ესრეთ მრავალგზის წარულინებდა ძლვენსა... განიზრახა თეიმურაშ შესლვად დიდოეთს, რათა მოაციოს კერპობისაგან და ჰყოსცა გზა რუსეთისა და შეიწიოს იგინი. შემოკრებულითა კახითა შეუხდა და შემუსრნა რაოდენიმე კოშკი და მოსწვა დაბნები“⁸⁴.

მე-18 ს. I შეოთხედში მხოლოდ თუშეთის სამხრეთის ნაწილი ემორჩილება კახეთის მეფეს. რაც შეეხება ფარსმის თუშებს „იგინი არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა“⁸⁵.

ამავე პერიოდისათვის დიდოეთის მხოლოდ ნახევარი შემოდის კახეთის სამეფოში. ვაშუშტის მიერ შედგენილ რუკაზე მხოლოდ დიდოეთის ნახევარია შეტანილი კახეთის ფარგლებში. „აღწერაში“ ვკითხულობთ: დიდოეთის „ლეკის მქარე დააბყრნეს-რომელიმე ლეკეთა და მოქმალიან ჰყვეს, და სხვანი ჰვიეს, და არიან ეგრეთვე და კახეთის მხრისანი ჰყ მობენ კახეთა მეკატრონი და და აძლევენ ხარკთა და არა ლაშეართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინათვან ზიღვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და სახმარსა თვისთა“⁸⁶.

ვახუშტის გეოგრაფიის მოტანილი აღვილიდნ ჩანს, რომ ნახევარი დიდოეთი ეკონომიკური დაინტერესების გამო პოლიტიკურად კახეთის სამეფოს ემორჩილება, ისევე, როგორც თუშეთი⁸⁷.

81 რამდენადიც პირიქით ხევსურეთი და თუშეთი მთავარი ქედის ჩრდილოეთით შედარებულენ სასაზღვრო ხაზი ქედის ჩრდილოეთიაც გაღიოდა.

82 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიშინაძის გამ., 1913, 158.

83 ი ქ 3 ი, 163.

84 ქართლის ცხოვრება, II, 1854, 122.

85 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... 105.

86 ი ქ ვ, 104.

87 შეადარე თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღუსტინის ურთიერთობის ისტორიულიან, თბილისი, 1968, 195.

საქართველოს მეზობელ მხარეთა ოლწერაში (მე-18 საუკ. II ნახევრა) ამ მხარეების შესახებ წერია: „კიდევ კახეთის სამეფოს ნაწილი, რომელიც კახეთშედ ჩრდილოდ კერძო არიან ოთხნი თემნა, — დიდოეთი, ქისტი, ლლილვი და ზურზუკი ლექთაგან მიგუბმიან და გაპუმამაღიანებიათ“⁸⁸.

აქედან ჩანს, რომ ის თემები, რომლებიც კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, მის მოსაზღვრებად იქცნენ.

ასეთია ზოგად ხაზებში გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები.

88 ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე ვ ი , საქართველოს მეზობელ მხარეთა ოლწერა XVIII ს. II ნახევრა, 1936, 27.

თ. გირაძე,
გ. ცეიტიშვილი

XV ს. დასასრულისათვის, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფო, ომელიც მოიცავდა ტერიტორიას ლიხის ქედიდან მდ. ცხენისწყლამდე და კავკასიონიდან ფერსათის მთებამდე. სამეფოს საზღვრები საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა. წინამდებარე წერილის მიზანია თვალი გავადევნოთ მათ ცვლილებას და ვაჩვენოთ თუ რა ტერიტორიას მოიცავდა იმერეთის სამეფო XIX ს. დასაწყისში, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო შეუერთდა რუსეთს და რუსეთის იმპერიის დღის წესრიგში დასავლეთ საქართველოს დაუფლება დადგა.

დასავლეთით XV ს. II ნახევარში იმერეთის სამეფოს შემაღებენლობაში შედიოდა ცხენისწყლის ხეობის ზემო წელი — ქვემო სვანეთი და ლეჩეთი.

ქვემო სვანეთი შუაფეოდალურ ხანაში სვანეთის საერისთავოს ერთ ნაწილს წარმოადგენდა. იგი მდებარეობს ცხენისწყლის ხეობაში მურის ხილიდან სათავეებამდე.

ზემო და ქვემო სვანეთს ერთმანეთისაგან სვანეთის ქედი გამოჰყოფს, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3000 მ. აღემატება.

წყაროთა სიმცირე არ იძლევა საშუალებას დადგინდეს თუ როდის დაიშალა სვანეთის საერისთავო. XV ს. II ნახევარისათვის ეს უკვე მომხდარი ფაქტია. ამას მოწმობს „წიგნი საისხლო საქმისა ბალს — ზემოთ სვანეთისა და თავად ჭაფარიძეთა შორის“.

საბუთის მიხედვით, „სრულიად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის, „ერთსანს იმერეთის სამეფო ხელისუფლებამ ბარს მოწყვიტა და ბარისაკენ მიმავალი გზები გადაუკეტა, სვანებმა „ერც კახეთისაკენ ვიშოვეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენ“, და იძლებული იყვნენ ეცერის დადეშეველიანებისა და რუსიგინების მეშვეობით შუაფეოდა ეთხოვთ ოდიშის მთავრისათვის. დადიანის დაბმარებით საქმე მორიგებით დამთავრდა. სვანებმა ჭაფარიძეთა სისხლში მისცეს „გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მთიულეთის თემი...“ და ბაჟიც დაიდეს. ამვე ღროს ჭაფარიძეებსაც ემართათ სვანების სისხლი და სანაცვლოდ გაიღეს „ლაშეთის სოფელი და ციხე, ხერიას ცხრა კუამლი კაცი“¹. ლაშეთი ქვემო სვანეთის უკიდურეს თემს წარმოადგენს და სოფელი ხერია ამ თემში შედის. რადგან ბალს ზემო სვანეთი

¹ 3. ინგოროვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, თბ., 1941, გვ. 32.

სისხლში ამ სოფელს იღებს ცხადია, რომ ქვემო სვანეთი უკვე დალგვა გამოყოფილი და უშუალოდ იმერეთის სამეფოში შედის (გაფარიძეები ამ შემთხვევაში სამეფო ხელისუფლების სახელით გამოდიან). ამას ადასტურებს ის ინტერიერი, რომ ვადასახადის თავის ნებით დამდებთა შორის ქვემო სვანეთის არც ერთი თემი არ გვხვდება².

შუალედალურ ხანაში ოდიშის საერისთავოს საზღვრები უნაგირას ქედამდე აღწევდა და მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირს მიყვებოდა. მის აღმოსავლეთი იწყებოდა სამოქალაქო.

XV ს. II ნახევარში სამოქალაქოს უდიდესი ნაწილი იმერეთის სამეფოს შემაღებელობაში აღმოჩნდა, ხოლო მისი ერთი ნაწილი, ცხენისწყლის დასავლეთით, ოდიშის შემაღებელობაში შევიდა. ამ მდინარის შეუა წლებში საზღვრად იმერეთსა და ოდიშს შორის მდ. ცხენისწყალი გვევლინება³. მდ. ცხენისწყლის ქვემო წელში იმერეთის სამეფოს ტერიტორია ამ მდინარის დასავლეთით ვრცელდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონი ამ ტერიტორიას ვაკეში გულისხმობს. „ხოლო საჩიხვავოს — სალომინაოს, რიონს გაღმით, სამერეთით არს ვაკი, და ისახელების მათ ადგილთა სიგავისათვის, და ამას მზღვრის: აღმოსავლით წყალ-წითელა ყვარილიდამ კვაბურის მთამდე; სამხრით მზღვრის ყვარილა და რიონი; დასავლეთ ცხენისწყალი და ცხენისწყალიდამ წასული ხაზი ისულეთმდე და რიონამდე... ამას შინა, ცხენისწყლისა და რიონისაკენ, არს საჭილაო, სამიქელოა⁴.

სამიქელო მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზეა. რიონის მარჯვენა ნაპირის ტერიტორია ცხენისწყლის ხერთვისიდან ტეხურის ხერთვისამდე, ვახუშტის აღწერის მიხედვით, საჭილაოში შედის.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ შემთხვევაში გადმოგცემს XV საუკ. II ნახევრის სინამდვილეს. იგი საჭილაოს უწოდებს ქვეყნის იმ ნაწილს, რომელიც თავის დროზე ჭილაძეების გვარეულობას ეკუთვნოდა. ჭილაძეები გვიანდებალურ ხანაში ძლიერ ფეოდალებად ითვლებოდნენ: „ჭილაძეები ერთ დროს მთავრები იყნენ და ფლობდნენ დად მხარეს გურიასა და სამეგრელოს შორის. გურიაში მათი სამფლობელო საერისთაომდის მიდიოდა, ესე იგი, მათ ეჭირათ მთელი ახლანდელი მხარე გურიისა, რომელსაც პქვია სახივახო, სამეგრელოს მხრით მათი სამფლობელო, როგორც ირკვევა ეხლა, ბანაძამდის მიღიოდა. ამ საზღვრებში შედიოდა, გრძელ საგავახოისა სამტრედია, ეხლანდელი საჭილაო, აბაშა, სეფიოთი⁵.

XIX ს. დასტყისის ერთი საბუთის თანახმად საჭილაოში შემდეგი სოფლები შედიოდა მარანი, ილორი, ნაფალაური, სამტრედია, სანაგარდო, გულევარი, გვიანდებალა, ქორეის უბანი, ტოლები, ჰევტილა, ეკალი, ნაფაცხევი, ტყვიირი, ტილორი და შუაქალაქი⁶.

2 3. ინვოროვა, დასხ. ნაშრ., გვ. 33.

3 თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. საქ. ისტ. გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 164.

4 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საჭილოებისა, თბ., 1941, გვ. 164.

5 ვაკეთ. თავათ შევილი, არქეოლოგიური მოგზაურობა საჭილოები, ძვ. სავარ-ოველი, III, ტუ. 1913 — 1914, გვ. 3.

6 საქ. შეცნერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტრუმენტის ფონდი № 1130, დაღიანების საბუთები 1803 — 1849 წწ.

კილაძების სამფლობელო ცხენისწყლის დასავლეთით უფრო ვრცელი იყო ეიდრე ვახუშტის აქეს მოხაზული. იგი ოღვევდა უნავირს სამხრეთ კალთებს. ამ ტერიტორიაზე მდგბარეობდა შეცის ციხეც⁷. საჭილაოს გარდა ჭილაძების სამფლობელოში საჯავახოც შედიოდა.

საჯავახო ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით იყ მოიხაზება: „ხოლო კვალად ცხენის-წყლის შესართავს ქვეით რიონს მოერთვის სამჯრიდამ საჯავახოს — წყალი. ეს გამოსდის ფერსათს, და ას შენობანი ქობა და მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, ხილ-ვერანითა, პირუტყვითა, ნაღირითა და ფრინვლითა. ხოლო მზღვრის საჯავახოს: აღმოსავლეთ მთა მცირე, ფერსათიდან ჩამოსული ჩდილოთ კერძოთ, საჯავახოსა და საჩინოს შორისი; სამკრით ფერსათის მთა; დასავლით ფერსათიდამცვე ჩამოსული მთა, გურიასა და საჯავახოს შორისი; ჩდილოთ რიონის მდინარე⁸.

საჯავახოში, მე-19 საუკუნის დასაწყისის ოფიციალური ცნობით, შემდეგი სოფლები შედიოდა: ბურნათი, ნანეიშვილისეული, ქვემოტეხილი, ციზეთი, ობუთვანი, ქალაგანი, ყოვლად წმიდის კარი, ნიგოზლუა, ნოღა, აბაშა, ქვაულე, ღრმა ღალი, მცხაყრუა, ოფეთი, თორგაული, წიალუბანი. მაშასადამე, იმერეთის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი დღევანდელ საჯავახოს ქედზე გადიოდა.

ამრიგად, იმერეთის სამეფო გარკვეულ ხანამდე სოლივით იყო შექრილი, გურიასა და ოდიშის შორის და აქ მას ეკვა ტერიტორია რიონის ორივე მხარეს ქედიდან ქედამდე. ჩრდილოეთით იგი ვრცელდებოდა კავკასიონის ქედამდე, სამხრეთით აღწევდა სამცხე-საათაბაგომდე, რომელთან გამყოფი იყო ფერსათის მთები, ხოლო აღმოსავლეთით ვრცელდებოდა ლიხის ქედამდე.

მე-15 ს. II ნახევრიდან ჭილაძები შეეცალნენ თავინთი სამფლობელო დამოუკიდებელ სამთავროდ გადაექციათ. მაგრამ, მათ ეს ვერ შეძლეს. ამისი მიზეზი უპირველეს ყოვლისა მათი სამფლობელოს გეოგრაფიულ მდებარეობაში უნდა ვეძებოთ. იგი გადაშლილი იყო მდინარების ცხენისწყლისა და რიონის ორივე ნამირზე და ეკონომიკურად სუსტად იყო დაკავშირებული ერთ-მანეთან.

ჭილაძეთა სამფლობელოს საზღვარი მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან ხელოვნური იყო; იგი არ ემთხვეოდა მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ფატერის: დიდი მდინარე იქნებოდა ეს, თუ მთიანი ზოლი. ამან გააღვილა მისი დაყრიბა მეზობელი სამთავროების მიერ.

1548 წ. გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატი და ტახტზე ავიდა მისი ძე გიორგი. პარველ ხანებში მეფესა და მთავრებს შორის მშვიდობა სუფევდა, მაგრამ მალე ატყდა შინაომი, მეფემ კავშირი შექრა გურიელთან და დაიბანს დაუწყო ბრძოლა. უკანასკნელი დამარცხდა და მხოლოდ ოსმალეთის სულთნის დაშმარებით დაიბრუნა ტახტი და გურიელსაც შეურიგდა. მაშინ „მეფემან გორგომ მოუწოდა ჯავახს ჭილაძეს, მოჰკულა იგი... რამეთუ მიღვომიცა იყო დაინაინისა და დაიპყრა მამული ჯავახ ჭილაძისა მეფემან გიორგიმ. ესე ალექსათ

⁷ თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, 1967, გვ. 165 — 168.

⁸ ვახ შეტე, აღწევა, გვ. 149.

⁹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი — 1130 დაღიანების საბუთები, 1803 — 1849 წწ.

დადიან-გურიელსა, შეითქვნენ და მოვიღნენ სპითა და ორა აუფლებდენ გოლო-
გი მეფესა მამულსა ზედა ჭილაძისასა. ორამედ ნახევარი დაიპყრეს დაცლისმან
და ნახევარი გურიელმან¹⁰.

ჭილაძების სამფლობელოს განაწილება ამით არ დამთავრებულა. ვახუშ-
ტის ისტორიიდან ირკვევა, რომ მისი ერთი ნაწილის განაწილებაში მონაწილე-
ობა მიუღია ლევან I დადიანის ბიძის ბათულიას და მის წილად ხვდომია რიო-
ნის მარცხენა ნაპირზე მდებარე საჯავახო. ლევან I დადიანის სიკვდილის შემ-
დევ ოდიშში შინაომი ატყდა, რომელიც მორიგებით გათავდა. „მერმე ზავ-
ჰკევეს მეფემან და გურიელმან მათა შორის, მოიყვანეს გორგი და დასვეს
დადიანადვე, ხოლო მამის მისცეს ჭილაძისა და რევაზის მამულინი¹¹.

ახლა უკმაყოფილო ბათულია დადიანმა წამოყო თავი: „ორამედ შემდგო-
მად ამისა მოიხსენა შური ბათულიამ, ბიძამან დადიანისმან, შემოიკრიბა სა-
ჯავახო, რამეთუ მას ეპირა იგი და მოიბირნა ვინამენიცა მერელნი, წარვიდა,
რათა თაგე-დასხმით ღალატად მოპელას გიორგი დადიანი, აგრძნა ეს გიორგი
დადიანმა და შემოიკრიბნა სპანი. ეს უთხრეს ბათულიას, უკმოქუა და მოვი-
და საჯავახოსავე: მისთვის ეს აუწყა მეფესა დადიანმან და ძმამან მისმან მა-
მიამ. ხოლო მეფემან გურიელსა მიუთხრა, რათა მოპელას ბათულია ამის წილ
და დაიპყრას თვით საჯავახო ორთავე ნებითა. განიხარა გურიელმა, შეიძყრო
ბათულია ზაკეით... პატიმარი ჰყო, ოშურგეთს და დაიპყრო საჯავახო თვისად.
მერმე კვალად მოუთხრეს მეფემან და დადიანმან გურიელს მოპელვა ბათული-
ასი: ხოლო გურიელმან, ორა მოპელა თვით. ორამედ მისცა ნება და ამათ წარვ-
ლინეს კაც და მოაშოვეს ბათულია¹².

1582 წ. გარდაიცვალა გიორგი დადიანი და ოდიშის მთავარი გახდა მისა
ძმა მამია. ჭილაძების სამფლობელოს ის ნაწილი, რომელიც მას ცალკე ჰქონ-
და გამოყოფილი, ახლა უშუალოდ შეუერთდა ოდიშის სამთავროს.

ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, XVI საუკუნის უკანასკნელ
მეოთხედში იმერეთის სამეფომ საბოლოოდ დაკარგა ჭილაძების სამფლობე-
ლო. მისი ერთი ნაწილი ოდიშს შეუერთდა, ხოლო მეორე ნაწილი კი გურიე-
ლებმა მიიტაცეს.

ოდიშს და იმერეთს შორის საზღვარი ეხლა უკვე მთლიანად ცხენის-
წყალს მიუყვებოდა. ხოლო იმერეთსა და გურიას შორის საზღვარი გახდა მდი-
ნარე რიონი და „მცირე მთა საჩინოსა და საჯავახოს შორისი“.

ამგვარი მდგომარეობა იყო XVII ს. სამოცდაათან წლებამდე.
აქვე აღსანიშნავია შემდეგი გარემოება—რამდენიმე ცნობით ლევან II
დადიანის დროს საზღვარი იმერეთსა და ოდიშს შორის მდინარე რიონზე გა-
დის. შევჩერდეთ ამ ცნობებზე საგანგებოდ: „კოლხიდა მდებარეობს იმერეთსა
და აფხაზეთს შუა. იმერეთი აღმოსავლეთით აქვს და აფხაზეთი ჩრდილოეთით.
იმერეთისაგან მას ჰყოფს სახელგანქთმული მდინარე ფაზისი, რომელიც მკვი-
დრთაგან იწოდა რიონად...“¹³ — წერს არქანგელო ლამბერტი.

ასეთსავე ცნობას გვაწვდის შარდენიც: კორაქსი და ფაზისი, მდინარეები,
რომლებსაც ორაერთხელ იხსენიებენ ძველი ისტორიკოსები და რომლებსაც

10 ვახუშტი ი. საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 291.

11 იქვე, გვ. 293.

12 ვახუშტი ი. დასახ. ნახრომი, გვ. 293.

13 არქანგელო ლამბერტი რიონი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.



ეხლა კოდორი ეწოდებათ, საზღვრავენ ოდიშს. პირველი მას გამოჰყოფს აფხაზები ზეთისაგან, მეორე კი — იმერეთისაგან¹⁴.

ლევან II დადიანმა მრავალგზის წარმატებით ილაშქრა იმერეთზე. მის უპირველეს ამოცანას შეადგენდა სამოქალაქოს ხელში ჩაგდება და ოდიშის საზღვრების კვაბჭირის ქედამდე გადაწევა. მაგრამ ლევან II დადიანის ლაშქრობები მძარცველურ ხასიათს უფრო ატარებდნენ, ვიდრე ცდას ქვეყნის შემომტკიცებისა. მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ გარკვეულ ხანაში ლევან II დადიანმა მოახერხა ოდიშის საზღვრების გადაწევა რომანმდე, თუმცა ამაში უცვი შევაძეს შემდევ გარემოებათა გამო:

1. ვერც ვახუშტი ბაგრატიონთან და ვერც ამ ხანის სხვა ისტორიუსთან ვერ შევხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ იმერეთ-ოდიშის საზღვარი მდ. რიონზე გაივლიდა;

2. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში ლევან II დადიანის მიერ გაცემული მრავალი წყალობის წიგნი გვხვდება (არქანჯელო ლამბერტის ოდიში ყოფნის დროს ის იყო ამ სამთავროს მმართველი), მაგრამ ჩვენ ვერ შევხვდებით ვერც ერთ საბუთს, რომელიც ლევან II დადიანის ან სხვა რომელიმე დადიანის მიერ არის გამოცემული, სადაც მოხსენიებულია ცხრისწყლის ოღონისავლეთით მდებარე ბუნქერი, გარდა რამდენიმე სოფლისა, რომლებიც უშუალოდ ცხრისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდნენ;

3. ლევან II დადიანი ყველაზე ძლიერი ხელისუფალი იყო დასავლეთ საქართველოში და შეიძლება დაგვეშვა, რომ თავისი ძლიერების ზენიტში მან რიახერხა იმერეთის სამეფოსათვის წაერთმია რიონის დასავლეთით მდებარე ტერიტორია და სწორედ ეს ფაქტი უნდა ჰქონდეს აღნიშნული არქანჯელო ლამბერტის. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს წარმოადგენნ რუსი ელჩების სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ანგარიშები, რომლებიც იმერეთში იყენენ 1651 წ. ეს ის ხანაა, როდესაც ლევან II დადიანი თავისი სიძლიერის მწვერვალზე იმყოფება, მას ტყვედ ჰყავს იმერეთის მეფის მა მამუკა და ტახტის მემკვიდრე ბაგრატი... სად გადის ამ დროს საზღვარი იმერეთსა და ოდიშს შორის? ქუთაისიდან ზაფხულის ნავარი დღის სავალზე. მაშინ როდესაც ქუთაისიდან რიონის ზღვის შესართავიდე, ე. ი. ფოთამდე ორი დღის სავალი ყოფილა¹⁵. ქუთაისიდან ფოთამდე ასზე მეტი კილომეტრია, ე. ი. ამ ქალაქიდან ოდიშის საზღვრებამდე ოცდახუთი კილომეტრი მაინც იქნებოდა, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ქუთაისიდან მდ. ცხრისწყლამდე არის.

ამრიგად, ლევან II დადიანის კველაზე დიდი წარმატების დროსაც საზღვარი ოდიშსა და იმერეთს შორის გადიოდა მდ. ცხრისწყალზე და არა რიონზე, როგორც ეს არქანჯელო ლამბერტის პერია, თუმცა არაა გამორიცხული, რომ რაღაც ტერიტორია ამ მდინარის მეორე ნაპირზეც ჰქონიდათ დადიანებს; ლეხხეშვი და ქვემო სვანეთი რჩებოდა იმერეთის სამეფოში.

1657 წ. ლევან II დადიანი გარდაიცვალა და მთავარი გახდა მასი ძმის წული ლიბარიტი. ამით ისარგებლა ალექსანდრემ — იმერეთის მეფემ: „შემოკრიბნა სრულად სპანი იმერეთანი და წარვიდა ოდიშს შურის-გებად; ამას ვერ წინააღმდეგა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე ოდიშს, მოსწყვეობნა, მო-

¹⁴ Шардени, Путешествие по Закавказию в 1672—1673 гг., 1902, стр. 38.

¹⁵ ვ. პოლივაქ ტოვა, სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ელჩობა იმერეთში, ტც., 1926, გვ. 45, 85.

სტუერნი, ათონი... დასვა ოდიშს დადიანად ვამიყ და თვით იყრა უნაგირას აღმოსავლეთის კერძი და უნაგირას იქითი დასავლეთისა მისცა ვამიყს¹⁶.

ამრიგად, დროებით იმერეთის საზღვარმა ვადაიწია უნაგირამდე. მალე მდგომარეობა შეიცვალა. 1660 წ. გარდაცვალა ალექსანდრე იმერთა მეფე და მისი ძე ბაგრატი ავიდა ტახტზე. მალე მის წინააღმდევ მისი დედინაცვალი დარეჭანი, თეიმურაზ პირველის ასული გამოვიდა და დასავლეთ საქართველში გაუთავებელი. შინაომი დაწყო, რომელიც ფაქტიურად სოლომონ პირველის გამეფებამდე გრძელდებოდა.

ცოტა ნნით უპირატესობა მიიღო ვამიყ დადიანმა. იგი დაუკავშირდა ვახტანგ მეხუთეს, ქართლის მეფეს. მოკავშირებმა იმერეთის სამეფო ფაქტიურად გაიყვეს: „და დაიმზახლენ მეფე ვახტანგ და დადიანი ვამიყ და დაიძნან ბუგის წყლის დასავლეთის კერძონი და აღმოსავლეთის კერძონი მისცა ვახტანგ მეფესა და ბაგრატ მეფე მყოფობდა ციხესა შინა ქუთაისს¹⁷.

ვამიყ დადიანის წარმატება დროებითი აღმოჩნდა. მალე ვახტანგ მეხუთე გამოიდა მის წინააღმდევ, რაღან, ვახტარავითა ცოლისათა ვანუტევა შზახლობა ვახტანგ მეფისა დადიანმან ვამიყ და დაწინდული არჩილისა მისისა ასული მისცა ღოლობერიძეს... ესე შეუძნდა ვახტანგ მეფესა... ვარდამოვლო ვახტანგ მეფემან მთა ლიხისა მიერთვენ სრულად ზემოურნი იმერნი მას დალაშის შვილი ხოსია თავი ლეჩხუმისა¹⁸. ვამიყ დადიანმა ვერ გაბედა შებრძოლება და ოდიშში გაიცეა, შემდევ კი სვანეთში, სადაც ის „შეჩენითა ხოსია ლაშებიშეილისა მოკლულ იქნა. ვახტანგ მეხუთემ ოდიშის მთავრობა მისცა ლევან II დადიანის ძმის იესეს შვილს, შემადავლეს, რომელმაც ბიძის საპატივ-ცემულოდ ლევანი დაირქვა.

იმერეთში შინაომი გრძელდება, რაშიც აქტიურ მონაშიოლეობას ლებულობდნენ მეფე არჩილი, ბაგრატი და თეიმურაზ პირველის ქალიშვილი — დარეჯანი. 1668 წ. დარეჯანი დაიღუპა ამ ბრძოლაში. ახლა ბაგრატ მეფის მეტოქედ არჩილი გამოდიოდა.

ამ ხანებში დასავლეთ საქართველოს საპატივზე ვამოდის ახალი გვარეულობა ჩიქოვანებისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მომდევნო ხანებში.

XVII ს-ის 80-იან წლებში ჩიქოვანებმა მიაღწიეს დადიანობას და ოდიშში ვამთავრდნენ. ამავე ხანაში საბოლოოდ ვანიშტკიცეს თავიანთი უფლებები ლეჩხუმში რდიშის მთავრებმა.

XVIII ს-ის I ხანევარ დასავლეთ საქართველოში სრული ანარქიის ხანა, ძნელ დასადგენია თუ რას ფლობდნენ იმერეთის მეფე, დადიანი და გურიელი. საკუთრივ იმერეთისა და ოდიშს შორის საზღვრად მდ. ცხენისწყალი ითვლებოდა. მაგრამ სინამდვილეში საზღვარი ხშირად იცვლებოდა. ასე მაგ., 1730—1742 წწ. გაცემული ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ იმერეთის მეფის უფლებები ცხენისწყლის დასავლეთით კრცელდებოდა და საქილაო მას ეპყრა: „ტყვიირის მონასტერი თერთმეტი მოსახლე კაცით მეფემ ალექსანდრემ თავისი მეუღლის დადიანის ქალის ნიშანშიდ შესწირა: ასე, რომ საკილაოს აზნაურის-შვილებს უველავ მისი ნიშანი მართებს“¹⁹.

¹⁶ ვახტანგ ბაგრატიონი, საქართველოს..., გვ. 305—306.

¹⁷ იქ 3 ვ. გვ. 308.

¹⁸ ვახტანგ ბაგრატიონი, გვ. 306.

¹⁹ ს. კაკაბაძე, ლას. საქ..., I, გვ. 152.

შომდევნო ხანაში ოდიშის საზღვარმა ცხენისწყლის აღმოსაელეთით გადამოიწვია
დმოინაცელა. კაცი დადიანის მიერ 1766 წ. გაცემული საბუთის თანახმად²⁰;
„სანავარდო საქილაოშიდ“, მის სამფლობელოში შედის²¹.

1772 წ. იმერეთში გიულდენშტედტის მოგზაურობის დროს სანავარდი
იმერეთის სამეფოს საზღვრებში შემოდის²².

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ საჯავახო თავდაპირველიდ იმერეთის შე-
ძალგნებლობაში შედიოდა. XVI საუკ. დასასრულისამოის იგი გურიელების
ხელში გადადის: თუ ვის ეკუთვნოდა საჯავახო XVII საუკუნისა და XVIII ს.
I ნახ. წყაროებში არ ჩანს. ეს კი, რომ XVIII ს. II ნახევარში საჯავახო იმე-
რეთის ტერიტორიაა. ამას კარგად მოწმობს გიულდენშტედტი²³. საჯავახო იმე-
რეთის სამეფოს გაუქმებამდე მას შემადგენლობაში შედიოდა. ამის დამადას-
ტურებლად მოვიყენოთ ორ საბუთს:

„ეს წიგნი მოგაროვით.. თქვენ ერისთავს ქიხოსროს ჩუენ ერთობით სა-
ჯაოხლებმა ჩვენი ხელმწიფის მეფე სოლომონის ბრძანებით“²⁴.

მეორე საბუთში, რომელიც 1806 წ. არის შედგენილი, სოლომონ II სა-
ჯავახოს „გამოჩინებულის ხატის იღვილზედ“ ყმის შეწირულობის ამტკი-
ცების²⁵.

ფიზიკურ-გეოგრაფიულად იმერეთ-ამერეთის გამყოფი ლიხის ქედია, მაგ-
რამ პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრად, ბუნებრივი ზღუდეები ხშირად არ
იყვნენ განსაზღვრობლები.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, იმერეთისა და ქართლის სამეფოს სა-
ზღვარი შემდეგნაირად გამოიყურებოდა: წიფა, გოგოლათი, ზვარე, ჩდილი, ნუ-
ნისი, გდეისი, მებოძირი და ხეფინის ხევი მთლიანად, ქართლისაა. ე. ი. ჩხერი-
მელა-ძირულის ზემო დინებანი. „ფონას გასდის ჩხერიმელის მდინარე და
მიდის დასავლეთს — სამხრეთ შუა მებოძირის ზეითმდე. მას ქვეით დაბის
ქვაბამდე არს ქართლისა“. შემდევ — „სურამის დასავლით ლიხის მთას გვადის-
ხეფინის-ხევის წყალი და მიერთვის ძირულს აღმოსავლეთიდამ.. არს ვერტ-
ყვილმდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდან ნაბაბურამდე ხეფინის-ხე-
ვსა და მას ზეით არს ულუმბის მონასტრისა, არამედ აწ მიხუმლი ქუს იმერთა-
გან... ვერტყვილის მოერთვის სამხრიდამ ვერტყვილასაც ხევა, ხოლო ვერტ-
ყვილას და ამაშუეც შუა არს მცირე მთა მისრული კოლეურის მთამდე, და
ეს არს საზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი²⁶. მაშასადამე, ქართლის სამე-
ფოს, ვახუშტის მიხედვით, ლიხის ქედის დასავლეთით უკავია სოფლები: ფონა,
ნადაბური, წაქვა, ხევის-ჭვარი, გრიგალათი, ციქუიური, მლაშე, ვერტყვილა,
ხუნევი, გესამნია, ბექინევი (ეს სოფლები ხეფინის-ხევისაა), წიფა, გოგალათი,
ზღვარე, ჩდილი, ნუნისი, გდეისი, მებოძირი²⁷.

ვახუშტის რეკების მიხედვით ქართლ-იმერეთის საზღვარი მდ. მდ. ძირუ-
ლასა და დუმელას შორის გადის. მათ მიხედვით იმერეთის კუთვნილი მოსა-

²⁰ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, თბ., 1921,
გვ. 31.

²¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 159.

²² ი ქ ვ ვ, გვ. 159, 305, 309.

²³ სცა, ფ. 1448, № 2078.

²⁴ სცა, ფ. 1448, № 888.

²⁵ ვ ა ხ უ შ ტ ა ლ წ ე რ ა. სამეფოს საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 82.

²⁶ ი ქ ვ ვ, გვ. 82, 204.



ზოვრე სოფლებია: ვახანი, ქვაბი, ამაშუკეთი, ქედური, კოლბეური, გაფარაცუ-
ბანი და თხობინა. ქართლისაა — ნუნისი, ჩრდილი, მებოძირი, ვერტუვილქალა,
ვერტუვილა, ციცქიური, ნადაბური, ლიჩი და ღოღორა²⁷.

ბერი ეგნატაშვილის მიხედვით (რომელიც, თითქოს XVI ს. ამსახველ სუ-
რათს იძლევა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი თავის დროინდელ ვითარე-
ბას გადმოგვცემს), იმერეთის საზღვრები ასე გამოიყურება — დასავლეთით
ქართლს ეპყრა „წედისის მთის გადმომმართი, და კუდარო, და ჭალის მთას
გარდმომმართი, ერწო, და მშვილდაურსა და პერანგს გარდმომმართი,
გორასძირს-აქათი, ლიჩი, ღოღორა, ქეფისქევი, და ჩხერის ციხე, და
მას-ზემოთი ისრე გაყოლით მთის-აქათი... ხოლო მპყრობელსა იმე-
რეთისასა: წედისის მთის-აქათი, დიგორის მთას-აქათი. ლენტეხი და თაკუერი,
რომელსა აწ ჰქვან ლეჩხუმი, — ცხენისწყალსა ჩაყოლით გამომმართი, და სა-
ჯავახოს-აქათი, გაყოლით ფერსათის მთას-აქათი, ვიღრე ქართლა: საზღვრა-
მდის²⁸.

როგორც ეხედავთ, ორი თანადროული ავტორი ერთმანეთს ემთხვევა და
უნდა ვიგულისმოთ, რომ ბერი ამ შემთხვევაში თავის დროინდელ ვითარებას
გადმოგვცემს, რომელიც გადააქვს XVI საუკუნეში. ამ ავტორთა შორის გან-
სხვავება ისაა, რომ ბერს ქართლის საზღვარი ჩხერამდე ჩააქვს და ჩხერს ქართ-
ლში ცულისხმობს და ამით თითქოს სცილდებიან ერთმანეთს ვახუშტი და ბე-
რი, მაგრამ ვახუშტის ჩხერიშელს ალწერისას ნათქვამი აქვს, რომ „ჩხერს
ზეით ას გზა ქართლს მიმავალი, მოსაყიდელი სივიწროვისათვის წილდებული,
ვახანამდის“²⁹. ჩანს, ჩხერი იმერეთის ის პუნქტი იყო, სადაც იწყებოდა ქართ-
ლის გზა, ასევე სახელდებული, და, შესაძლებელია, ბერის უზუსტობა ამან გა-
მოიწვია; თუმცა, აქ არსებობს მეორე შესაძლებლობაც — ჩხერი სააბაშიო
ციხეა და ბერის დროს თუკი ეს ციხე იმ შტოს ეკავა აბაშიძეებისას, რომელ-
ნიც პოლიტიკურად ქართლის სამეფოში შედიოდნენ XVIII ს. დასაწყისიდან³⁰,
მაშინ ბერი სწორედ ამ ვითარებას გადმოგვცემს; რომ შესაძლებელია ასეთი
სიტუაციიდან ამოსულიყო ბერი, ამის საბუთად გამოდგება ჩხერის ციხის სხვა-
დასხვა შტოის აბაშიძეების ხელიდან ხელში გადასკლა XVII—XVIII სს. მან-
ძილზე. ასე მაგალითად, ჩხერის — ციხე ნასისხლად მიართვა გორგი აბაშიძემ
ჰატრა აბაშიძეს (1658—1676 წწ.)³¹.

1762 წ. ჩხერის ციხე ნიკოლოზ აბაშიძემ მისყიდა სოლომონ პირველს.
საბუთში ვკითხულობთ: „ჩხერის ციხე მოგვიდე... მიწა წყლით; მთით და ბა-
რით და სამძღვარი ამათი ბრუისის აქათ ჩხერის შამომავალი, ახლა მეორე სა-
მძღვარი ვახანისაკენ — სამძღვრის წყლის აქეთ კიდევ ჩხერის შამომავალი“³².
როგორც ჩანს, ჩხერმა XVII საუკ. 70-იანი წლებიდან ვიღრე XVIII საუკუნის
50-იან წლებამდე სამჯერ შეიცვალა მფლობელობა და იმასთან დაკავშირებით
შეიცვალა ქართლ-იმერეთის პოლიტიკური საზღვარი. ბერის მიერ ჩხერის ქარ-

27 ვახუშტის ტრასი, რუკა №№ 6, 7, 18; სცა, ძველი საბუთების განკუთხილება.

28 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტიმში, ქართლის ცხოვრება II, თბილისი, 1959, გვ. 349.

29 ე ა ხ უ შ ტ ი, აწწერა..., გვ. 155.

30 საქართველოს ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ შედგენილი, მეორე ვამოცემა ზ. ჰიბინაშიძისაგან, თბილისი, 1913, გვ. 336—340.

31 ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი ს. 535.

32 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, გვ. 16—17.

თლში შემოტანა ერთ-ერთ ასეთ მომენტს ასახავს აღბათ, საინტერესო ისიცაა,
რომ ნიკოლოზ აბაშიძე ჩხერის გამყიდველია იმერელია და მის მიერ გაცემული არის
საბუთში ჩხერის აღმოსავლეთ საზღვრად, ვახანისაკენ, „სამძღვრის წყალია“
დასახელებული. ეს „სამძღვრის წყალი“ უნდა იყოს ბეოლის ხევი. ჩანს ასეთი
ვითარება კირგა ხნის დამკიდრებულია და მაშასადამე, აქ საზღვარი ვახანთან
უნდა გაევლოს. მაგრამ 1804 წ. ერთი დოკუმენტით ჩანს, რომ ვახანიც თით-
ქოს იმერეთისაა: ეს დოკუმენტია სათხოვარი მუხლები სოლომონ მეფისა რუ-
სეთის იმპერატორისადმი, სადაც XIII მუხლში ვკითხულობთ: „... გზა საქარ-
თველისა საზღვრიდგან ვახანზე მდებარე ქუთაისადმდე... გავაშენდინოთ და
გავაეთებინოთ საურმე გზად და ვიქონით ყოველთვის იგი სრულისა წარ-
მართოთავთ... გამოოქმა „საქართველოს საზღვრიდგან ვახანზე მდებარე“ ჩვე-
ნის აზრით, ნიშავს, რომ ვახანს აღმოსავლეთითა საზღვრის ხაზი.

იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის 1737 წ. რუკის მიხედვით ქართლ-იმე-
რეთის საზღვარი ლიხის ქედს გასდევს. ამ რუკით მდ. ძორულის სათავეც იმე-
რეთშია. იმერეთშია შემდეგი სოფლები: კოლბოური, ღოდორა, ლიჩი, გესამა-
ნია, უბისა, ჩხერი, ნუნისი და ვახანი. შემდეგ საზღვარი მკვეთრად უხვევს და-
სავლეთისაკენ და სამხრეთით ხაზი ფერსთის ქედს გასდევს³³.

1788—1810 წწ. შორის დაწერილი ბარათით, იმერეთის მეფე სოლომონ
II თავისთან იბარებს ქაიხოსრო აბაშიძეს, გოგია ალექსანდეს და „ვახანს ვინც
მაგისთანა მარგებელი კაცი გეგულებოდესა“³⁴. ე. ი. ვახანი ამ დროს იმერეთი-
საა. სხვა საბუთით კი ვახანი 1804 წ. ქართლის აბაშიძეთა წარმომადგენლისა
ჩანს³⁵.

XVIII ს. 70-იანი წლების მოგზაურის გიულდენშტედტის მიხედვით
ხეფინის ხევი იმერული მხარეა, „ის დასახლებულია იმერლებით და უკირავს
დუმალისა და ძირულის ნაწილი“³⁶ და სოფლები — ნადაბური, ციცქაური,
გრიგოლათი, ხევიჯვარი, წაქვა, გეთამანია, ხუნევი, ვერტყვალა და ვერტყვი-
ლიგალა. მაშასადამე, მის მიხედვით იმერეთის (პოლიტიკურად) კუთვნილება
გამოდის. ასევე იმერეთისა ჩხერიმელას ხეობაში მდებარე სოფლები, ვიზრე
ვახანამდე. მისი და ზემოთ მდებარე სოფლების მფლობელია აბაშიძე, რო-
მელიც ქართლის მეფეს ემორჩილება, თუმცა მხარე იმერეთისაა³⁷.

პოლიტიკურად იმერეთშივე აქვს გიულდენშტედტის „ზეტანილი „ზემო
ქვეყანა“ და მისი სოფლები. ჩვენ აქ უკეთა მათგანს აღარ ჩამოვთვლით, ეს სა-
კირო ამერად არა, დავასახელებთ იმ სოფლებს, რომლებიც ბერისა და ვა-
ხუშტის მიხედვით თითქოს ქართლში იგულისხმებიან, ე. ი. სასაზღვრო სოფ-
ლები როგორა აქვს გიულდენშტედტის, მას გაუსვამთ ხაზს: მანდაეთი, ჩხი-
ლაური (ჩხირული), მეჩხეთური, უსახელო, ლიჩი, ღოდორა, გოლისი, მოძე
და ჭალაურთა — იმერეთისა. აქვე გიულდენშტედტი მიუთითებს, რომ ზემო
ქვეყნის სოფლების „უმეტესობა ეკუთვნის თავად წერეთელს დანარჩენები

33 საქ. სახ. შეზ. ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, 1953., ვე. 40.

34 ამ რუკის ფოტოპირი ინახება ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის გან-
ყოფილებაში.

35 ცსსა. ფ. 1448, საბ. № 851.

36 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. III, თბ. 1955, გვ. 370.

37 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველში, 1962, ტ. I, გვ. 303.

38 იქ ვ. ვ. გვ. 309.

4. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV.

კი — მეფესა და მეფის-ქეს გიორგისა და არჩილს³⁹. მაშასადამე, უს მეფე-ლები XVIII ს. 70-იან წლებში მფლობელობითაც და პოლიტიკურადაც მე-რეთის სამეფოს შემადგენლობაშია.

გიულდენშტედტით, ზემო ქვეყანა ყვირილის ზემო დინებაა, ვიდრე ლიხის ჰედამდე, „იგი ორი ყველაზე დიდი ნაწილი აღმებიდან (იგულისხმება კავკა-სიონის მთავარი ქედი. ეტ.) სამხრეთისაკენ გადამიტული გადამკეთი ქედის იმერული კლოთბისა. აღმოსავლეთი, ანუ ქირთლის გასწვრივ და ქედის თხემზე მდებარე ნაწილი ამ დიდ მხარისა იწოდება სააბაშიოდ“⁴⁰.

1661 წ. ერთი საბუთით ზემო ქვეყანა უნდა გავიგოთ ბუჯაბწყლის ზევით, ვიდრე ლიხის მთამდე. ღოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. მეფეთ მეფე შაპანავაზ უზეშთაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გაბრძანებთ, ერთობილნო ბუჯაბ-წყალს ზედათნო, ხრეითითანათ ლიხის მთამდი, მერმე თქუენა სარდრობა ზაალ წერეთლისათვის გუიბოძებია“⁴¹. იმის შემდეგ, 1680 წ. ამ მხარის სარდლიდ გიორგი იმერთა მეფე ამტკიცებს ქაიხოსრო წერეთლებს⁴². ე. ი. XVII ს. ზემო ქვეყანა ერთი მხარეა და ერთი სასარდლო ლიხის ქედამდე. ზემო ქვეყანაში შედიოდა ლიხი და ლოდორა 1691 წელსაც⁴³ და, მაშასადამე, ისინი იმერეთის კუთნილებანი არიან პოლიტიკურადაც.

ასევე ცვალებადია ვერტყვილისა და ვერტყვილის ჭალის ბელიც. 1628 წ. ღოკუმენტის მიხედვით მათზე ხელი აქვთ იმერეთის მეფეებს⁴⁴.

1766 წ. შედგენილ ა/ქ რუკის მიხედვით ქართლ-იმერეთის საზღვარი დუ-მელა-ძირულის წყალგამყოფ ქედს მიჰყება, სამხრეთ მონაკვეთზე ეს ხაზი შეკვეთიად უხევეს აღმოსავლეთისაკენ, ისე, რომ ვახანს იმერეთში მოიტოვებს. სამხრეთის საზღვარი ისევ ფერსათის მთებს მიჰყება⁴⁵. სხვა რუსული რუკით, რომელიც 1784 წ. შედგენილია თბილისში ბურნაშვილის მიერ, საზღვრის ხაზი ასევეა, ოღონდ ვახანი ქართლისაა⁴⁶.

გიულდენშტედტის რუკით საზღვარი გასდევს ლიხის ქედს და ვახანიც იმერეთისაა⁴⁷.

1783 წ. შედგენილი რუკით, რომელსაც საკმაოდ სოლიდური დასათაურება აქვა — „Генеральная карта присоединенных к Российской империи Грузинских царств Кахетии и Картлии и царства Имеретии с его княжествами Гурии и Мингрелии с показанием их границ“⁴⁸ — და რომლის ავტორი ბურნაშვილი უნდა იყოს, იმერეთის საზღვრები ასე გამოიყურება: ჩრდილოეთით — გაპყვება კავკასიონს, სვანეთს საზღვარ გარეთ მოიტოვებს; დასავლეთით — მიუყვება ცხენისწყლის ხეობას. პუნქტი ლეჩეშვი (ეს თავისთავად საინტერესოა) ჩჩება საზღვრის გარეთ. 44-ე პარალელის შემდეგ აზღვარი გადადის ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს და ჰკვეთავს რიონს. სამხრეთით — გასდევს სახავახოს ქედს, შემდეგ ფერსათის

39 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962, ტ. I, გვ. 301.

40 იქ 3 გ, გვ. 299.

41 ისტ. ღოკუმენტი იმერ. სამ. და გურია-ოლიშის სამთავროებისა, წ. I, გვ. 33.

42 იქ 3 გ, გვ. 27—28.

43 ხელნაშ. ინსტ. ფ. სდ—415.

44 იქ 3 გ, ფ. სდ — 14680.

45 ცГВИА, ფ. ВУА, ს. № 20473.

46 იქ 3 გ, ღოკ. № 20477.

47 იქ 3 გ, ღოკ. № 20509.

48 იქ 3 გ, ღოკ. № 20476.

აქ საციროა განვიხილოთ კიდევ ორი რუკა ბურნაშვილი 1783 წ. ამ რუკების ძირითადი დანიშნულება ყოფილა გზების ჩვენება, სად რამდენი ჯარის დაყენება იქნებოდა შესაძლებელი და ლაშქრობისას რომელი გადასასვლელები უნდა დაეჭირათ. ამ რუკებით (რომლებიც ერთი მეორის სრული იდენტურია, ოღონდ ერთი შევია და მეორე გადათეთრებული) იმერეთის აღმოსავლეთი საზღვარი ასე გამოიყურება (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ): დაუყვება მდ. ბერლის წყალს (რომ ეს ბერლის წყალია რუკას არ აწერია. ჩვენ დავადგინეთ. ავტ.), ეს არის ალბათ ზემოთ მოტანილ ერთ საბუთში მოხსენებული „სამდღვრის წყალი“. შემდეგ აყვება მდ. ჩხერიმელის და ქედს, რომელიც ჰყოფს ძირულასა და სურამულა-ქერათხევს ერთმანეთისაგან (ლიხის ქედი). ეს ხაზი ქართლში მოიქცევს: ვახანს, ჩრდილს, ნებოძირს და წიფას (სხვა პუნქტები არაა დატანილი). ამ რუკებზე იმერეთის აღმოსავლეთის საზღვარი მეორეცა დატანილი, რომელიც მთლიანად ლიხის ქედს გაუყვება ისე, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები იმერეთში ექცევა. პირობითი ნიშნებით ჩანს, რომ პირველი ხაზი ძირითადი. იგი იმ ნიშნითა დატანილი როგორც იმერეთ-თურქეთის საზღვარი (ტირე — სამი წერტილი; მეორე ხაზი წერტილებით). მეორე ხაზს აწერია „Временная Имеретинская Граница“⁴⁹. ჩანს ეს ტერიტორია სადაც ყოფილა ქართლს და იმერეთს შორის.

ყველა აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ პოლიტიკური საზღვარი ქართლი-იმერეთს შორის მყარი და უცვლელი არ ყოფილა. ის ძირითადად დამოკიდებული იყო სათავიდო მფლობელობაზე. აბაშიძე ეყმო ქართლის მეფეს, სააბაშიო გაიყო და მისი ნაწილი ქართლის საგამგებლოში შევიდა. ხშირად ერთი სოფლის ან ციხის მფლობელის გამოცვლაც, მის პოლიტიკურად სხვის კუთხიებას ნიშნავს. ამის კარგი ილუსტრაციაა აგრეთვე სხვა დოკუმენტური მასალებიც, 1664—1694 წწ. შორის შედგენილი საბუთების მიხედვით ჩანს, რომ ლიხის ქედის ერთი ნაწილი წერტელ-ამირების სადაც სამფლობელოა. პაპუნა წერტელი და დავითი ამირებიძე ერთმანეთს დაეგებოდნენ მთას. წერტელი ამბობდა: „ჯვარის აქეთ“ ჩემია (ჯვარი ერქვა სოფელს ქერათხევში გადასასვლელზე). ამირებიძი კი — „ძირულის იქეთ“ ულუმბის ღვთისმშობლისათ. დავის გადაწყვეტილებით ჯვარს აქეთ“ ძირულამდე მოქერბილი ღალის ნახევარი ულუმბის ღვთისმშობელს მიეკუთვნა. ე. ი. ლიხის ქედის ეს ნაწილი საერთო მფლობელობაში დარჩა ქართლელ და იმერელ ფეოდალთა და, პაშა-სადამე სამეფოთა შორის⁵⁰. ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრის ლიხს დასავლეთით გადაწევა, საბოლოოდ დამყიდვებული XVIII ს-ის განმავლობაში ჩანს, და მაშასადამე, ამ ღრივის საზღვარი რუკაზე ისე უნდა ისახოს, როგორც ეს ბერლა და ვახუშტის აქვთ. ოღონდ ბერისაგან განსხვავებით საზღვარი ბერლის ხევზე გაივლის.

საინტერესოა, რომ ეს საზღვარი ციხე-კოშკებით არ არის ჩაკეტილი. ჩანს, აქ საზღვრის ცელილება ქართლ-იმერეთს შორის მტკიცნეული მაინც და მაინც არ ყოფილა და ეს ცელილება ძირითადად ფეოდალთა ხელიდან ხელში აღგილ-მამულთა გადასვლით (ყიდვა-გაყიდვა, წყალობა და ა. შ.) გამოიხატებო-

⁴⁹ ЦГВИА, ფ. ВЧА, ღვე. №№ 20504 და 20475.

⁵⁰ ხელნაწ. ინსტიტუტი, ფონდი Hd — 2489. ჩანს საბუთი იმერეთშია შედგენილი.



და. აქ თუა საღმე ციხე ან კოშკი, ძირითადად სალეკო ციხე-კოშკებია. თუ არ
მივიღებთ მხედველობაში აღრეფეოდალურ გახანის ციხესა და გვიაზფეოდა-
ლური ხანის დასაშეყისში აგვიტულ ხარაგაულისა და ჩხერის ციხეებს.

საბოლოოდ დავისკვნათ: საზღვარი კავკასიონის ქედიდან გაიღლის წელისის
მთას, კუდაროს, ყვირილის ხეობაში გადმოვა და ერწოს ქართლში დატოვებს.
შემდეგ ჭალას იმერეთში დატოვებს, გადავა ძირულის ხეობაში, გაივლის პერა-
ნგას მთაზე, გორაძირზე, შემდეგ ძირულისა და დუმალას წყალგამყოფზე და
ჩავა ხუნევის პირდაპირ. შემდეგ ძირულის დაყოლებით ვერტყვილამდე, შემ-
დეგ მარცხენა მხრიდან აჟყვება ძირულას მარცხენა ნაპირზე ისე, რომ ხუნევ-
სა და ბუნევეს ქართლში დატოვებს: შემდეგ პატარა ქედს აუყვება სამხრეთი-
საკენ და ბოლოს, ბეოლისხევის აყოლებით სათავეებამდე, ფერსათის მოება-
მდე.

რაც შეეხება სამხრეთ საზღვარს, აქ ვახუშტი, ბერი და სხვა ზემოთ მო-
ტანილი წერილობითი თუ კარტოგრაფიული დოკუმენტები ერთსულოვნად
მიუთითებენ ფერსათის მთებს, რაც ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვები-
თაც დასტურდება. ოღონდ ესაა, ამ საზღვარს, პოლიტიკური სიტუაციიდან
გამოსული იმერეთის სამეფო ჩანს მეტ ყურადღებას აქცევს. ასე, მაგალითად,
თითქმის ყველა ხეობაში, რომელიც კი ღადოს ანუ ფერსათის მთებიდან ჩა-
მოედინება იმერეთისაკენ, გვიანდეოდალური ციხე დგას. ასეთებია: ვანში;
ლეღვნის ზევით, სახულართა; ფარცხნალში; ღუღუმექეთში; ხონში; კვალით-
ში; სვირში, ბალდათში და ა. შ.

ასეთი ქსელი ციხეებისა, ყველა გასასვლელის ჩაჟრტვა, აუცილებელი და
საჭირო იყო სამცხის ოსმალთა მიერ მიტაცების შემდეგ, თუმცა, ესეც არ
აღიმოჩნდა საკმარისი და ოსმალ-თურქები თუ ახალციხეში დაბუდებული ლეგე-
ბი ხშირად დაუპატიჟებელი და დაპატიჟებული სტუმრები იყვნენ იმერეთისა.

თ. ბირაძი

ვახუშტი ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის „საქართველოს ცხოვრება“, სა-
დაც გაღმოცემულია ჩვენი ქვეყნის ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს.
II ნახევრამდე. მისი აზრით ისტორია ანუ „მატიანე“ იყოფა: „ადგილის აღწე-
რად, ნათესავმეტყველებად, წლისმრიცხველობად, და მოქმედების აღწერად“¹.
შესაბამისად „საქართველოს ცხოვრებაში“ ერთ ნაწილი საქართველოს აღწე-
რას აქვს დათმობილი. აქ ქართლის, კახეთის, სამცხე-საათაბაგოს გვერდით
მოცემულია „აღწერა ეკრისის ქვეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“,
სადაც ერთ თავად გამოყოფილია ოდიში².

ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა პირველი ე. წ. „ყაზანურ“ ატლასში, რო-
მელიც 1735 წელსა შედგენილი, ოდიში მხოლოდ ერთ რუკაზეა გამოხატული³.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა მეორე ატლასი 1737—43 წლებშია შედგე-
ნილი. აქ ოდიში რაც რუკაზეა გამოხატული. ყველაზე დაწვრილებით № 20 და
№ 21 რუკებზე⁴.

1 ვახუშტი უ მ ტ ი, აღწერა სამცხოსა საქართველოსა, თ. ლომოცრისა და ნ. ბერძენიშვილის
რედაციით, თბ., 1941, გვ. 3.

2 ვახუშტი ბაგრატიონის ირკვლივ ცნობები ჩვენ ამოღებული გვაძვს შემდეგი ნაშრომე-
ბილან: ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ბიოგრაფიასათვის, ეკუთვნის ნ. ბერ-
ძენიშვილის კალამს; ივ. ჭავახი შვერილი, ბატონიშვილი ვახუშტი, ქველი ქრისტული საის-
ტორით შეცრულა, თბ., 1926; ალ. ჭავახი შვერილი ვახუშტი ბაგრატიონი ვამო-
ნენილი ქართველი გოგრაფი, კრებული. ვახუშტი, როგორც ჰუგრებული, ვახუშტის სახელობის
გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, 1947, 1; ლ. ვარუა შვერილი, ვახუშტი ბაგრატიონის
კრეტოგრაფიული ნაშრომები, წელი იმის 1948, VIII; ლ. ვარუა შვერილი, საქართველოს გეოგრა-
ფიულ გესწველის ფურმადებელი ვახუშტი ბაგრატიონი (1696—1727 წ.), თბ., 1956. ლ. მა-
რუაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ეგი და მისი დამსახურებელი, თბ., 1956.

3 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი — II
2079. ატლასის რუკათა აღწერილობა მოცემულია: ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს
საისტორიო და საეთნოგრაფია საზოგადოების ყოფილ მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია — H),
ტ. V, თბ., 1949, გვ. 48—49; ლ. ვარუა შვერილი, ვახუშტი ბაგრატიონი..., გვ. 301—306;
ლ. ვარუა შვერილი, საქართველოს გოგრაფიული..., გვ. 73—82. ლ. მარუაშვილი,
ვახუშტი ბაგრატიონი..., გვ. 95—100.

4 ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა მეორე ატლასი ინახება საქართველოს სსრ ცესტალურ
ისტორიულ არქივში. იბ. კოლექცია 1446, ხელნაწერი № 104. მე რუკათა ატლასის შესახებ

ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა მონაცემებს მის ოდიშის აღწერილობასთან ერთად განვიხილავთ. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მის რუკებზე შავი ზღვის სანაპირო ხაზი არა ზუსტად გამოხაზული. სანაპირო ხაზი მათზე კლავნილია, მდინარეთა მეტი ნაწილი ხმელეთში ღრმად შექრილ ზღვის ყურეს შეერთვის. სინამდვილეში შავი ზღვის ნაპირი უმნიშვნელო კლავნილობით გამოიჩინება.

ოდიშის აღწერილობას ვახუშტი ამ ქვეყნის სახელშოდებათა ეტიმოლოგიით იწყებს: „ხოლო ეს ოდიში ისახელა ორითა სახელითა: პირველად მე-ეგრენი, რამეთუ უგრის აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი... ხოლო ოდიში — განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძნეთა, იტყოდიან: „ოდეში იყომე ქვეყანა იგი ჩვენი“.

ოდიშის ვახუშტისეული ეტიმოლოგია ხელოვნურია. იგი სავსებით სწორია, როდესაც აღნიშნავს, რომ ამ პოლიტიკურ ერთეულს მეორე სახელი აქვს და იგი ეგრი ფუძილან მომდინარეობს. მაგრამ ეს მეორე სახელი არის არა „მეეგრელი“, არამედ სამეგრელო.

ქვეყნის სახელის ახსნის შემდეგ ვახუშტი იძლევა ოდიშის საზღვრებს: „ხოლო საზღვარი ოდიშისა არ ცხენის-წყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამჯრით და კვალად თაკუერიდამევ წარსული კავკასით ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშისა და სვანეთს შორისი, სამჯრით მდინარე როონი, გურია-ოდიშს შორისი, და კვალად ეგრისის მდინარის შესართავს დასავლეთი შევი ზღვა; დასავლით ზღვა შავივე და კვალად ანაკონდის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამჯრით ზღვა-მდე“⁷.

ვახუშტი ბაგრატიონი ოდიშში კრცელ ტერიტორიას აქცევს ცხენისწყალიდან ანაკონდიამდე. ამავე დროის მის შემაღებულობაში არ შეყავს რიონისპირეთი ცხენისწყალსა და ტეხურს შორის. ასევე ეს მოცემული მის რუკებზეც ვახუშტი ბაგრატიონს ეს ტერიტორია იძერეთში შეაქვს.

ოდიშს ვახუშტი XV ს. II ნახევრის საზღვრებში გვაძლევს, როდესაც ერთიანი საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად. მისი ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ უფრო ადრე ოდიშის აღმოსავლეთი საზღვარი უნაგირის ქედამდე აღწევდა. ვახუშტი ბაგრატიონი იძლევა XVII ს. I ნახევრის იღიშის საზღვრებაც, რომელიც ამ დროს ცხენისწყლიდან მდ. კელასურამდე აღწევდა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები ოდიშის საზღვრების ცვალებადობის შესხებ ჩერე სწორად მიგვაჩნია.

დასადგენია ოდიშის საზღვრები ვახუშტი ბაგრატიონის დროს. იგი წერს: „ხოლო ამ ეგრისის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა, და მას ზეით, სამჯრის კერძო დაღინასა“⁸.

აგრეთვე იძლეთ: ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწილი, პირველი, ღ. ბატრაძის რედაქციით. წინასიტყვანბა მეორე (ბროსესი) ტფ., 1885, გვ. XIII—XVII. ღლ. ვახუშტი ვახუშტი ბაგრატიონი..., გვ. 18—23. ღ. ვარუაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი..., გვ. 313. ღ. ვარუაშვილი, საქართველოს კეოგრაფიული..., გვ. 82—83.

5 ღ. ვარუაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონის..., გვ. 318.

6 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 165.

7 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 168.

8 თ. ბერძენი, ოლიშე პოლიტიკური გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967.

10 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 170.



XVII ს. დასასრულს აფხაზეთის მთავარმა სარეკ შერვაშიძემ ხელში ჩაიგენერირებული დო ოდიშის სამთავროს დასავლეთი ნაწილი ენგურამდე. მისი სიკვდილის შემდეგ, მისი მემკვიდრეობა ზეგნა შერვაშიძის შვილებმა გაინაშილეს. ერთ მათგანს ყვაპუს შეხვდა ტერიტორია მდინარეების ღალიძგასა და ენგურს შორის. ამ მხარეს შემდგომში მისი შვილის მურზაყანის სახელიდან სამურზაყანო ეწოდა¹⁰.

ენგურის დასავლეთით სამფლობელოს დაკარგვას ოდიშის მთავრები არ შერიგებიან, ხოლო სამურზაყანოს თავის ქვეშევრდომად მიიჩნევდნენ. აქ განსხვავებული ვითარება იყო, ვიდრე აფხაზეთის მთავართა მიერ დაპყრიბილ ოდიშის სხევა ნაწილში: აქ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა უცვლელი დარჩია და არც მაპარადიანობას მოუკიდა ფეხი. ყოველივე ეს ოდიშის გავლენის შედეგი იყო. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა იმის შესახებ, რომ მის ღროს ეგრძისწყალის (დახსლ, მდ. ღალიძგის) სამხრეთი ტერიტორია დადიანების ხელშია, XVII ს. 40-იანი წლების სინამდვილეს უნდა გამოხატავდეს¹¹.

ვახუშტი ბაგრატიონი გვიჩერებს ლიტერატურული საზღვრების ცვალებადობას, ამიტომ უნდა ჩაითვალოს ამ ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის პირველ მკვლევრად.

ოდიშის ღრმულის ვახუშტი ბაგრატიონი ცხენისწყლის ხეობით იწყებს: „და ცხენის-წყლის დასავლით არს მუნეკ ბანდა და ციხე კეთილნაშენი.

ბანდას ზეთ და ცხენის-წყლის დასავლით, და მისი მშევრეტი, მაღალს აღგილხედ, არს ჰყონდიდი, ეკლესია გუნდათიანი, დიდშენი, მარტვირისა. ესე აღაშენა მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და შეამყო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფულული არის მეფე ბაგრატ. ამანვე დასვა მუნ ეპისკოპოზი, და აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენის-წყლამდე“¹².

ჰყონდიდის მონასტრის მდებარეობა ვახუშტი ბაგრატიონის ისე ზუსტად აქვს ღრმული, რომ საგულისხმოა, მას ეს საყდარი დათვალიერებული აქვს. ჰყონდიდის საეპისკოპოსო გარდა სახელვანი გეოგრაფი ღალიში კიდევ ხუთ საეპისკოპოსო ცენტრს ჩამოთვლის: ცაიში, წალენჯიხა, ბედია, მოქეთი, დრანდა. სხევა მასალასთან შეჯერებით ირკვევა, რომ ვახუშტი ამ საკითხში სწორია.

ჰყონდიდის შესახებ ისტორიული ცნობები ვახუშტი ბაგრატიონის „მატიანე ქართლისადან“ აქვს აღმდეული¹³.

ბანდაში ამეამად ციხე-სიმაგრის კვალი არ შეიმჩნევა. 1737 წ. შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია „ბანდა ფალას სასახლე“. ამ პერიოდში ღიღი ფეოდალის სასახლე იმავე ღროს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ამიტომ ვახუშტი სწორია, როდესაც ბანდაში ციხეს აღნიშნავს.

10 И. Аителава, Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков, Сухуми, 1949, стр. 24.

11 З. Аничабадзе, Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, стр. 258.

12 ვახუშტი, ღრმული, გვ. 166.

13 ჰყონდიდის აშენებაზე „მატიანე ქართლისაში“ კითხულობთ: „...მიიღო სრულობით მეოდა აფხაზთა გიორგი მეფემან, იგი იყო... შეეტეს ყოველთა მანენებელი ეკლესიათა... აღაშენა საყდარი ჰყონდიდის, შექმნა საეპისკოპოსო, და განაშენენ იგი ნაწილთა სიძრავლითა წმიდათა მარტვლთათა“, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265. ბაგრატ IV დაქრძალვაზე მემატიანე წერს: „და ღიღითა ღიღითა და პატივითა წარიცვანეს და დამარხეს ჰყონდიდს“. იქვე, გვ. 315.

ცხენისწყლის ხეობის შემდეგ ვახუშტი აღწერს აბაშის ხელმა: „ამათთა დასაცლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოლებული. შემდგომად, მოიქცა რა ანაკოფიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან პრ აბაში, და მიერითგან იწოდა აბაშა. ამაზედ არს სახარია, ციხე და სასახლე დადიანისა“¹⁴⁻¹⁵.

დადიანის ციხესა და სასახლეს სახარიას ვერ მივაგენით. არც წერილობით წყაროებშია იგი დამოწმებული.

საინტერესო მოსაზრება წამოაყენა შ. ჯლარევამ. მან ყურადღება მიაქცი იმ გარემოებას, რომ ვახუშტისეული სახარიას მდებარეობა ამის რუკებშე ნასოფლარ მარსილს შეესაბამება, რომელიც უკვე არქანჯელო ლამბერტის რუკაზე მოცემული. აქ ცხოვრობდნენ ხარბედიები, რომლებიც ძელელად შეიძლება სოფელსაც კი ქმნილნენ სახარბედიოს სახელით. შ. ჯლარევას აზრით ვახუშტისეული სახარია შეიძლება დამახინჯებული სახარბედიო იყოს¹⁶.

აბაშის ხეობის შემდეგ ვახუშტი ტეხურის ხეობას აღწერს: „ამის დასაცლით დის მდინარე ტეხური. იწოდა ჩქარია დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ხიდსა თუ სხვასა რაის. გამოსდის მასვე კავკასია, მიერთვის ისულეთს ჩრდილოდამ რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშის შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასაცლის კიდეზედ, არს შეეთს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა. ამას ზეით, კიდევ ტეხურისავ კიდეზედ, არს კელებური გუნბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოზისა. აწ სენაკს ზეით უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხეგოჭად წოდებული. ეს აღაშენა ა მეფის ფარინაზის უამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე იყო სრულიად რიონის დასაცლეთი სცნერთით. შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კვალად ქალაქი, და შემდგომად მოოხრდა ქალაქი. აწ არს ციხე კვალად სასახლე დადიანისა“¹⁷.

სახელწოდება ტეხური, ხალხური ეტიმოლოგიის სფუძველზეა ახსნილი. შეეთი არაა ზუსტი სახელწოდება. აღვილობრივი მოსახლეობა ამ სოფელს შეეფს უფლებებს. ამ სახელითა ის მოხსენიებული გვიანდეოდალური ხანის საბუთებშიც¹⁸. ამ სოფელში მართლაც დგას ციხე-სიმაგრე, რომელიც მოქმედებდა ადრეცენდალური ხანიდან.

ვახუშტისეული სენაკი წარმოადგენს დღევანდელ ძელ სენაქს. მისი დროინდელი ეკლესია ამჟამად დანგრეულია. რამდენად სწორია ვახუშტის

14 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 166.

15 ჯუმშერთან ვეითხულობთ, რომ მტერვან ყრუს ლაშქარმა დაიბანავა ციხე-გოჭის აღმოსაცლეთით ორ მდინარის შუა. შემდეგ... „აღდგეს მდინარენი სისტემად. მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა და წარილო მათგან პკერტბლა ცცდასმი ათავთა... უფროსმან წყალშია. წარილო ცენტრი იცდახუთმეტი ათასი, და მიერთვინ სახელ-ედვა როთა მათ მდინარეთა: ერთსა ცენტრული და, ერთსა აბაში“. აწ-ც. I, გვ. 238.

16 შ. ჯლარევა, სალიპარტიანო, თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1965, გვ. 286—287.

17 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 166—167.

18 გრიგოლ კათალიკოსის ვერაბრში (1733 წ.) ვეითხულობთ: „შეეფს იმ საყდართან ბერდა ღოზეადა შეწირულა“. ს. კაკაბაძე გ. დასაცლეთ ხაქაროველის სეკულისიონ საბუთები, წ. 1. თბ., 1921, გვ. 143. შეეფს სახელწოდებითა ეს სოფელი მოხსენებულ სამეცნიეროს საქართვის სოფელთა სიაში, რომელიც ი. მეუნარგის მოეპოვება. ი. მეუნარგის სამეცნიეროს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავთ, დადიანი, თბ., 1939, გვ. 113.

ტისეული ოლწერილობა, ძნელი სათქმელია. დასავლეთ საქართველოს საკულტურული მუზეუმის მიერ გამოცემის ში აფხაზეთის კათალიკოსის სამყოფელი¹⁹.

სწორია ვახუშტის ცნობები ნაქალაქევის ციხე-სიმაგრის მიმართ. მათი ნაწილი სახელოვანი ისტორიკოსის ამოღებული აქვს „ქართლის ცხოვრებიდან“²⁰.

ტეხურის დასავლეთით ვახუშტი ასახელებს უნაგირას ქედს: „ხოლო ამ ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასიმდე, ტყიანი და ნადირიანი. ამას უწოდებენ უნაგირას. ამ მთას შეღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად. და არს კუონდიდიდამ უნაგირმდე მთის ძირი სალიპარტიანო. არაან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთავარი და აზნაური. და არს კვეყნა ესე მგზავის ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“²¹.

უნაგირას (დასავლეთი ოდიშის) ოლწერილობაში ვახუშტის მძიმე შეცდობუშტი დღება: ეს ქედი არ აღწევს მდინარე რიონამდე და არც ყველგან მიუყვება ტეხურის დასავლეთი მხრიდან: „სინამდვილეში უნაგირას სერი რიონამდე არ მიღის; გარდა ამისა, ტეხური ამ სერს ჰქვეთს სოფ. ნაქალაქევთან, ისე რომ სერის ჩრდილო-აღმოსავლური ნახევრი გაუყვება ტეხურის არა დასავლურ (მარჯვნი), არამედ აღმოსავლურ (მარცხნა) ნაპირს“²².

სალიპარტიანო, ვახუშტის გარდა გვხვდება სხვა წყაროებშიც. ირკვევა, რომ მას უფრო ფართო ტერიტორია ეყავა, ვიდრე ეს ვახუშტის აქვს მოცემული²³.

უნაგირას (დასავლეთი ოდიშის) ოლწერილობაში ვახუშტის მძიმე შეცდომები აქვს დაშეებული. ტერიტორიას ენგურამდე ის შემდეგნაირად აღწერს: „ხოლო ისულეთს, ტეხურის შესაძინარს ქეთით სადაცა ერთვის რიონი ზღვას, აქა არს ფოთი. და ამ ფოთის ჩრდილოთ კერძ შესღის ზღვას ხორგის-წყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაც არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა. გამოსდის მასევ წინსენებულს კავკასისა და მოდის აღმოსავლიდან დასავლეთად. ამავ წყალწედ, მთის ძირში, უნაგირას ჩრდილოთ, არს ცახე ჭავეთით და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ წყლის ჩრდილოთ, მთის ძირს, კელსა ზედა არს ხეთას-ციხე და სასახლე დადიანისა. ამის ჩრდილოთ დის ჭანის-წყალი, წოდებული ჭელენჭიისის გამო. გამოსდის მასევ კავკასისა და დის აღმოსავლიდან დასავლეთად, და მიერთვის ზღვას ხოჭუ. ამ მდინარის ჩრდილოთ კერძოთ, ზღვის კიდეზედ არს ხოჭი. აქ

19 ვაშვე დადანის ერთ შეტირულობის წიგნში კეთხულობთ: „ჩეენ... დადანმან პატრიონ-მან ვაშვე.... შემოვწირეთ სენაქს საწინამძღვრო საყდარი და სასახლე სრულად მისის მაშტალთა-თა... ვაესინერთ, და სრულად ოდიშს ერთი საყდარი ახეთი არა ქონდა, ქს, რომე ღლესასწაული გარდახადა.. ამისთვის შეტირეთ რომე როდესაც კზი როდიშს მობრძანდებოდეს, ხატა, ჭუარას და ომორის იქ საყდარზედ დასავენებლენ...“ ს. კაკაბაძე, დასავლეთ..., წ. I, გვ. 61.

20 ლეონტი მრვველთხ კეთხულობთ: „და მისცა ჭურის ქეუყნი ევრის წყალსა და რონს შეა, ზღვთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერის-თავედ მუნ. და მან ქური აღაშენა ციხე-გოგი“, ამართლის ცხოვრება“, I, გვ. 24. ჭუანშერის შიხედვით, მურვან ყრუმ შემუსრნა ყოველნი ქალაქნ და სიმაგრენი ეგრისის ქუეუნისაძ. და ციხე იგი სამ-ზღვული, რომელ არს ცახე გოჭა, შემუსრი“. ი ქ 3 ე, გვ. 235.

21 კაკაბაძე, აღწერა..., გვ. 167.

22 ლ. მარტუაშვილი, საქართველოს უიზიური გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 231.

23 თ. ბერაძე, ერთ საკითხი სამეცნიეროს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს სტორიული გეოგრაფიის კრებული, II, 1964.

არს ეკლესია გუნდათიანი, კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესის შინა მსგავსობრივი რებს პეტრე ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულთმოქმედი. მაგრა წყალზედ, ჩრდილოს კიდესა ზედა და ხოფს ზეთ, არს ეკლესია ჩაისა, დიდი, გუნდათიანი, კეთილშენი, და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის საძრეოთის კერძოს უნაგირამდე და რიონა — ზღვამდე. ამავ მდინარის ჩრდილოთ კერძოდ დიდს ველსა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღვუდე-გოდლიანი²⁴.

ვახუშტის ოღწერილობის ზემოთ მოყვანილ ნაწილში შეცდომებია დაშვებული. „ხორგის წყალი“ მმგვარი სახელწოდების მდინარე სინამდვილეში არ არსებობს. სოფელი ხორგა მდებარეობს მდინარე ხობის ორივე ნაპარას, მაგრამ არა ზღვის პირას, არამედ მისგან 15 კილომეტრით არის დაშორებული. ჩვენის ახრით ვახუშტისეული ხორგის წყალი შეცდომით გამოხაზული. მდ. ხობი უნდა იყოს. კავკითი არა სწორი ფორმა. მტ. ციხე-სიმაგრეს ეწოდება ჰაქვიჯი || ჰაქვინჯი. მისი მდებარეობა ვახუშტის რუკებზე და ოღწერილობაში შეცდომითა მოცემული. ის მდებარეობს არ „ხორგის წყლის“ (ჩვენი აზრით მდინარე ხობის) ოღონისავლეთით, არამედ უფრო ჩრდილო-დასავლეთით მდ. კანის წყალის მარჯვენა ნაპირზე. თუ ჩვენ „ხორგის წყალს“ მდ. ხობთან გავაიგივებთ, მაშინ ხეთას ციხე-სიმაგრის მდებარეობა ვახუშტის სწორად აქვს გამდოცემული. სწორადაა ოღწერილი მის ირგვლივ გეოგრაფიული გარემოც: ხეთას ციხე-სიმაგრე მდებარეობს კოლექტის დაბლობზე და 1 კილომეტრითა დაშორებული ურთას მთიან ზოლს.

შეცდომითა ვახუშტის რუკებზე გამოსახული და ოღწერილობაში მოცემული მდ. კანის წყალი. ეს მდინარე სინამდვილეში შავ ზღვას კი არ ერთვის უშუალოდ, არამედ წარმოადგენს მდ. ხობის მარჯვენა შენაკადს. არც ხობის და არც ციშის მონასტერი, მის მარჯვენა ნაპირზე არ მდებარეობენ. ხობის მონასტერი დგას მდ. ხობის მარცხენა ნაპირზე, თთოდე კილომეტრითა სამხრეთით იმ ადგილიდან, სადაც ამ უკანასკნელს კანის წყალი უშროდება. ციშის მონასტერი მდებარეობს მდ. ჭუმის მარცხენა ნაპირზე, ხობის მონასტრის დასავლეთით, მისგან თხუთმეტიოდე კილომეტრის დშორებით.

გადავხედოთ ვახუშტის ნაშრომის ზემოთ მოყვანილი ადგილის, ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებს. ხორგაში მართლაც იდგა აფხაზეთის კათალიკოზის სასახლე²⁵. კავკიჯში დღესაც შემორჩენილია ძლიერი ციხე-სიმაგრე და აქ წყაროების მოწმობით მართლაც იდგა დადიანთა სასახლეც-ძლიერი ციხე-სიმაგრე იდგა ხეთაშიც.

ხობის მონასტერი გუმბათიანი ეკლესია კი არა, როგორც ამას ვახუშტი გვამცნობს, არამედ სამანვაიანი ბაზილიკა. რაც შეეხება ამ ადგილის

24 ვ. ა. უ. შ. ტ. ი., ოღწერა..., ვ. 167.

25 დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საბუთში მოხსენებულია ალხაზთა კათალიკოსის სასახლე ხორგაში. ჩამია დაღიანი გურიელი კათალიკოს ამლევს: „ხორგას სამარჯაო სასახლე ცხრა კვამლის კაცით კათალიკოზის დაიოთ ნებადეს წულუკისაგან უფიდა... ესენ კათალიკოზ დაიოთ თქვენთვის შემოწირა...“, ს. კავაბაძე, დასავლეთი, წ. I, გვ. 87. სიგვლი კათალიკოზ გრიგორ ლორთქეთა მიმდინარეობისაგან. „შემოგწირეთ ხორგას ნაპარკვევის სასახლე...“, გვ. 90, იქვე იხ. აგრეთვე, ლევან III დაღიანის სიველი ბიჭვინთის ღვთისშობლისადმი ს. კავაბაძე ვ. დასავლეთი, წ. I, გვ. 76 და სხვ.

ვახუშტისეულ სახელწოდებას — ხოფს, ორკვევა, რომ ხობი და ხოფი ერთი
სახელის პარალელური ფორმებია²⁶.

ცაიშის მონასტერი რამდენჯერმე აღდგნილ-შეკეთებულა. უკანასკნე-
ლი შეკეთება მან ვახუშტი ბაგრატიონის სიკედილის შემდეგ განიცადა²⁷.
ამიტომ, რამდენად სწორი იყო ვახუშტი ამ მონასტრის აღწერისას, ამეა-
მად რაიმეს თქმა ჭირს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ადგილს უწოდებენ
ცაიშს, მაშინ როდესაც ვახუშტი ხმარობს ჩაის. ისმება კითხა: რამდენად
მართალია ის? თუ გადავხედავთ ამ მონასტრის ირგვლივ არსებულ მასალას,
ხატის წარწერა იქნება ეს თუ საკელესიო საბუთი, ან რომელიმე ხელნა-
წერის მინაშერი, დავინახავთ თითქმის ყოველთვის, რამდენიმე გამონაუ-
ლისის გარდა რომ შესაბამის ადგილს ყველგან ცაიშია ნახმარი²⁸. ეს მოწ-
მობს იმას, რომ ადგილის თვალაპირველი სახელწოდება ცაიში იყო და
შემდეგ მეგრულში ცვლილება განიცადა. ცნობილია, რომ ქართული ენის
წყობა შიშინა, მეგრულისა კი სისინა. ქართულ ც-ს მეგრულში შეესაბამება
ჩ, ხოლო ქართულ შ-ს მეგრულში შეესაბამება შე/სქ, ან შე/სქ²⁹. ამის
შესაბამისად ცაიში მეგრულში შეიცვლა როგორც ჩაისი. ცნობილია, რომ
ოდიშის სამთავროს არსებობის დროს მეგრულიშმება სახელმწიფო საბუ-
თებში, ხატების წარწერებში იშვიათად თუ გაიძარებოდა. მით უფრო
იშვიათია ეს დასავლეთ საქართველოს საკელესიო საბუთებში. ამიტომ
შესაბამის ადგილს თითქმის ყველგან ცაიში გვხვდება. ვახუშტის კი
გამოყენებული აქვს ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული ფორმა —
ჩაისი.

ვახუშტი მართალია, როდესაც ზუგდიდში აღნიშნავს მხოლოდ მთავ-
რის სასახლეს გალავნით. სხვა წყაროებიც აღასტრუებენ, რომ ციხე-სიმაგრე
იქ არ მდგარა. ამავე დროს ვახუშტის გამორჩენილი აქვს ზუგდიდის
XV ს. მაცხოვრის სახელობის ეკლესია.

ზუგდიდის შემდეგ ვახუშტი აღწერს ენგურის ხეობას: „ამ ზუგდიდის
აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჰელენისი, ეკლესია გუნბათიანი,
დიდშენობა, შეუნიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქანის
მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა კავკასიდამ ზღვამდე.

26 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვეს, წ. I, თბ.,
1964, იხ. „ხობის ლეთისმშობლის ეკლესია“ გვ. 275 და „ხოფის ლეთისმშობლია“, გვ. 277;
„ამადგვლა დადიანის წიგნში საკათალიკოსო სარგოს შესახებ ვეითხელობა: „აგრევე ჩურ ბა-
ტონშა დადიან-გურიელმან შეამნადვლა მოვიყოთხეთ იადგარი ძულთაცა აგრე ეშერა, ვინცა
ხოფის საყდარს, ვარუშემო უპატიობა იყაროს...“ ს. კაკაბაძე, დასავლეთ..., წ. I, გვ. 2.
ლევან III დადიანის ერთ შეწირულობის წიგნში ვეითხელობა: „მშემგვიწირავს შეკრე ეს
და კინი შესწირავთ ხოფი სახლითა... ხორგოს სამი ნაირი ვაძარი თუ მოვიდეს, ერთი
ბაზარგანი ვაძარი სახობოს კაცისას დადგვინდეს“ იქვე, გვ. 76—77. 1700 წლის აძლოს ხა-
ნის საბუთში „ხოფის ლეთისმშობლეს“ ერთ კომლ კაცს სწირავს „მთავარებისკოპოზი ბოცლი
კუთიმი“ იქვე, გვ. 84. აფხაზეთის კათალიკონის გრიგოლ ლორთვიდანის სიგვლში მოხსენ-
ბულია „ხობის სამი მოსახლე“ იქვე, გვ. 91.

27 ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა, სამეცნიეროში, ტც.,
1914—15 წ. გვ. 175.

28 ცაიში (ჩაისი) იხილეთ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპო-
ნიმიკისათვეს, წ. I, თბ., 1964, გვ. 250.

29 ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა, სამეცნიეროში, ტც.,
1914—15 წ. გვ. 175.

30 ცაიში (ჩაისი) იხილეთ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპო-

ნიმიკისათვეს, წ. I, თბ., 1964, გვ. 250.

31 ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა, სამეცნიეროში, ტც., 1914—15 წ. გვ. 175.

32 ცაიში (ჩაისი) იხილეთ მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპო-

ნიმიკისათვეს, წ. I, თბ., 1964, გვ. 250.



ამის ჩდილოთ დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსახულის მასვე სკანერთა და ოდიშს შორისს კავკასია, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის ზოგამ ანაკრისა, ანაკრისა აღმშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესა ჩრდ ქართულსა ტეა, აწეა უბყრავთ მათვე. ანაკრისა აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე აღაშენა ლევან დადაიმან ქრისტესა ჩქმა, ქართულსა ტლე, შემდგომად შემუსრეს თსმალთა წელსა ჩრდე, ქართულსა უიგ... რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ³⁰.

წალენჯიხის ირგვლივ მოცემული ცნობები სინამდვილეს შეესაბამება. მხოლოდ ამ ადგილის სახელის გახუშტისეული ფორმა „ჭელენჯიხი“ იწვევს ეჭეს. თუ გადავხედავთ ამ მონასტრის ირგვლივ არსებულ მასალას, დავინახავთ, რომ ერთი გამონაკლისის გარდა ეს მონასტრი წალენჯიხის ფორმით მოხსენიება.³¹

ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილის სახელწოდებად ხმარობს „წენ დიხას“. ი. ყიფშიძე ამ სახელზე დაყრდნობით წალენჯიხის ხსნის, როგორც კანის ციხეს³². ტოპონომ წალენჯიხის ეტიმოლოგია მოცოვება არა. ჩიქობავსაც. იგი არ ეთონება ი. ყიფშიძის მოსახრებას „წენ დიხას“ პირველობის შესახებ და გამოოქვამს მოსახრებას, რომ სწორედ ქართულმა შემოვენახა ამ სახელწოდების უძველესი ფორმა წალენჯიხა. მევრულ-ჰანურზე დაყრდნობით, არა. ჩიქობავა „წალენ“-ს ხსნის, როგორც „კვემო“-ს „ჭიხა“ შეესაბამება ქართულ ციხეს. „წალენჯიხა“ —ქვემი ციხე³³. ამის გამო ვახუშტისეული „ჭელენჯიხი“ მევრულის გავლენით დამახინებულ ფორმად მიგვაჩნია. „ჭელენჯიხი“ ზუგტი მევრული შესატყვისობაა ლიტერატურული „წალენჯიხის“ (წ გადევიდა ჭ—ში, ა—ე-ში.)

საერთოდ ვახუშტი სწორად არ ხმარობს ტერმინს „ჩდილოეთს“, მას ხშირად ჩრდილო-დასავლეთის, ან კიდევ დასავლეთის ნაცვლად იყენებს. ამიტომ გამოთქმა წალენჯიხის „ჩდილოთ დის მდინარე ეგური“, არაა სწორი. ეს მდინარე მონასტრის დასავლეთით მიედნება. თვით მდინარის სახელი „ეგური“ სწორი ფორმაა. ის გარდამავალი უნდა იყოს „ეგრიდან“, „ენგურამდე“, და რამდენიმე გვანიფეოდალურ საბუთშიც გვხვდება³⁴. ამიტომ ვახუშტის ცნობა, რომ მდინარემ დაბისაგან მიიღო სახელწოდება, ისე შეიძლება გავვგო, რომ ამ დაბისაც ეგური ეწოდებოდა, და ეს ეგური დაგვეკავშირებინა ძველი ქართველი ისტორიკოსების მიერ მოხსენიებულ ეგრისთან.

30 ვაბ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 167—168.

31 დასავლეთ საქართველოს ერთ საეკლესიო საბუთში მოხსენებულია „კლესია ჭიხისა“. ს. კაკაბაძე, დასავლეთი, 11, გვ. 25.

32 И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914, გვ. 377. წალენ-ჭიხა, ჭელენ-ჭიხა Цаленджиха село и общество в Зугдидском уезде.. Название это встречается и в форме წენ-დიხა (წენ можно принять за эквивалент ჭაბადიხა-ჭიხი крепость с диссибиляцией первого коренного, или же დიხა земля; тогда все название будет означать: Чанская крепость (земля)).

33 ი. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა, წარ პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, ენიმების პოძე, ტ. I, თბ., 1939, გვ. 45.

34 დასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, ტ. I, თბ., 1964, გვ. 78. აფხაზეთის კათალიკოსის გრიგოლ ლორთქისანის სიგვარე ვეითხულობა: „კიდევ ელიბაზუ ნანაისშვლი ეგურის გაღმიღან. წამოვიყვანეთ“. ს. კაკაბაძე, დასავლეთი, ტ. I, გვ. 92.

შეშინ გამოვიდოდა, რომ ვახუშტი იზიარებს მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მადლონტისეული „ეგრის წყალი“ მდ. ენგურია. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს ასე არაა. დაბა „ეგური“ ვახუშტის არცერთ რუკაზე არაა აღნიშნული.

ენგურის ზემო წერი, სათავიდან, ვახუშტის აზრით, მდებარეობდა გარევეული ფეოდალური ერთეული სააფაციო. თავის რუკებზე სააფაციოს ივი ხან მდინარის მარცხენა ნაპირზე ათავსებს, ხან მის ორივე მხარეს. ვახუშტის რუკით პირველი ატლასის პირველ რუკაზე, ენგურის მარჯვენა ნაპირზე აღნიშნულია პუნქტი სააფაციო⁵. როგორც იზკვევა, სახელოვანი მეცნიერი არ იყო დარწმუნებული ამ პუნქტის არსებობაში. ამიტომ თავის რუკათა მეორე ატლასის არცერთ შესაბამის რუკაზე სააფაციო, როგორც პუნქტი მოცემული აღარ აქვს.

ვახუშტი ბაგრატიონი შეცდომით აღნიშნავს მდინარე ენგურის სათავეს. ეს მდინარე „სვანეთსა და ოდიშს შორის კავკასიიდან“ ე. ი. სამეგრელოს ქედიდან კი არ მოვდინება, არამედ უშუალოდ კავკასიონს მთავარი ქედიდან. შესაბამისად, ვახუშტის გამოთქმა „ამ წყალზედ მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ“, არ გულისხმობს, რომ იტორს აქ ზემო სვანეთი აქვს ნაგულისხმევი (ენგურის ზემო წელს სინამდვილეში ზემო სვანეთი წარმოადგენს). სააფაციოში ვახუშტი ბაგრატიონი გულისხმობს ენგურის ხეობის ნაწილს სამეგრელოს ქედიდან სოფ. რუხამდე.

ოდიშის ამ ნაწილის სოფელთა ტოპონიმიკაში სააფაციო შემონახული არა, არც რაიმე ხალხური გადმოცემა იცნობს მას. სააფაციო, ვახუშტის მიხედვით ისეთივე ფეოდალური ერთეული გამოდის, როგორიცაა მაგალითად სალიპარტიანი. ხოლო ფეოდალური გვარი აფაცია წერილობით წყაროებში არსად არ გვხვდება. ამის გამო სააფაციოს არსებობა ეკვს იშვევს.

სააფაციოში ვერ ვიგულისხმებთ სააფაციონის, რომელიც სოფელ რუხის ერთ უბანს წარმიადგენს დღეს. არა სავალდებულო, რომ ძეველად ის დამოუკიდებელი სოფელი ყოფილიყო და რაც მთავარია ფარცვანიერი ვლეხები იყვნენ და მათი გვარეულობიდან ისეთი ფეოდალური ერთეულის სახელი ვერ შეიქმნებოდა, რომელშიც ვახუშტი ბაგრატიონი სააფაციოს ცელისხმობს.

ამავე დროს ვახუშტი ბაგრატიონი შეიძლება არასწორად იძლეოდეს ამ ფეოდალური ერთეულის სახელს, ზუსტად ვერ განსაზღვრავდეს მას მდებარეობას, მაგრამ მას რომ საერთოდ მოეგონებინოს ასეთი რამ ძნელი დასაჯერებელია. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იძყრობს აფაჯიძეების საგვარეულოში შემონახული ერთი გადმოცემა, რომლის თანახმად მათი სამფლობელო ერთ დროს მდინარე მაგანამდე აღწევდა, რაც დაახლოებით უმთხვევა ვახუშტის მიერ მოცემულ სააფაციოს ტერიტორიის ნაწილს (ეს გადმოცემა მოგვიწოდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ა. აფაჯიძემ, რისთვისაც დიდ მაღლობას მოვასხენებოთ).

აფაჯიძეები ოდიშის ერთ ძლიერ ფეოდალურ გვარეულობას წარმოადგენდენ. ისინი წერილობით წყაროებში XIII საუკუნიდან გვხვდებიან. აღვილად მოსალოდნელია, რომ არსებულიყო ფეოდალური ერთეული სა-

⁵ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კაცელაძის სახ. ხელნაშერთა ისტორიუმის ფონდი, H—2079.

აფაქიძო, ხალხური ფორმით სააფაქიო. ამიტომ შესაძლებელია გვანუშტისეულ სააფაციოში სააფაქიო დავინახოთ.

სააფაციოსთან დაკავშირებით ყურადღებას იყერობს XVII ს. პირველი ნახევრის საბუთი, სადაც მოხსენებულია: „საქონჩიქიძეო, დადიანის ლევანის წყალობა მამული, თავს ჯგალის ციხე-სასახლე“³⁶. ტოპონიმი საქონჩიქიძის ჩვენ ჩავიწერეთ, სოფელ ჩევალერში, რომელიც ენგურიდან ჩამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. გამოდის, რომ ეს ფეოდალური ერთეული ვრცელი ქვეყანა ყოფილა ციხითა და სასახლით. იგი ნაწილობრივ თავსდება ვანუშტის რუკაზე მოცემულ სააფაციოს ტერიტორიაზე. გამორიცხული არაა, რომ ვახუშტისეული სააფაციო დამასინჯებული საქონჩიქიძო იყოს. ერთი უკველია, ვახუშტისეული სააფაციო, რომელილაც ჩევალურად არსებულ ფეოდალურ ერთეულს გამოხატავს, თუმცა მისი სახელი და მდებარეობა სახელოვან მეცნიერს არაზუსტად აქვს მოცემული.

რუხის ციხე მდებარეობს ენგურის მარცხნა ნაპირზე, ზუგდიდიდან რვა კილომეტრის დაშორებით. ვახუშტი მისი აგების თარიღია ჩქმზ ანუ 1647 წ. თვლის. რა წყაროებით სარგებლობს ვახუშტი ამ შემთხვევაში არ ვიცით. ერთი კია: ციხის დაგეგმვება, გვდლების წყობა და სიდიდე მოწმობს, რომ რუხის ციხე ლევან II დადიანის დროსაა აგებული.

ანაკლიის ციხე ენგურის შესართავში მდებარეობს, მარცხნა ნაპირას. გეგმაში იგი კვადრატულია, ოთხი კოშკით. ამათვან სამია შემორჩენილი. ორი მთვარი მრგვალია, ერთიც ოთხკუთხა. ვახუშტის მიხედვით ანაკლიის ციხე თურქებმა ააგეს ჩრდ ანუ 1703 წელს. და თავისი მდებარეობის მიხედვით თურქების პლატფარმად გამოიყურება ოდიშში. ანაკლიის ციხე XVIII ს-ის საქართველოს ციხე-გალავნების სრული ანალოგიურია, მიტომ მისი აგების ვახუშტისეული თარიღი პრინციპში სწორად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ის ქართველი ოსტატების აგებულია, ალბათ თურქების მოთხოვნით.

ენგურის შემდეგ ვახუშტი აღწერს დასავლეთ ოდიშს ბედიამდე: „კვალად ამ ეგურის ჩრდილოთ დის წყალი წოდებული დადის დაბის გამო. გამოსდას მასვე აღმოსავლეთის კავკასია, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღვას. ამ დადის წყლის ჩრდილოთ დის ეგრისის-წყალი, წოდებული ეგრისის, თარგმანის ძის, გამო. გამოსდას მასვე კავკასი, დის დასავლეთად და მიერთვის ზღვის ილორს. ხოლო ზღვის კიდეზედ, ამ წყლის დასავლეთს კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქვისა, და უძეს სამჯრით ზღვა და ჩრდილო ველი. არს ეკლესია უგუნდათო, მცირე, მდიდარი და შეკული. არამედ სილოვანობის გამო, რათა არს შეირყეს ეკლესია, მოულიათ ქვა დიდ-ფრიადი, ფიქალი და მას ზე-და შენი არს სრულიად ეკლესია. აქ მოიყვანს ქარს ყოველწლივ ი ნოემბერს, რომელსა დაპერულენ და განიყოფენ მეუე დიდებულებითურთ. გარნა არს ფრიად სასწაულომოქმედა კეშმარიტა ზედაცა. არამედ მოსწევს ოსმალთა ეკლესია ილორისა ქრისტესა ჩრდება, ქართულსა უკა.

ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგრის, ძე თარგამოსისა და აქა აღმენა ქალაქი და დაიპყრის საზღვარი თვეს“³⁷.

36 ს. კაკაბაძე ე. იუხაზეთის საეკლესიო გადახმაურების დიდი დავთარი, ტფ., 1914, გვ. 43.

37 ვახუშტია, აღწერა..., გვ. 168.

ძალზე ძნელია დადგენა, თუ რომელ დღევანდელ მდინარეს შეესაბამება ვახუშტისეული დადის წყალი ან კიდევ ეგრის წყალი. სახელმისამართის მდინარე მდინარე მდინარე მოქამდე იგი ჩამოთვლის დადის წყალსა და ეგრის წყალს, მაშინ როდესაც სინამდებილეში ენგურის დასავლეთით მოედონება (მხედველობაში გვაქვს შედარებით დიდი მდინარეები) ერის წყალი, მდ. ოქუმი, მდ. ლალიძეა და მხოლოდ შემდეგ მდ. მოქვი. როგორც კედავთ, ერთი დიდი მდინარე ვახუშტის გამოტოვებული აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შეცდომა მარტო ვახუშტის არ მოსდის. აქვანჯელო ლამბერტი თც წელს ცხოვრიბდა ოდიშში. მასაც ოდიშის ამ სექტორის მდინარეები შეცდომით აქვს მოცემული. ასევე შეცდომები აქვს 1737 წ. შედგენილ დასავლეთ საქართველოს რუკაზე.

დადის წყალი და პუნქტი დადი ვახუშტის გარდა არსად არ გვხდება. არც ტოპონიმიაშია შემონახული მსგავსი სახელი. რა მონაცემებით სარგებლობდა ვახუშტი მდინარე დადის რუკაზე დატანისას, არ ჩანს. (პუნქტი დადი ვახუშტის რუკებზე დატანილი არა).

ლეონტი მროველის ეგრისში ჩვენ ეგრი ტომის უძველეს ცენტრს კედავთ, ხოლო ეგრის წყალი ის მდინარეა, რომლის ნაპირზე იგი მფებარეობდა.

ლეონტი მროველი XI ს. ისტორიკოსია და მან მისი დროისათვის დაწინაურებული ბედია ძეველ ეგრისთან გააიგეა. სინამდებილეში ეგრის წყალი მდ. ენგურს შეესაბამება და ეგრისიც მის ნაპირებზეა საძებნი³⁸.

ვახუშტი კარგად იცნობდა ლეონტი მროველის კონცეფციას ეგრის (ქალაქი) და შედიოს იგივეობის შესახებ, და მდინარე ეგრის წყალსაც მის აბლოს ექცეს. სინამდებილეში ამგვარი მდინარე ამ სექტორში არ იყო. ვახუშტიმ ერთ-ერთ რეალურ მდინარეს უწოდა ეგრის წყალი და ასე დაიტანა კიდეც რუკებზე. რომელი მდინარე იგულისხმება ვახუშტის ეგრის წყალში ძნელი სათქმელია. თუმცა მისი მონაცემები ყველაზე უფრო უდგება ან მდინარე ლალიძეს ან კიდევ ერის წყალს. ამ უკანასკნელს ეწოდებოდა ერთის წყალი. იმ მთას, საიდანაც იგი მოედინება, ერთიშე გვალა (ერთის მთა) ეწოდება. მეორე მხრივ ვახუშტისეული ეგრის წყალი საზღვარისა სამურჩაყანისა და საქეთრივ აფხაზეთს შორის. ასეთ მდინარეს კი ლალიძეა წარმოადგენდა. თითქოს ვახუშტის ეგრის წყალი მდინარე ლალიძეს შეესაბამება. ჩვენი აზრით სავსებით დასაშეგებია, რომ სახელმისამართი გვოგრაფს სახელწოდებათა გარეგნული მსგავსების გამო ერთის წყალი გაეზრა, როგორც ეგრის წყალი და ამ სახელწოდებით დაეტანა ეს მდინარე რუკაზე, თუმცა შეცდომით დაახლოებით მდ. ლალიძეს ადგილა.

მაშინ როდესაც ვახუშტი ბაგრატიონს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ მხარის ფიზიკურ გვოგრაფიაზე, იგი სწორად აგვიწვრს ილორის ეკლესის ჭმ. გიორგის სახელმისალესაბზოულს, რომელიც აქ იმართებოდა. მას არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ამ ეკლესის ფუნდამენტის გასამაგრებლად შენებლებს სპეციალური სამუშაო აქვთ ჩატარებული. ვახუშტის ეს ცონბა სიმდებილეს შეესაბამება³⁹.

38 თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გვოგრაფიან, გვ. 134—142.

39 ა. კაცია, ილორი, სუხუმი, 1963, გვ. 51.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი ბედის შესახებ. ამას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელი დასკა ა მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონძს დასაცლეთისა, ვინათვან ჰპოვა ბედი. აქვე, ბედიას, აღაშენა ნდ მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ შშვენიერ-გუნდათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად. ამისთვის წერილ არს: „ვისაც გენებოს სიცილე და სიძლიდრე ბაგრატ ნდ მეფესა, ვანიხილუ ბედის ეკლესია და მით სცნობ“. დასკა ეპისკოპოზი ოდიშისა, და აწცა ზის, და მწყემსი არს აწ დადის-წყლისა და მოქვის-წყლის შეათისა ადგილთა.

აქვე მიიღო იგრევ მეფე ბაგრატ ზეიად ერისთავმან და დაფლა⁴⁰.

სახელწოდება ბედის ვახუშტისეული ახსნა მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებულია. ამ მონასტრის შესახებ ცნობათა ნაწილი სახელოვან მეცნიერს „მატიანე ქართლისადან“ აქვს ამოლებული⁴¹. ამავე დროს ვახუშტი ერთ ადგილს თითქოს ლეონტი მროველს ეწინააღმდეგება: უკანასკნელი არსად არ ამბობს, რომ ქუჯის საერისთავოს ცენტრს ბედია წარმოადგენდა. პირიქით, თითქოს მის დროს საერისთავოს ცენტრში უფრო იმოსავლეთით ვადაინაცვლა. „ამან ქუჯი იღმენა ციხე — გოჭი“.

ბედის საერისთავოს ასებობა არც ერთი საბუთით არ მტკიცდება. რაც შეეხება ბედიელს, ის მხოლოდ ბედის ეპისკოპოზის ტიტული იყო ყოველთვის.

ბედის შემდევ ვახუშტი აღწერს მდინარეების მოქვისა და კოდორის ხეობებს: „ხოლო ამ ეგრისის მდინარის დასაცლით დის მოქვის მდინარე ჩიდოლოდამ სამწრით. გამოსდის კავკას და მიერთვის ილორს ზღვის. ამ მდინარე-სა ზედა, მთაში, არს მოქუს ეკლესია გუნდათიანი, დიდნაგები. აღაშენა მეფემან აუხაზთამან ლეონ შექებითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს მდინარე მოქვის დის მოქვამდე იღმოსავლიდამ დასავლეთად. ხოლო მოქვის მდინარის დასაცლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, გუნდათიანი, შეენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ აწ აუხაზთაგან არლარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზინი. გარჩა მდინარე კოდორი დრანდამდის დის იღმოსავლიდმ დასაცლეთად, გამომდინარე კავკასიიდმ, და დრანდიდამ ზღვიდე დის ჩიდოლოდამ სამწრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში⁴².

არც მდინარე მოქვის, არც კოდორის აღწერილობა და მათი ვახუშტის რუკაზე გამოხაზვა არა ზუსტი — უფრო მეტიც — დრანდა ვახუშტის რუკებზე მოცემულია ზღვიდან დამორჩებით, მდინარის მარცხნიან ნაპირზე, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, ის კოდორის მარჯვენა ნაპირს დგას.

40 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 168.

41 „მატიანე ქართლისაში“ ვკითხულომთ: „ამავე ბაგრატ III. თ. ბ.) დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედისა, და შექმნა საყდარად საეპისკოპოსოდ... განსრულა ყოველთა ვანგებითა, შეამკო ყოველითა სამეცნიერო ეკლესიია, აუზრობა და დასუა ეპისკოპოზი. უკეთ ვისე ენებოს განცდად და გრძისხმისმყოფად სიმაღლისათვეს დიდებისა მისისა, პირველად გაიცადოს სამეცნიერო ბედისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმი ყოს...“ ქართლის ტხოვრება” I, გვ. 281. ამავე ნაწარმოებში მეტიც ადგილს ვკითხულობთ: „როდესაც ბაგრატ III გარდაიცალა, წარმოიღო გუამი მისი ზეამდან ერისთავე-ერისთავიან, და დამარხა ბედიას“, ივ ვე, გვ. 283.

42 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 169.

საეპისკოპოსო კათედრები: მოქვი და დრანდა ამ დროისათვის მართლური გაუშებული ჩანს. ცნობათ ნაწილი მოქვის შესახებ ვახუშტის ამოღებული აქვს „მატიანე ქართლისადან“⁴³.

ვახუშტისეული კოდორი (დაბა) უნდა შეესაბამებოდეს ანასტასი პპორის წერილში მოხსენებულ სკოტორის და გიორგი მთაწმინდელის დიდი სვანესარის შესაბამისი ადგილის კოტორის⁴⁴.

ვახუშტი ბაგრატიონს ოდიშის საზღვრები მიპყავს ანაკოფიამდე: „ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა, გამომდინარე კავკასიისა, და მოერთვის ზღვის ჩრდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში, არს ცხომი და ისახელების მდინარე ეს ამისგან. იყო ცხომი ქალქ და საერისთო და აწ დაბა. ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მურიე, გამომდინარე კავკასიისა და მომრთველი ზღვისა და ეგრეთვე ჩილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლთ და ზღვის კიდეზედ არს ქალქი ანაკოფია⁴⁵.“

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბაგრატიონს შუაფეოდალური ხანის ცხუმის საერისთავოს ცენტრი დღევანდელი სოხუმის ადგილს კი არ ეცულება, არა მედ ზღვიდან მოშორებით რომელიმაც მდინარის მარცხნა ნაპირის. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცხუმის საერისთავოს ცენტრი სინამდვილეში ზღვიდან დაშორებით მდებარეობდა, იქ, სადაც ე. წ. „ბაგრატის ციხეს“ ნანგრევებია შემორჩენილი. ამრიგად, ვახუშტის ცნობა სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. ცხომი მის მოცემული აქვს მდ. ცხომის მარცხნა ნაპირზე. „ბაგრატის ციხე“ მდ. ბესლეთის მარცხნა ნაპირზე მდებარეობს. ვახუშტისეული მდ. ცხომი როგორც ვხედავთ, დღევანდელ მდინარე ბესლეთს შეესაბამება⁴⁶.

ვახუშტის ცნობები ანაკოფიის შესახებ სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს. მდინარე, რომელიც მის რუკებზე ამ ქალქის დასავლეთით მიედინება და რომელსაც წარწერა არა აქვს, უნდა იყოს მდინარე ფსირცხა.

გვიანდეთ აღმოჩენა ანაკოფიის შესახებ სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს. მდინარე, რომელიც მის რუკებზე ამ ქალქის დასავლეთით მიედინება და რომელსაც წარწერა არა აქვს, უნდა იყოს მდინარე ფსირცხა.

43 „შექუა ლეონ და ეცულა მამულისა და სამეფოსა თესს... ამან აღმენა ეკულესია მოქვადა შექმნა საყდრალ საეპისკოპოსოლ, აკურთხა და განვირულა ყოვლითა ვახუშტითა“. „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 270.

44 3. ინგრ. რ. კ. ვ. ვ. გორგა მერჩულე, თბ., 1954, გვ. 155—156. ანასტასი პპორისიანის წერილში ვვითხულოთ: „უფალი ამბა ანასტასი და ამ წერილის დამწერი შესხეს ცხენებზე და ასე გამგებარებეს და ჩანაწევდის: პირველი — აბაზგის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი (ლაზარები) ეწოდება... თეოლოს განგრელი, ახასტასი პპორისიანის წერილითან. გორგა ტომი შეოთხე, ნაკეთი I, გვ. 42. ამ წერილის ქართული ვერსიის შესაბამის აღვილას ვვითხულოთ: „და ძმა ანასტასი საკედრისა წარიცვანეს და შეაყენეს ციხეს აფხაზეთისასა, რომელსაც წოდების კოტორი“. იქვე, გვ. 43.

45 ვახუშტი; აღწერა..., გვ. 169.

46 6. ბერებაშვილი, აფხაზეთში..., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 294—297; В. Сизов, Восточное побережье Черного моря, Археологические экспедиции, Мак. вып. II. М., 1889, გვ. 43.

47 ვახუშტი; აღწერა..., გვ. 148.

5. საქართველოს ისტორიული გოგრაფიის კრებული, IV.



ვახუშტის შესაბამის რუკებზე მოცემული ოდიშის რამდენიმე პრეცენტია არაა მის აღწერილობაში: სკურჩე (უნდა იყოს სუხჩი), სუნწი, ლეხაინა (ლეხაინდრაო), ნაგვაზაო, ონტოფა, ერთი პუნქტის „ლეჯაბის“ სახელის აღდგენა ვერ მოვახერხეთ.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს ლევან II დადიანის მიერ აგებულ თავდასაცავ ნაგებობათა სისტემაზე: „და სახლვარი ოდიშისა და აფხაზეთისა, ამ ანაკოფის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე, შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გაუსვლელობისათვე, გარნა ამ უქმად არს“⁴⁸.

თავდასაცავ სიმაგრეთა სისტემის შესახებ ცნობა მოეპოვება არქანგელო გლამბერტის: „ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე ეწოდება, მთები გაშლილია და მტერს ადგილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება,—დიდი ხარჯით ამოუყვანით კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჭი და კედელში აქა-იქ აუშენებით კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები“⁴⁹.

ამ კედლის არსებობა იცის შარდენმაც: „ოდიში ერთ დროს ჩრდილოეთის მხრიდან, აფხაზეთისაგან დაცული იყო სამოცი მილის სიგრძის კედლით“⁵⁰.

ამრიგად, ვახუშტის ცნობა ლევან II დადიანის მიერ „ზღუდის“ აღების შესახებ სწორი ჩანს. ის კია, რომ ამ ცნობის მიხედვით ამ ნაგებობაზე რაიმეს თქმა ჰქის.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლევან II დადიანმა სინამდვილეში განაახლა ე. წ. „აფხაზეთის დიდი კედლის“ ერთი მონაკვეთი.

„აფხაზეთის დიდი კედლის“ შესახებ ვრცელი ლიტერატურა პოიპოვება.

48 ვ ა ხ ე ზ რ ი, აღწერა..., გვ. 169.

49 ა რ ქ ა ნ ჭ ლ ი ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეცნიერო აღწერა, თბ., 1938, გვ. 166.

50 Шарден, Путешествие Шардена по закавказью в 1672—1673 гг. Тиф., 1902, стр. 24.

51 Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа, т. I, Сухуми, 1939, стр. 146—147.

Д. Бакрадзе, Очерки Мингрелии, Самурзакано и Абхазии, Кавказ, 1860, 48—49. „აფხაზეთის დიდი კედლის“ მოვლენაზე არქეოლოგი ლევან ბაზილის შესახებ, ინიციატივისთვის, 1938 წელს. 1 გვ. 100; 3. Аничабадзе, Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1958. ჩეხეთის დიდ კედლის აღმოსავლით აფხაზეთის დიდი კედლის ს. სილოვანი და ს. შერვაშიძე.—„Уступая по своей величине лишь Великой Китайской стене, Абхазская стена значительно превосходит остальные известные длинные стены». Л. Соловьев и Л. Шервашидзе, «Вдоль Великой Абхазской стены», «Советская Абхазия», 1964, 16/VIII. ვ. ფარულიას აზრით, «По длине Абхазская стена занимает второе место среди подобных сооружений». В. Пачулия, В краю Золотого руна, М., 1968, стр. 53. „აფხაზეთის დიდი კედლის“ შესახებ იგრუვებ, ი. ი. ბგაჯბა, История изучения средневековых памятников Абхазии, Тбилиси, 1967 г.; В. Пачулия, Великая Абхазская стена, «Знание-сила», 1968, № 5 стр. 22—23.

კველევართა დიდი ნაწილი მას „კელასურის კედელს“ უწოდებს, ნაწილი „გიგანტურ აფხაზურ კედელს“, ზოგი კი — „აფხაზეთის დიდ კედელს“, რომელიც თავისი სიღილით მეორეა ჩინეთის დიდი კედლის შემდეგა.

დიუბუა დე მონპერემ ამ კედლის სიგრძე 160 კმ განსაზღვრა. მისი აზრით, იგი აგებულია რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენს ერამდე და იცავდა ანტიკურ დიოსკურიას. დიოსკურია, — შვეიცარიელი მეცნიერის პზრით, — მდინარე კოდორის აღმოსავლეთით მდებარეობდა. კედელი იწყებოდა მდ. კელასურის შესართავში და აღწევდა მდ. ენგურის პირას მდებარე სათანხოს ციხემდე.

ყველაზე აღიარებული მოსაზრებით „აფხაზეთის დიდი კედლის“ მშენებლობა VI ს. დაწყებულა. ზოგ კველევარს ეს ნაგებობა მდ. ენგურამდე მიჰყავს, ზოგი კი „აფხაზეთის დიდ კედელს“ ენგურის შესართავის აგრძელებს. კედლის სიგრძედ როიც შემთხვევაში რატომდაც „მაგიურ“ 160 კმ დებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა თანახმად, „აფხაზეთის დიდი კედელი“ იწყებოდა მდ. კელასურის შესართავში, მარცხნა ნაპირას, სადაც ზღვის პირას დღესაც დგას ოთხეუთხა კოშეი. კედელი მიუკეთდებოდა მდ. კელასურის ხეობას ათიოდე კილომეტრის მანძილზე და შემდეგ უხვევდა აღმოსავლეთისაკენ. გადაკვეთდა მდ. მაჭარას და აღწევდა კოდორამდე. აქედან ის მიუკეთდებოდა ფანავის ქედს, გადაკვეთდა რა მდინარეების მიქვეს, დალიძგის და რქუმის ხეობებს და აღწევდა მდინარე ენგურამდე, შემდეგ მდ. ენგურს მიუკეთდებოდა შესართავისად (იხ. ნახაზი II).

ამრიგად, „აფხაზეთის დიდი კედელი“ კოლხეთის დაბლობის ერთ ნაწილს, მოქცეულს მდინარეების კელასურსა და ენგურს შორის, გამოყოფდა დასავლეთ საქართველოს ხევა ნაწილებისაგან.

ყოველი პატარა ციხეც კი, და მით უფრო 160 კმ-ის მძლავრი კედელი, შენდებოდა განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანის შესაბამისად. რა ამოცანას ემსახურებოდა „აფხაზეთის დიდი კედელი“?

მდინარეების კელასურსა და ენგურს შორის მოქცეული ტერიტორიია ჩვენი ქვეყნის ისტორიის არც ერთ მონაკვეთში ერთიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა, რომ ერთიან სიმაგრეთა სისტემის გამოცალებებს რაიმე გმიართლება ჰქონდა. IV ს-დან მთელი დასავლეთ საქართველო ეგრისის სამეფოშია გერთიანებული. ბუნებრივია, ეგრისის ხელისუფალთ თავისი სამეფოს ერთი ნაწილის სხვებისგან გამაგრებული კედლით გამოყოფა აზრადაც არ მოვიდოდათ. ამგვარი კედლის არსებობა არც მათი სიუზერნის, ბიშანტიისათვის იყო საჭირო.

გადაკვეთოთ შერილობით წყაროებს, რომლებიც თითქოს ადასტურებენ „აფხაზეთის დიდი კედლის“ არსებობას.

მკვლევარები პირველ რიგში მიუთითებენ პროკოფი კესარიელის თბზულების ერთ ადგილს, სადაც ბერძენი ისტორიკოსი გვამცნობს, რომ იუსტინიანემ „ლაზიკის მიწაწყალზეც ააგო ერთი ციხე, სახელად ლოსირიონი, და ამ ქვეყანაში ვიწროებიც გაამაგრა, რომელთაც, წვეულებრივ კლისურებს ეძახიან, რათა მოწინააღმდეგენი ლაზიკის შესავალშივე ჩაეკეტათ“⁵².

52 ს. კაუ ხ ჩ ი ვ ვ ი ლ ი, გორგია, II, თბ., 1965, გვ. 220.

კლისურა ახალ და ძველ ბერძნულში ძნელად გასავლელ ადგილსაც ვთ
წროებს ნიშნავს: «Слово «клисура» (Клевистерия) встречается у Прокопия очень часто. По собственному толкованию Прокопия и по толкованию комментатора Г. Дестуниса, это слово употребляется в смысле теснины, Лифле, трудно проходимого места... Река Келасури получила название от этого слова⁵³».

მოსახრება, რომ მდინარის სახელწოდება „კელასური“ კლისურასაგან მო-
დის, სწორი უნდა იყოს.

დასავლეთ საქართველოში ვიწროები, „კლისურები“ სხვაგანაც მრავლად
იყო. ზოგ მათგანს პროკოფი კესარიელიც ახსენებს: „ლაზიეკე ყველგან, მდი-
ნარე ფაზისის როგორც აქეთა, ისე იქითა მხარეზე გაუვალია. ქვეყნის ორთა-
ვე მხარეს უხარმაზარი კლდებია, რომლებიც იქ დიდ მანძილზე ვიწროებს
ქმნიან, ასეთ გზებს რომაელები „კლისურებს“ უწოდებენ“⁵⁴.

შესაბამისად, ბიზანტიის ისტორიკოსის ცნობა იუსტინიანეს მიერ ლა-
ზიკაში „კლისურების“ გამაგრების შესახებ შეუძლებელია რომელიმე კონკრე-
ტულ ნაგებობას დაუკავშირდეს.

ბერძნულ ენაში გამაგრებული კედლის აღსანიშნავად არსებობს სპეცია-
ლური ტერმინი — τείχος. პროკოპი კესარიელის ცნობით, იუსტინიანეგან დორას
ქვეყანაში გადმოსასვლელები გრძელი კედლებით — მაჯრა τείχη გამაგრა. ამ
შემთხვევაში ბიზანტიის ისტორიკოსს მხედველობაში აქვს გამაგრებათა სის-
ტემა, რომელიც სამხრეთ ყიჩიმს იუავდა. აქ უცვალშე გრძელი კედლის სიგრძე
2 კმ აღწევდა⁵⁵, და, როცა მიგვარ ნაგებობას პროკოფი კესარიელი გრძელ
კედლელ უწოდებს, რატომ ის არაფერს ამბობს მის დროს ლაზიკაში აგებულ
160 კმ სიგრძის კედლელზე? ამრიგად, პროკოფი კესარიელი აფხაზეთის დიდი
კედლის არსებობის დამადასტურებლად კერ გამოდგება.

მკვლევრები ჩვეულებრივ იშველიერებენ ძველი ქართველი ისტორიკოსის
ჯუანშერის თხზულების ერთ ადგილს, სადაც ლაპარაკი მურგინ ყრუს ლაშქ-
რობაზე საქართველოში, რომელმაც „შემუსრანა“ ყოველი ქალაქია და სიმაგ-
რენი ეგრისის ქუვეანისა. და ციხე იგი სამ-ზღუდე რომელ არს ციხე-გოჯი,
შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა... და შემუსრა ქალა-
ქი აფშილეთისა ცხუმი⁵⁶.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჭუანშერის კლისურის მდინარე კელასურ-
თან აიგვებენ. ჩანს, აღრეფებიდალურ ხინაში ამ მდინარესთან რაღაც გამაგ-
რებანი მართლაც იყო, რაც სრულებითაც არ გულისხმობს 160 კმ სიგრძის
სიმაგრეთა სისტემას. (ზღუდე ჭუანშერთან ციხის გალავნის მნიშვნელობითაც
იხმარება).

ამრიგად, წერილობით წყაროებში რაიმე მითითება აფხაზეთის დიდი კედ-
ლის შესახებ არ მოიპოვება.

1965—1966 წწ. ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით შევისწავ-
ლეთ ტერიტორია, რომელიც მოქმედია მდინარეების დალიძგისა და ენ-

53 ს. კაუნიშვილი, გორგა, II, თბ., 1965, გვ. 220.

54 ს. კაუნიშვილი, გორგა, II, გვ. 102.

55 М. Соловоник, О. Домбровский, О локализации страны Доры. Археологическое исследование средневекового Крыма, Киев, 1968 г.

56 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 230.

გურს შორის; ყურადღება მივაქციეთ „აფხაზეთის დიდი კედლის“ იმ მონაკვეთს, რომელიც ამ ტერიტორიაზე იყო მითითებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ „აფხაზეთის დიდ კედლის“ შემავალ კოშკებშე, რომლებიც თითქოს ა. პავლინოვს უნახავს ენგურის სიახლოეს. ა. პავლინოვი „აფხაზეთის დიდ კედლის“ საერთოდ არ ახსენებს: «Из Бедии чрез Окумь отпразднились на пост по направлению к Зугдиди. По дороге встречались незначительные развалины, между прочем близ поста на горах расположены друг против друга, развалины четырех башен, далее по ту сторону р. Ингур нашли развалины замков в Саберно, Рухе и др. Все эти развалины похожи друг на друга и представляют весьма мало художественного и архитектурного интереса»⁵⁷.

მდ. ლალიძის აღმოსავლეთით მთის პირა ზოლში შევევდა ათოოდე ფეოდალური ხანის ძეგლი, მაგრამ მათი გაერთიანება რაიმე თავდაცვით სისტემაში არ შეიძლება. ცხადია, ლუმურიშის ოზი ადრეფეოდალური ხანის ეკლესია და იმავე სოფელში მდგარი კოშკი ან კიდევ წერეკარის XIII ს. ეკლესია და მუჯავის გვაანფეოდალური სამონასტრო კომპლექსი ერთიან თავდაცვით სისტემას ვრჩ შექმნის.

ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულმა მიმოხილვამ დაგვარწმუნა, რომ საერთოდ არ არსებობდა საპირისება, რომ მდ. ლალიძის აღმოსავლეთით ენგურის მთისპირა ზოლში როდესმე გამაგრებათა ერთიანი სისტემა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ფანაგის ქვედის ან მონაკვეთში არ არის გადასასვლელი, როთაც კოლხეთის დაბლობზე მნიშვნელოვანი ძალის გადმოყვანა ყოფილიყო შესაძლებელი.

ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციებმა დაგვარწმუნეს, რომ არც ენგურის მარჯვენა ნაპირზე იყო გამაგრების ერთიანი სისტემა.

ენგურის მარჯვენა სანაპირო ი. აძინბაძ დაირა და კველა ნაგებობა, რომელიც კი მან ნახა, შეიყვანა „აფხაზეთის დიდი კედლის“ შემადგენლობაში. მაგ. სოფ. დიხაზურგაში მას უნახავს ზორაც შენობის ნაშთი. «Судя по сохранившееся части фундамента сооружение имело четырехугольную форму. Сооружение было огорожено каменной стеной круглой формы площадью около трех тысяч метров. Как само сооружение, так и его ограда сложены из речного камня на известковом растворе. По всем данным это сооружение имело крепостной характер, хотя местное население предполагает, что там был храм»⁵⁸.

სინამდვილეში ადგილობრივი მოსახლეობა მართალი იყო. ეს შენობა ეკლესიას წარმოადგენდა თავის დროზე. ლაპიდარული წარწერა აქვთან მ. ჯანავილს აქვს გამოქვეყნებული⁵⁹.

სხვა ნაგებობათა დიდი ნაწილი, რომელიც ი. აძინბაძ უნახავს, მაშინაც თითქმის დანგრეული იყო და ახლა მათი კვალიც არ შეიძნევა, მხოლოდ ზოგიერთია შემორჩენილი. პირველ რიგში ესაა „ოცარცეს“ ციხე, რომელიც ი. აძინბაძ აზრით: «Может быть отнесена в XIII—XIV вв. т. е. к периоду

57 А. Павлинов, Экспедиция на кавказе, 1888 г., Материалы по археологии Кавказа, т. III, М., 1893, стр. 4.

58 И. Адзинба, Архитектура...

59 М. Джанашвили, От Ново-Сенак до села Дихазурга, Известия Кав. отд. Москов. археол. общества, Тб., 1907, стр. 18.

ду перестройки и дополнения «Абхазской стены». Во всяком случае не позднее XV—XVI вв.⁶⁰.»

Сюда входят и остатки Абхазской стены, крепостных сооружений и земляных валов, расположенных на территории Абхазии. Согласно археологическим находкам, Абхазская стена была построена в VII—VIII вв. н.э. Важнейшими элементами стены были крепости на горных перевалах и узких горных проходах, а также крепости на побережье Чёрного моря.

«Абхазская стена» длиной 15 км расположена на побережье Чёрного моря в Абхазии. Крепость Абхазской стены расположена на высоте 1000—1200 метров над уровнем моря. Крепость имеет форму полумесяца и расположена на скальном берегу Чёрного моря. Крепость имеет форму полумесяца и расположена на скальном берегу Чёрного моря.

Абхазская стена длиной 15 км расположена на побережье Чёрного моря в Абхазии. Крепость Абхазской стены расположена на высоте 1000—1200 метров над уровнем моря. Крепость имеет форму полумесяца и расположена на скальном берегу Чёрного моря.

О. Абхазская стена длиной 15 км расположена на побережье Чёрного моря в Абхазии. Крепость Абхазской стены расположена на высоте 1000—1200 метров над уровнем моря. Крепость имеет форму полумесяца и расположена на скальном берегу Чёрного моря.

О. Абхазская стена длиной 15 км расположена на побережье Чёрного моря в Абхазии. Крепость Абхазской стены расположена на высоте 1000—1200 метров над уровнем моря. Крепость имеет форму полумесяца и расположена на скальном берегу Чёрного моря.

Крепость Абхазской стены расположена на высоте 1000—1200 метров над уровнем моря. Крепость имеет форму полумесяца и расположена на скальном берегу Чёрного моря.

Абхазская стена длиной 15 км расположена на побережье Чёрного моря в Абхазии. Крепость Абхазской стены расположена на высоте 1000—1200 метров над уровнем моря. Крепость имеет форму полумесяца и расположена на скальном берегу Чёрного моря.

Абхазская стена длиной 15 км расположена на побережье Чёрного моря в Абхазии. Крепость Абхазской стены расположена на высоте 1000—1200 метров над уровнем моря. Крепость имеет форму полумесяца и расположена на скальном берегу Чёрного моря.

60 И. Адзинба, Архитектура...

61 с. 33, 38—140.



როგორც ვხედავთ, ღალიძეს აღმოსავლეთით სიმაგრეთა რაიმე სისტემა არ არსებობდა.

მდ. კელასურის შესართავში აღმართულია ოთხეუთხა კოშკი, საიდანაც მდინარის მარცხენა ნაპირის გამყოლ სერს მიყვება კედელი, რომელიც შალე წყდება. კოშკისა და კედლის წყობა ლევან II დადიანის დროს აგებული რუხის ციხის მსგავსია. მსგავსი კოშკები (მაგრამ არა ერთიანი კედელი) მოიპოვება მდ. მაჭარას ხეობაში და მდ. კოდორიამდე აღწევს. გამაგრებათა სისტემა კელასურიდან კოდორიამდე ნამდვილად არსებობდა, დასადგენია მხოლოდ რახანს ეკუთხის იგი.

გამაგრებული კედლით გადმოსასვლელების დაცვა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად დიწყო. ჯერჯერობით არ არის ლოკალიზებული ჰეკატე მილეოთელის „კორაქსების კედელი“ და პტოლემიონისის „ძლიერი კედლები“ მდ. კორაქსთან⁶². ერთი კი ცხადია, რომ ეგრისის სამეფო, რომელიც ძვ. წ. აღ. VI ს. შეიქმნა, თავიდნენ დიდ ყურადღებას აქციედა ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალი გზების დაცვას. ამ ამოცანას ემსახურებიდა „კორაქსების კედელიც“.

IV ს. დასავლეთი საქართველო ხელახლა გაერთიანდა. ეგრისის (ლაზეთის) მესვეურნი ასევე დიდ ყურადღებას აქციედნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალი გზების დაცვას. ამითვე იყო დაინტერესებული მისი სიუზერენი ბიზანტიაც: „ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო ხარქს არ იხდიდნენ... როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკიდრეს, ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშემდომებათან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკასიის მთიან ლაზიკაზე გამოვლით რომაელთა მიწაწყალში არ შემოკრილიყვნენ. ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე, რომ არც ფულს დებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს“⁶³.

ინტენსიურად მიმდინარეობდა ციხე-სიმაგრეების შენებლობა, რომლითაც გამაგრებული იყო ყველა გადმოსასვლელი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კი განსაკუთრებით; მაგ. სხვებზე გამაგრებული ჩანს კოდორისა და ენგურის ხეობები. ასე რომ, თუ ჩვენ „აფხაზეთის დიდ კედელში“ გავაერთანებდით გადმოსასვლელების, „კლისურების“, დამცველ ნაგებობებს, მაშინ ეს „კედელი“ გაგრიდან ლიხის ქედამდე გადაიტიმებოდა.

ჩრდილო-კავკასიიდან მომავალი ერთი მეტად მნიშვნელოვანი გზა უშუალოდ შავი ზღვის სანაპირო ხაზს მოუკვებოდა. იქ სადაც სანაპირო ზოლი ძალზე ვიწროვდება, ამ გზის დასაცავად სპეციალური სიმაგრეები იყო აგებული. ასეთებია გაგრისა და ინაკონის ციხეები. ასეთივე დანიშნულება ჰქონდა „კლისურის ზღვდეს“. მდ. კელასურის შესართავში დაბლობი ზოლი ძალზე ვიწროა და მისი გამაგრება შედარებით აღვილია. კელასურის აღმო-

62 ს. ლომოური ბერძნი ლოგოგრაფისების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. მასალები საქართველოს და კეკესის სიტორიისათვის ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 29; მისი ვე, კლაუდიუს პტოლემიონის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1955, გვ. 43.

63 ს. კაუხი შვილი, გეორგია, II, გვ. 72—73.

საელექტო კოლხების დაბლობი ერთბაშად იშლება და თუ მტერი „კონსტანტინების“ რის ზღუდეს“ გაარღვევდა, მისი შეჩერება შეუძლებელი იყო.

ამრიგად, ჰუანშერის „ზღუდე იგი კლისურისა“ უკანასკნელ სიმაგრეს წარმოადგენდა, სიმაგრეთა იმ სისტემაში, რომელთა ამოცანასაც ჩრდილო კავკასიიდან უშუალოდ ზღვის პირას მომავალი გზის დაცვა წარმოადგენდა.

VIII ს. დასასრულისათვის დასაელექტო საქართველო ერთიან სამეფოში გაერთიანდა ნიკოფილიდან ლიხის ქედმდე. X ს. დასასრულისათვის ძირითად ში დამთავრდა საქართველოს გაერთიანების პროცესიც. ქართველმა მეფებმა თანდათან გაავრცელეს თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზეც. ჩრდილოეთიდან შემოსევის საფრთხე რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქვეყანას პრაქტიკულად არ ემუქრებოდა. მნიშვნელობა დაყარგეს იმ ციხეებმა, რომლებიც გაღმოსასვლელებს იცავდნენ.

XIII ს. II მეოთხედში საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. ჩრდილოეთ კავკასია ვასალიდან თანდათან მტრად გადაიქცა. შესაბამისი გაღმოსასვლელების დაცვა კვლავ ქვეყნის ამოცანად იქცა. ახლა ან ძველ, ადრეფეოდალური ხანის ციხეებს აახლოებენ და თუ ეს შეუძლებელია, მათ მახლობლად ახალ ციხეებს აგებენ. ამიტომაა, რომ ამგვარ ადრეფეოდალური ციხეების წყობაში, შეაფეოდალური ფენა იშვიათად გვხვდება და გვანფეოდალური ყოველთვის.

XV ს. II ნახევარში ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ოდიშის მთავრებმა ვრცელი ქვეყანა დაისაუზორეს მდ. ფსირცხიდან ცხენისწყლამდე. მომდევნო საუკუნეებში დაღიანებმა დაყარგეს ანაკოფია ახლა საზღვარი მდ. კელასურზე გადიოდა და დადიანები მის გამაგრებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

XVII ს. I ნახევარში აფხაზი ფეოდალების დაწოლა ოდიშის სამთავროზე კიდევ უფრო გაძლიერდა. ლევან II დადიანმა რამდენჯერმე წარმატებით ილაშერა აფხაზეთში, მაგრამ სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე შექმნილ საშიშროება თავიდან კერ მოიცილა. იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ კელასურის პირას საზღვარი მოიშლებოდა, მტრის შეჩერება ენგურამდე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ მან სავანგებოდ გაამაგრა ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი. ამ დროს აგებულ სიმაგრეთა ნაშთია ის ერთი ხანის ნაგებობანი მდ. კელასურიდან მდ. ღალიძეგამდე. უნდა ვითიქრთ, რომ ლევან II დადიანის დროს უმეტეს შემთხვევაში მთლიანი კედელი არ აშენებულა, ძირითადად გამაგრებული იყო მთლონდ გაღმოსასვლელები. გამაგრებათა სისტემაში გამოყენებული იქნებოდა ადრეფეოდალური ხანიდან შემორჩენილი ნაგებობებიც.

უცხოელი მოგზაურები XVII ს. I ნახევრის ოდიშისა და აფხაზეთის საზღვრად მდ. კოდორის დებენ, ოუმცა მათი ჩანაშერებიდან კარგად ჩანს, რომ გარკვეული ტერიტორია კოდორის დასავლეთითაც ოდიშის მთავრებს ეკუთვნოდათ. ლევან II დადიანის მიერ აგებულ სიმაგრეთა სისტემა კარგად საზღვრავს ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს; ის იწყობოდ მდ. კელასურთან, მიუყვებოდა მთისა და ბარის გამყოფ ზოლს და ღალიძეგამდე აღწევდა. კოდორის ხეობის ზემო წელი და წებელდა აფხაზეთის მთავართა ხელში იყო.

როგორც დავინახეთ, „აფხაზეთის დიდი კედლის“ სახელწოდებაში მკველევრები ხელოვნურად აერთიანებენ სხვადასხვა ღროისა და დანიშნულების ნაგებობებს, ხოლო ის სისტემა, რომელიც კელასურიდან ღალიძეგამდე

არის გადაჭიმული, ლევან II დადიანის მიერ იგებულ „ზღუდეს“ წარმოადგინა.

XVII ს. II ნახ. მოვლენებმა კარგად აჩვენეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ნაგებობა. გაარღვიეს რა იგი აფხაზმა ფეოდალუბმა, თავიანთი სამთავრო მდ. ენგურამდე გააფიქტოვეს.

ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ლევან II დადიანის მიერ ზღუდის აგების შესახებ სინამდვილეს შეესაბამება.

როგორც დავინახეთ, ვახუშტი ბაგრატიონის ოდიშის აღწერილობა ხარვეზების მიუხედავად მეტად საიმედო მასალას შეიცავს ოდიშის ისტორიული გეოგრაფიისათვის.

რამდენიმე სიტუაცია ვახუშტის წყაროებშე. მას ოდიში დათვალიერებული არა აქვს და სხვათა ცნობებით სარგებლობს. ვახუშტი ფართოდ იყენებს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებსაც.

1654 წ. გამოვიდა არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“ რუკითური. XVIII ს. დასაწყისში ეს წიგნი ითარგმნა ფრანგულად და ვახუშტი ბაგრატიონს სრული შესაძლებლობა ჰქონდა ამ ნაშრომს გასცნობოდა.

არქანჯელო ლამბერტისთან ოდიშის ბევრად უფრო მეტი პუნქტით მოცემული, ვიდრე ვახუშტი ბაგრატიონთან, ამიტომ ამ უკრანსენელს იტალიელი მისიონერის ნაშრომის გაცნობის შემთხვევაში ოდიში უფრო სრულად ექნებოდა წარმოდგენილი. ორივე ავტორი განსხვავებულად იძლევა შევი ზღვის სანაპირო ზოლს და მდინარეთა ქსელს.

არქანჯელო ლამბერტის და ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ჩევნ გამორიცხულად მიგვაჩნია ვახუშტის მიერ იტალიელი მისიონერის თხზულების გამოყენება.

1737 წ. ლევესანდრე იმერთა მეფის ბრძანებით შედგა დასავლეთ საქართველოს რუკა, რომელიც გაიგზავნა რუსეთში და იქ საგარეო საქმეთა სამინისტროში ინახებოდა. ვახუშტი ბაგრატიონს შეეძლო ამ რუკის გამოყენებათავის რუკათა მეორე ატლასზე მუშობის დროს. სინამდვილეში ოდიშზე მათი ცნობები ძალზე განსხვავდება. განსხვავებულადა მოცემული მდინარეთა ქსელიც. იმერეთის მეფის ბრძანებით შედგენილ რუკებზე მოცემული ზოგიერთი პუნქტი, არა ვახუშტისთან და პირიქით. ყოველივე ამის გამო ჩევნ გამორიცხულად მიგვაჩნია ვახუშტი ბაგრატიონისა და 1737 წ. შედგენილი რუკის ავტორის ურთიერთგავლენა.

როგორც ეხედავთ, ვახუშტი არა მარტო ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის პირველ მქონევარია, არამედ წყაროცაა გვიანდეოდალური ოდიშის ისტორიული გეოგრაფიისათვის (იხ. ნახ. III, სადაც ვახუშტის მონაცემები ოდიშის შესახებ დავიტანეთ თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზე).

